SCIENTIA POTESTAS EST.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
"თანამედროვე მსოფლიო წესრიგი -
პოლიტიკურ-სამართლებრივი გამოწვევები"

# თეზისების კრებული

# Materials of the

**INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE**
**"MODERN WORLD ORDER - POLITICAL-LEGAL CHALLENGES"**

**2022**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი
Georgian Technical University
Faculty of Law and International Relations

ეძღვნება კორონავირუსის პანდემიის დროს გარდაცვლილი ჩვენი კოლეგების, პროფესორების ნათელა მაისურაძის, ალფრედ კურატაშვილის და ოთარ დავითაშვილის ნათელ ხსოვნას

To memory of our colleagues which died during the coronavirus pandemic professors: Natela Maisuradze, Alpred Kuratashvili and Otar Davitashvili

თბილისი / Tbilisi

27.07.2022

## სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტი:

დავით გურგენიძე

ირაკლი გაბისონია

ჯემალ გაბელია

რევაზ მიშველაძე

ჯემალ ჯანაშია

ციალა გლოველი

დავით კალმახელიძე

თამარ კიკნაძე

მარიამ ჯიქია

ემილია ალავერდოვი

ნუკრი ხევცურიანი

იგორ კვესელავა

ქეთი ჯიჯეიშვილი

მაია ყიფიანი

თამარ ბარამია

ელენე ჩალაძე

დავით ხუფენია

**ჩვენი კოლეგების, ნათელა მაისურაძის, ალფრედ კურატაშვილის და ოთარ დავითაშვილის ნათელი ხსოვნისადმი მიძღვნილი სიტყვა**

მკვდრები არ არიან მკვდრები, სანამ ცოცხლები მათ მოწიწებით იხსენიებენ! - ბრძანებს ანდრეა მორუა.

თქვენი სახელები: ქალბატონო ნათელა, ბატონო ალფრედ, ბატონო ოთარ, მართლაც რომ სასოებით, სიყვარულით, სიამაყითა და სინანულით წარმოსათქმელია.

საოცარი ადამიანები იყავით: - ადამიანები, რომლებსაც არ გეხერხებოდათ სანახევროდ სიყვარული, ადამიანები, რომლებიც ბოლომდე იხარჯებოდით!

თქვენს გვერდით ყოველთვის „სხვა“ იყო დედამიწა - უღალატო, ძლიერი, კეთილი, მუდამ მომღიმარი და მაინც ღრმად სევდიანი, ფარულად რომ ილანდებოდა თქვენს თბილ თვალებში მუდამ...

რა იყო ეს სევდა?

ადამიანად ყოფნისა თუ არყოფნის სევდა?

ალბათ უფრო სევდა და ტვირთი იყო ადამიანად ყოფნისა, რაზედაც უარი არასდროს გითქვამთ და ბოლომდე ადამიანებად დარჩით, ადამიანებად, რომლებიც ყოველთვის მაღლა იდგნენ ბოროტებაზე, რომელთათვისაც უცხო იყო ზიზღი, ბოღმა, სიძულვილი, შურისძიება, თქვენი მრჩეველი სინდისი იყო, თქვენი გულიდან ყოველთვის მოდიოდა სიყვარული, მწვანე შტო შერიგებისა, ძმობისა, ერთგულებისა, ეს თვისებები კი ნამდვილად რჩეულთა ხვედრია. თქვენი გულის სიღრმეში ისეთი მარგალიტები იდო, რომ ბევრი ვერ დაიქადნებს, ამიტომაც შეძელით ჩვენს სიყვარულში დარჩენა!

„ცხოვრების აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ოდესმე ის შეწყდებაო“ - წერდა ფრანც კაფკა, თუმცა მთავარია ალბათ არა ის, რომ ცხოვრება ზოგადად წყდება, არამედ ის, თუ ვისი სიცოცხლე სრულდება.

თქვენი სიკვდილი ვერასოდეს ასოცირდება „ცხოვრების აზრთან“, რადგან ის ჩვენ აქ დარჩენილებს მოგვიკვდა, ჩვენ დაგვაკლდა, ჩვენ წაგვერთვა ერთი-ორი უიშვიათესად კეთილშობილი დენდი ამ ცივსა და მიუსაფარ სამყაროში... სიმბოლურია, რომ ჩვენი პროფესორები, არაერთი საერთაშორისო აკადემიის წევრები -ალფრედ კურატაშვილი, ნათელა მაისურაძე და ოთარ დავითაშვილი ღირსების მედლით იყვნენ დაჯილდოებული; თუმცა, თქვენს ჯილდოებზე გაცილებით დიდია - ჯილდო, ადამიანის სიყვარულისა, რომელმაც მარადიულობა მოუტანა ნათელას ალფრედსა და ოთარს.

თქვენ არც სიცოცხლის შეგშინებიათ არასდროს და არც სიკვდილის, რადგან უფრო მაღლა იდექით ამ ყველაფერზე და ჩვენც, თქვენი გარდაცვალებით, კიდევ ერთხელ დაგვანახეთ, რომ მარადიულია „არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა“!

მარადიული ხსოვნა ქალბატონ ნათელას, ბატონი ალფრედისა და ოთარის, ნამდვილი ადამიანების ხსოვნას!!!

თქვენი სახელები თაობებს დარჩება. ვინაიდან თქვენ განვლეთ თქვენი ცხოვრების გზა, აღბეჭდეთ ნავალი, არაფერი შეედრება იმ ხელთუქმნელ ძეგლს, რომელიც დაგვიტოვეთ ყველას თქვენს მიერ განვლილ გზაზე.

თითოეულს საკუთარი მე გქონდათ, გქონდათ უნარი ღირსების შეგრძნებისა, ობიექტურობისა, სამართლიანობისა, საქმის ლაზათიანად კეთებისა.

თქვენთვის ყოველი დღე იწყებოდა შეგონებით: „იყო ლექტორი, აღმზრდელი, პედაგოგი, ნიშნავს გიყვარდეს შენი საქმე, გიყვარდეს სტუდენტები, მათი ცხოვრებით იცხოვრო, ყოველი დღე ემზადებოდე მათთან შესახვედრად. თქვენ არ გეგულებოდათ ამაზე უკეთესი პროფესია, საქმიანობა... “.

ამიტომაც თითოეულ ლექციაში, თითოეულ სემინარზე საკუთარ თავს ძერწავდით - მართალს, პატიოსანს, გულწრფელს, ერთგულს, სინდის-ნამუსიანს, სამართლიანი ცხოვრებით ცხოვრობდით, სიკეთეს გულით აკეთებდით, სამშობლო, ოჯახი, სტუდენტები, მეგობრები და საერთოდ, ადამიანები იყო თქვენი აზროვნების მუდმივი საფიქრალ-სადარდებელი! თქვენგან ბევრი ვისწავლეთ! თქვენი მადლიერები ვართ!

ბედისწერის ულმობელმა ძალამ წარგვტაცა თქვენი თავი ძვირფასო ადამიანებო, მაგრამ დაუვიწყარი იქნება თქვენთან ერთად გატარებული დღეები ჩვენო გულითადო მეგობრებო, თქვენ დიდ ტკივილთან ერთად ბევრი ლამაზი მოგონება და მარადიული საფიქრალი დაგვიტოვეთ.

და ბოლოს მინდა ქალბატონ ნათელა მაისურაძის სამეცნიერო ნაშრომიდან „სიცოცხლის ფილოსოფია“, მცირე მონაკვეთი შემოგთავაზოთ, ქალბატონი ნათელა ერთგან ამბობს:

ვინ ვარ-
აბა, ვინ ვიქნები-
ერთი გულისხმა ვარ!
თქვენ თაობებში დარჩით, რადგანაც მართლაც ერთი გულისხმა ხართ!

*პროფესორი ჯემალ გაბელია*

# სარჩევი / Contents

## საჯარო სამართალი / Public Law

**ირაკლი გაბისონია** - გადასახადისთვის თავის არიდების საგადასახადო და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ურთიერთთავსებადობა .....10

**სოფიო დემეტრაშვილი; გიორგი ცობეხია** - საქართველოს სახელმწიფო მოწყობის რეტროსპექტივა .....12

**მარიამ ჯიქია** - არჩევნების თანასწორობის პრინციპისა და უმცირესობათა წარმომადგენლობის თანაფარდობა საქართველოს პარლამენტში.....13

**თეიმურაზ ბეჟოშვილი** - დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების სამართლებრივი თავისებურებანი .....14

**ალექსანდრე ჩხიტაური** - საბაჟო საქმიანობის ორგანიზაცია და მართვა და საქართველოს თანამედროვე საბაჟო პოლიტიკა - საქართველოს ახალი საბაჟო კოდექსის ფონზე .....15

**ვახტანგ სონღულაშვილი** - ცვლილებები საერო და სასულიერო ხელისუფლების სამართლებრივ ურთიერთობებში თანამედროვე საქართველოში.....17

**ნანი ლომაია** - საინფორმაციო ომი „ფეიკ ნიუსებით“ და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა .....18

**სალომე ხიზანიშვილი; არკადი ბუტოვეცკი; კახა ძაგანია** - შეფასებითი-მორალური ინსტრუმენტების გამოყენების საფუძვლები იურისპრუდენციაში.....19

## საერთაშორისო ურთიერთობები / International Relations

**ამირან ხევცურიანი** - ლენდ-ლიზის ფენომენი როგორც გლობალური მშვიდობისკენ იძულების სტრატეგიული ინსტრუმენტი.....20

**Emilia Alaverdov** - National Features of Migration Policy on the Example of the Nordic Countries .....21

**Neno Gabelia**; **Romina Gurashi** - Georgian Migration in World Politics .....22

**Андрій Рудик** - Моноетнічність України як один із наслідків російської агресії.....23

**Begüm Burak** - Srebrenitsa Massacre in the media: The role of words in an unjust war.....24

**Natavan Karamova**; **Javanshir Abbaszadeh** - The Influence of Stress Factors on the Emergence of Illegal Behavior in Adolescents.....25

**Mykola Polovyi** - Scenarios of Post-War Landscape (threats) in the Post-Soviet Region .....26

**Farhad Aliyev** - Reforming International Institutions.....27

**Kateryna Tryma** - NGOs and HEIs as Elements of Civil Society.....28

**Natavan Karamova** ; İlkin Kazimli - Analysis of Causes of Illegal Behavior.....29

**გრიგოლ გიორგაძე** - საქართველოს გეოპოლიტიკური გამოწვევები და ეროვნული უსაფრთხოების აქტუალური საკითხები .....30

**მანანა დარჩაშვილი** - მეხსიერების კონტექსტი: თარგმანის მნიშვნელობა კულტურული ურთიერთობის ჩამოყალიბების პროცესში.....31

**სოფიო მიდელაშვილი** - საქართველო ევროინტეგრაციის პროცესში - მიღწევები და გამოწვევები .....32

**თამარ კუპრეიშვილი; თორნიკე ოქროპილაშვილი** - ევროატლანტიკური ინტეგრაციის როლი ეროვნულ უსაფრთხოებაში და სამხედრო თანამშრომლობა ....33

**ჰენრი კუპრაშვილი** - კიბერსივრცის კვლევა და ახალი აკადემიური დისციპლინები ....34

**მაია ყიფიანი** - საქართველოს გამოწვევები ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესში ..35

**გიორგი ჩხიკვიშვილი** - პუტინის უკრაინული გამბიტი და ევროპული უსაფრთხოების დილემები ....36

**ვაჟა შუბითიძე** - რუსეთ-უკრაინის ომი ჰანთინგტონის „ცივილიზაციათა შეჯახების თეორიის ჭრილში....37

**ლილი ხარჩილავა** - აშშ - რუსეთის დაპირისპირება ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ....39

**ზურაბ კვეტენაძე** - თავისუფლების ნატურალისტურ-რაციონალისტური გაგება თანამედროვე ევროკავშირში....40

**ვალერი მოდებაძე** - აშშ-სა და ჩინეთს შორის კონფლიქტი და ბრძოლა ჰეგემონობისათვის ....41

**ხატია ვასაძე** - ევროკავშირის როლი კვიპროსის კონფლიქტის დარეგულირებაში ....42

**შორენა ცინცაძე** - ისრაელი-პალესტინის სამშვიდობო პროცესში ევროკავშირის ჩართულობის ფორმატები....43

**სოფიკო ედიშრაშვილი** - ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები, როგორც რეგიონული უსაფრთხოების პრობლემა....44

**ჯონი ტატუნაშვილი** - ინტეგრაციული პროცესების თავისებურებანი ევრაზიულ სივრცეში....45

**ოთარ ფარცხალაძე** - ცივილიზაციური დაპირისპირების რამდენიმე ასპექტი რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთობებში....46

**თამარ ბარამია** - აშშ-ევროკავშირის ურთიერთობები და მულტიპოლარული სამყაროს კონტურები....47

**როლანდ ძნელაძე** - რუსეთის ინტერესები კასპიის ზღვის აუზში ....48

**თამილა ყურაშვილი** - აშშ-ს საგარეო პოლიტიკის თავისებურებები სპარსეთის ყურის სახელმწიფოებთან....49

**კახა ტაბატაძე** - აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განთავსების პოლიტიკური თავისებურებები ევროპაში....50

**ლევან კვირკვაია** - საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის გზაზე....51

**ედიშერ გვენეტაძე** - 1985 წლის ჟენევის რეიგან-გორბაჩოვის შეხვედრა - საწყისი მოვლენა მსოფლიო ახალი წესრიგის გზაზე ....52

**ანი ბუკია** - კოსოვოს პრობლემა და საერთაშორისო თანამეგობრობის როლი მისი სახელმწიფო მშენებლობის პროცესში ....53

**თორნიკე გვენეტაძე** - თანამედროვე მსოფლიოს ექსტრადიციის პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტები ....54

**ნოშრევან ოქროპირიძე** - კორუფციის ტრანსნაციონალური ხასიათი - ბრძოლის სამართლებრივი და პოლიტიკური მექანიზმები....55

**გიორგი კაკულია** - ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) და უკანონო მიგრაციასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკა....56

**ანა გეთია** - ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების გავლენა დემოკრატიულ პროცედურებზე ....57

**კერძო სამართალი / Private Law**

**ციალა გლოველი; ბესიკ ტატუნაშვილი** - სმარტ-კონტრაქტების გამოყენება შრომით ურთიერთობებში - ტექნოლოგიების განვითარებით გამოწვეული აუცილებლობა თუ კოვიდ პანდემიის გამოწვევა? ....58

**ნანა როსეფაშვილი; მათე ჭანტურია** - ნოტარიუსად გამწესების წინაპირობა ....60

**ლევან დუნდუა** - COVID 19, როგორც ვალდებულების შესრულების გართულებისა და შეუძლებლობის გამომწვევი გარემოება ....62

**ეკატერინე ნინუა** - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აქტუალური პრობლემები ....63

**თეა კვაბზირიძე** - დაზღვევის განსხვავებული საფუძვლებით კლასიფიკაციის სამართლებრივი რეგულირების ცალკეული ასპექტები ....64

**მირანდა გურგენიძე; თამაზი ურთმელიძე** - EPO-ს და მსოფლიოს საპატენტო სისტემის ურთიერთთავსებადობასთან დაკავშირებული აქტუალური პრობლემები....65

**ანა ტაკაშვილი** - შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას „სხვა ობიექტური გარემოების“ გამოყენების თავისებურება ....66

**მარიამ მამულაშვილი** - მშობლებისა და შვილების პირადი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულაციების აქტუალური ასპექტები....67

**მზია დუნდუა** - სამედიცინო პერსონალის პროფესიული პასუხისმგებლობის სამართლებრივი რეგულირება....68

**მარიამ ღაჭავა** - ნების ავტონომია საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართალში ....69

**სისხლის სამართალი / Criminal Law**

**მიხეილ მამნიაშვილი** - „ნულოვანი ტოლერანტობა'', როგორც სისხლის სამართლის პოლიტიკა და მისი უარყოფითი გავლენა სისხლის სამართალწარმობის პროცესზე....70

**ოთარ ხინიკაძე; ნატალია მაისურაძე** - არასრულწლოვანთა დანაშაულობის კრიმინოლოგიური ასპექტები....72

**იოსებ ხუციშვილი** - უკანონო შემოსავლის ლეგალიზების წინააღმდეგ ბრძოლის თანამედროვე გამოწვევები ....73

**კობა ჩიხლაძე** - ექსპერტიზის მნიშვნელობა და როლი მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ....74

**ელენე ჩალაძე** - გადასახადის თავის არიდების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებანი საქართველოში (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) ....75

**გიორგი ტაკაშვილი** - „უდანაშაულობისა და თავისუფლების პრეზუმცია“ და დამნაშავის გადაცემასთან დაკავშირებული აქტუალური პრობლემები....76

**ხატია ხერხეულიძე** - აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებისას სავალდებულო დაცვის მნიშვნელობა ....77

**ანა კუჭუხიძე** - მცენარე კანაფის ან მარიხუანის უკანონო შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, ან/და გადაგზავნისათვის სისხლისსამართლებრივი ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის განხილვის თავისებურებები ....78

## პოლიტიკა / Politics

**კარლო კოპალიანი** - პოლიტიკური ლიდერის როლი პოსტმოდერნის ეპოქაში....79

**თამარ კიკნაძე** - პოლიტიკური რეალიზმი და XVI-XVIII საუკუნეების საერთაშორისო ურთიერთობების „კლასიკური“ მიდგომები....80

**ქეთი ჯიჯეიშვილი** - პუტინიზმის პოლიტიკური ანატომია....81

**გვანცა აბესაძე** - ევროსკეპტიციზმი საქართველოში და რელიგია, როგორც ულტრამემარჯვენეების პოლიტიკური იარაღი....82

**დავით ხუფენია** - ელიტების რეკრუტირების ინსტიტუციონალური პრობლემატიკა ....83

**ირაკლი ნინუა** - სამხედრო ძალა, როგორც სახელმწიფო ძლიერების უმთავრესი კომპონენტი.....84

**ირაკლი ბენაშვილი** - ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის მოდელირებაში....85

**თამარ ზირაქაშვილი** - პოსტმოდერნიზმი და ეროვნული იდენტობა ....86

## კულტუროლოგია / Cultural Studies

**რევაზ მიშველაძე** - კულტურა და რუსეთ-უკრაინის ომის რეციდივები....88

**თამარ ბლიაძე** - ქართული ნოველის კულტუროლოგიური ასპექტები....92

**სოსო სიგუა** - კულტურის როლი აღზრდის პროცესში ....94

**ეკა ცხადაძე** - კვდომადი და აღდგომადი ღვთაების სახისმეტყველება ქართულ პროზაში ....96

**მურმან თავდიშვილი** - ქართული ენა და თანამედროვე მწერლობა....100

**დავით სოლომნიშვილი** - ნათელა მაისურაძე როგორც ხელოვანი....102

**ჯემალ გაბელია** - სასამართლო და პოლიტიკური მჭევრმეტყველება....104

**ბადრი ცხადაძე; ამირან ქაშაკაშვილი** - საქართველოში ვიკინგების კვალი და ტოპონიმ სიქთარვას ახლებური ეტიმოლოგია....105

## ისტორია / History

**ნატო სონღულაშვილი** - ეროვნული იდენტობა და განათლება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921)....107

**დომენტი ჩუბინიძე** - ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების ვიზიტი აშშ-ის სენატსა და კონგრესში (ისტორიული დისკურსი) ....108

**ვიქტორ ჯაფარიძე** - ახლო აღმოსავლეთის როლი ცივი ომოს ეპოქაში ....109

# გადასახადისთვის თავის არიდების საგადასახადო და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ურთიერთთავსებადობა

**ირაკლი გაბისონია**
სამართლის დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ქვეყანაში ბიზნესის განვითარება, საზღვარგარეთიდან რაც შეიძლება მეტი ინვესტიციების მოზიდვა, გადასახადის გადამხდელებისთვის ხელსაყრელი და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა, რაც ბუნებრივია, პროდუქციის ზრდაზე, ეკონომიკის გაჯანსაღებასა და მოსახლეობის ცხოვრების დონეზე სასიკეთოდ აისახება. ამიტომაც, დღის წესრიგში დგას არამარტო საგადასახადო სისტემის გაუმჯობესება, არამედ ამ მიმართულებით სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის დახვეწა, ლიბერალიზაცია და პასუხისმგებლობასთან ერთად უმეტესად წამახალისებელი ნორმების გათვალისწინება. სახელმწიფო მნიშნელოვანი ინტერესების უზრუნველსაყოფად ადგენს კონკრეტულ საკანონმდებლო ჩარჩოებს, რომლის მიხედვითაც ფუნქციონირებს ქვეყნის ეკონომიკური სივრცე.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა საკანონმდებლო ცვლილებები და ხანდაზმულობის 6 წლიანი ვადა შემცირდა 3 წლამდე. საგადასახადო ხანდაზმულობის თავისებურება სწორედ იმაში მდგომარეობს რომ საგადასახადო ორგანო ვერ დააკისრებს საგადასახადო პასუხისმგებლობას გადასახადის გადამხდელს ხანდაზმულობის გასვლის შემდეგ, კანონმდებელმა ეს გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო რომ მეტად შეზღუდა მაკონტროლებელი ორგანოს ფუნქციები და კიდევ უფრო მეტად დაიცვას გადასახადის გადამხდელთა უფლებები.

როგორც ცნობილია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის „გადასახადისაგან თავის არიდების“ პირველი ნაწილი გულისხმობს დიდი ოდენობით გადასახადისათვის განზრახ თავის არიდებას, რომელიც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე, აღნიშნული განეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულს, რომლის ხანდაზმულობის ვადა არის 6 წელი, ამავე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული იგივე ქმედება ჩადენილი: ა)არაერთგზის, ბ)განსაკუთრებით დიდი ოდენობით, გ)წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ- განეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის კატეგორიას და ხანდაზმულობის ვადა არის 10 წელი, ხოლო მესამე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული ქონების ან მისი ნაწილის გასხვისება გადასახადისათვის თავის არიდების მიზნით განეკუთვნება ნაკლებად მძიმეს დანაშაულის კატეგორიას და გულისხმობს ხანდაზმულობის 6 წლიან ვადას.

ცხადია, საგადასახადო სამართალი და მათ შორის საგადასახადო დავები ძალზედ სპეციფიკურია, საგადასახადო დანაშაული გამორჩეულია თავისი სუბიექტებითა და დანაშაულის ჩადენის ხერხებითაც. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ შესაძლებელია სამომავლოდ მოხდეს გადასახადისაგან თავის არიდებისათვის და სხვა საფინანსო საქმიანობის სფეროში ჩადენილი დანაშაულების დეკრიმინალიზაცია, თუმცა ამ ეტაპისთვის უმჯობესი იქნება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსსა და საგადასახადო კოდექსში განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

- საქართველოს სისხლის სამართლის 218-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელები პირველ და მესამე ნაწილთან მიმართებაში არ ითვალისწინებდეს თავისუფლების აღკვეთას და გათვალისწინებული იქნეს ჯარიმა, შიდა პატიმრობა გამასწორებელი სამუშაო საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა ან/და მსგავსი შემთხვევები გახდეს პირობითი მსჯავრის დანიშვნის საფუძველი;

- საქართველოს სისხლის სამართლის 218-ე მუხლით მეორე ნაწილისათვის გათვალისწინებული დანაშაულისათვის პირი ისჯებოდეს თავისუფლების აღკვეთით 2 წლამდე;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-4 მუხლში გათვალისწინებული ხანდაზმულობის 3 წლიანი ვადა გახდეს 2 წელი;

აღნიშნული ცვლილებებით თანხვედრაში მოვა საქართველოს სისხლის სამართლისა და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები და სისხლის სამართლის 218-ე მუხლი გახდება შესაბამისი საქართველოს სისხლის სამართლის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ხანდაზმულობის ვადის.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ სრულიად გასაგებია ის განსხვავება, რაც ახასიათებს სისხლის სამართალსა და საგადასახადო სამართალს, თუმცა ისინი მაინც წარმოადგენენ ერთიან სამართლებრივ სისტემას. აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ სამართლიანი იქნება საგადასახადო და სისხლისსამართლებრივი ხანდაზმულობის ვადების ურთიერთთავსებადობა, რაც ბევრ გაუგებრობას თავიდან ააცილებს გადასახადის გადამხდელებს. აღნიშნული იქნება კიდევ ერთი სწორად გადადგმული ნაბიჯი გადასახადის გადამხდელის უფლებათა დაცვისათვის, რაც ხელს შეუწყობს გადამხდელთა ნდობას საგადასახადო კანონმდებლობისა და ადმინისტრირების კუთხით და აამაღლებს საგადასახადო კულტურას.

აღნიშნული ცვლილებებით საგადასახადო ორგანო მეტად შეითავსებს სერვისების მიმწოდებლის ორგანოს ფუნქციებს და დაკარგავს მაკონტროლებელი ორგანოსთვის დამახასიათებელ ნიშნებს. ცალსახაა, რომ საგადასახადო ორგანო და მათ შორის სხვა მაკონტროლებელი ორგანოები უნდა იქცნენ სწორედაც რომ სერვისების მიმწოდებელ ორგანოებად, რაც კიდევ უფრო მეტად აამაღლებს გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო კულტურას, ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვას და თავისუფალი ბიზნესგარემოს შექმნას.

# საქართველოს სახელმწიფო მოწყობის რეტროსპექტივა

**სოფიო დემეტრაშვილი**
სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
**გიორგი ცობეხია**
სამართლის დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საქართველოს პოლიტიკურ ლანდშაფტში დეოკუპაციისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემატიკა იშვიათად ხდება სისტემური კვლევების და სახელმწიფო პოლიტიკის დღის წესრიგში. საქართველოს ისტორიის ქრონიკებს თუ გადავხედავთ, საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობის პირობებში ტერიტორიული მოწყობის მიხედვით, საქართველო არასდროს ყოფილა მარტივი სახელმწიფო ტერიტორიული ფორმის. და თუ დღევანდელ სამართალმცოდნეობასა და პოლიტოლოგიაში დამკვიდრებული კატეგორიებით ვიმსჯელებთ, წარსულში საქართველო იყო ასიმეტრიულად მოწყობილი რეგიონალური სახელმწიფო, დღეს ივარაუდება, რომ არის დეცენტრალიზებული უნიტარული სახელმწიფო და მის შემადგენლობაში სხვადასხვა დროს განსხვავებული ადგილით აფხაზეთის ყოფნას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. გაერო, მსოფლიო თანამეგობრობა ცნობენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით, რომელშიც აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი სუბიექტია. უდავოა, რომ ისტორიულად საქართველო აფხაზთა და ქართველთა საერთო სახელმწიფო იყო, აფხაზეთი კი აფხაზთა სამშობლო, სადაც მათთან ერთად ბინადრობდა ქართველი ეროვნების ხალხი. სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყობის საკითხი პრობლემურია ნებისმიერი ქვეყნისთვის, ვინაიდან, გარკვეული აზრით, ეს არის ცოცხალი პროცესი, რომელიც მუდმივად ცვლილებებს განიცდის. საქართველოს კონსტიტუციური კანონმდებლობა, არც პირველი რესპუბლიკის, არც დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ მეცნიერებაში მიღებული კატეგორიებით არ გვაძლევს პირდაპირ პასუხს კითხვაზე თუ როგორია ტერიტორიული ორგანიზაციის მიხედვით საქართველოს სახელმწიფო - უნიტარული? ფედერალური? რეგიონალისტური? გამოყენებულ კონსტრუქციებზე დაყრდნობით, „განუყოფელი სახელმწიფო“ (1921 წლის კონსტიტუცია) ან „ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო“ (1990 წლის 14 ნოემბრის რედაქციის 1978 წლის კონსტიტუცია, 1995 წლის კონსტიტუცია). იმავდროულად უდავოა, რომ ისტორიულად დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის პერიოდებში მოყვანილი კონსტიტუციური სამართლის წყაროთა მიხედვით, საქართველოს ტერიტორიული მოწყობა არც ისე მარტივია, ვინაიდან ავტონომიების მქონეა და არსებობს ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორია, რომელიც ყოველგვარი სტატუსის გარეშეა.

# არჩევნების თანასწორობის პრინციპისა და უმცირესობათა წარმომადგენლობის თანაფარდობა საქართველოს პარლამენტში (საქართველოს 2008-2020 წლების საპარლამენტო არჩევნების მაგალითზე)

**მარიამ ჯიქია**
სამართლის დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

არჩევნების თანასწორობის პრინციპი მოქალაქეთა პოლიტიკური თანასწორობის ერთ-ერთი გამოვლინებაა, რომლის უზრუნველყოფის გარანტიებია ხმათა თანაბარი გამოვლინება, თანაბარი საარჩევნო უფლებამოსილებები და თანაბარი შესაძლებლობები. კვლევაში ძირითადად ყურადღება გამახვილებულია უმცირესობათა წარმომადგენლობასა და მათი პოლიტიკური უფლებების უზრუნველყოფის გამოწვევებზე.

თანასწორობის პრინციპთან მიმართებით ძალიან საინტერესოა რიგი ქვეყნების კანონმდებლობაში გათვალისწინებული კვოტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობათა აქტივობის გაზრდას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

წარმოდგენილ კვლევაში შესწავლილია 20008-2020 წლებში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგები, მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციები, და გაანალიზებულია მათი გავლენა არჩევნების თანასწორობის პრინციპზე, კერძოდ უმცირესობათა პოლიტიკური უფლებების ჭრილში.

მოპოვებული თეორიული მასალის შესწავლისა და სტატისტიკური მონაცემების დამუშავების შედეგად გამოვლინდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური პარტიების მიერ, როგორც პროპორციული სისტემით, ასევე მაჟორიტარული სისტემით, ეროვნულ/ეთნიკურ უმცირესობათა წარდგენილი კანდიდატების რაოდენობა მკვეთრად იზრდებოდა, მოპოვებული მანდატების მხრივ მცირედი მზარდი მაჩვენებელი 2016 წელს იყო, ხოლო 2020 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 2008 წლის მაჩვენებელს გაუტოლდა. ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის 13%-ზე მეტი ეროვნული/ეთნიკური უმცირესობას წარმოადგენს, კანონმდებლობაში არ არის გათვალისწინებული მათი ინტერესებისა და წარმომადგენლობის დაცვის გარანტიები.

აღნიშნული შედეგების საფუძველზე კვლევის დასკვნით ნაწილში ჩვენ გაანალიზებული გვაქვს სხვადასხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა და რეგიონალური მახასიათებლების გათვალისწინებით, წარმოდგენილი აღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზები.

# დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების სამართლებრივი თავისებურებანი

**თეიმურაზ ბეჟოშვილი**
სამართლის დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ადმინისტრაციულ სამართალს განსაკუთრებული ადგილი უკავია იურიდიულ მეცნიერებაში, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, შეიძლება ითქვას, განვითარების მეტად საინტერესო ეტაპებს გადის და დღესაც ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია.

ადმინისტრაციული სამართალი მნიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენს და თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი ჩვენს ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში ფართოდ რეალიზდება.

კვლევაში გვინდა შევეხოთ ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების განხორცილებას და მიმოვიხილოთ მასთან დაკავშირებული რიგი სამართლებრივი თავისებურებანი.

ადმინისტრაციული სამართლის განვითარებამ ხელი შეუწყო სახელმწიფო და ადმინისტრაციული ორგანოების ეფექტურ ფუნქციონირებას, რის შედეგადაც თვალსაჩინო გახდა მათი როლი საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის სფეროში.

წლების განმავლობაში ყალიბდებოდა და გარკვეული სახის სამართლებრივი სტანდარტებითა და პრინციპებით აღიჭურვებოდა აღნიშნული დარგი, რამაც ადმინისტრაციულ ორგანოებს შესაძლებლობა მისცა დისკრეციული უფლებამოსილების თავისუფლად გამოყენების, როგორც მმართველობითი დემოკრატიის გამოვლინების ერთ-ერთი სახე და მაგალითი.

დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობის მნიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენს და, შეძლება ითქვას, რომ იგი თავისი არსითა და დანიშნულებით გამოირჩევა მეტად რთული სამართლებრივი ბუნებით, რომელიც პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ინდივიდთა სამართლებრივ მდგომარეობაზე.

წლების მანძილზე დაგროვილმა ცოდნამ და პრაქტიკულმა გამოცდილებამ, აგრეთვე სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე მიღებულმა შედეგებმა, ნათელი გახადა რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება გარკვეულ რისკებთან იყო დაკავშირებული, შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა მისი სწორედ გამოყენების სამართლებრივი მექანიზმების არსებობა. სწორედ არსებულ გამოწვევებს ეხმაურება სამეცნიერო კვლევა და ვიმედოვნებთ, რომ იგი გარკვეულ სიცხადეს შეიტანს და საკითხით დაინტერესებულ პირებს დასმული პრობლემის ანალიზის გაკეთების საშუალებას მისცემს.

# საბაჟო საქმიანობის ორგანიზაცია და მართვა და საქართველოს თანამედროვე საბაჟო პოლიტიკა - საქართველოს ახალი საბაჟო კოდექსის ფონზე

**ალექსანდრე ჩხიტაური**
სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მე - 20 საუკუნის 90 - იან წლებში საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე, შეიქმნა და წლების მანძილზე მეტნაკლები ინტენსივობით ვითარდებოდა საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა, რამაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოში დამოუკიდებელი საბაჟო სამსახურის შექმნას, საბაჟო ორგანოთა სისტემის არსებობას, მის განვითარებას, სტრუქტურულ რეორგანიზაციას, საბაჟო რეჟიმებისა და საბაჟო გადასახადების ერთიან სისტემას...

საკვლევი თემა უაღრესად აქტუალურია, ვინაიდან ეხება თანამედროვე საქართველოს საბაჟო პოლიტიკას , ასევე საბაჟო ორგანოების ორგანიზაციული მოწყობის და საბაჟო სისტემის მართვის საკითხებს.. ასევე ამ თემის აქტუალობა განაპირობა იმ გარემოებამაც რომ ერთი წლის წინ საქართველოს მოქმედმა ხელისუფლებამ ხატოვნად რომ ვთქვა „აღადგინა სამართლიანობა“ საბაჟო სფეროში, მიიღო რა საქართველოს ახალი საბაჟო კოდექსი, რომელიც წინა ხელისუფლებამ პირადად ჩემთვის გაურკვეველი მიზეზების გამო გააუქმა , რამაც უაღრესად დაასუსტა იმ პერიოდისთვის განვითარების გზაზე მყოფი საბაჟო ორგანოთა სისტემა და არაეფექტური გახადა საბაჟო კონტროლის და საბაჟო გაფორმების ღონისძიებები..

საკვლევი თემის აქტუალობას უშუალოდ განაპირობებს ის გარემოება რომ თემა შეეხება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო ორგანოების სისტემის სტრუქტურული ორგანიზაციის და საბაჟო ორგანოების საქმიანობის სრულყოფის საკითხებს..

საკონფერენციო თემის კვლევის მიზანია თანამედროვე საქართველოს საბაჟო პოლიტიკის, ასევე საბაჟო ორგანოების ორგანიზაციული მოწყობის და საბაჟო სისტემის მართვის საკითხებში არსებული მდგომარეობის განხილვა ანალიზი, არსებული პრობლემების შესწავლა და პრობლემების დაძლევის გზები - საბაჟო საქმიანობის გაუმჯობესებისთვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავება..

**შინაარსი**

დღეს არსებული მდგომარეობით საბაჟო ორგანოთა სისტემა - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სისტემის შემადგენელი ნაწილია.

ჩვენი აზრით მოქმედი საბაჟო ორგანოების სისტემის ორგანიზაციული სრულყოფა, საბაჟო დაწესებულებათათვის სტატუსის ამაღლება, შემოსავლების სამსახურის სისტემიდან საბაჟო ორგანოების გამოყოფა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში სახელწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - დამოუკიდებელი საბაჟო დეპარტამენტის შექმნა, მისი ხელმძღვანელის უშუალოდ ფინანსთა მინისტრისადმი დაქვემდებარება იქნებოდა ჯერ ერთი საქართველოში საბაჟო ორგანოების მოხელეთათვისაც ანუ სახელმწიფოს ეკონომიკური საზღვრების დამცველთათვის, სტატუსის ამაღლების საფუძველი და საბაჟო საქმიანობის უკეთ განხორციელებისთვის სტიმული და მეორეც ეს გახდებოდა ქვეყნის საბაჟო პოლიტიკის უკეთესად განხორციელების უზრუნველყოფის საწინდარი..

ანუ საერთო ჯამში იმ ღონისძიებათა სისტემის შექმნას, რომელთა განხორციელებაც უზრუნველყოფს ჩვენს ქვეყანაში საბაჟო ორგანოების საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებას. ეს ღონისძიებები მოიცავს: საბაჟო კანონმდებლობის დახვეწის მიმართულებით საქმიანობას და მის

საფუძველზე საბაჟო დაწესებულებათა საქმიანობის სრულყოფისთვის ოპტიმალური სტრუქტურის შერჩევას: მათ გონივრულ განთავსებას ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე და სათანადო ეფექტური უფლებამოსილებით აღჭურვას საბაჟო კონტროლის და საბაჟო გაფორმების პროცედურების უკეთ, ეფექტურად განხორციელების მიზნით.. რისთვისაც საჭიროა ქვეყნის ერთიანი, სწორი, სახელმწიფოს ეკონომიკურ ინტერესებზე მორგებული საბაჟო პოლიტიკის არსებული მოდელის დახვეწა... დღეს ძალიან ბევრს ჰგონიათ, რომ საბაჟო ორგანოებს აქვთ მხოლოდ ფისკალური ფუნქცია, ანუ საბაჟო გადასახადების და მოსაკრებლების სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზების ფუნქცია.. არადა საბაჟო ორგანოებს გარდა საბაჟო გადასახადებით ქვეყნის ბიუჯეტის შევსებისა - სახელმწიფოში აკისრიათ ერთ - ერთი ყველაზე დიდი და სახელმწიფოებრივად უმნიშვნელოვანესი ფუნქცია, ესაა ქვეყნის ეკონომიკური საზღვრების დაცვა და ასევე სწორი ეკონომიკური პოლიტიკის და მისგან გამომდინარე სწორი საბაჟო პოლიტიკის არსებობის შემთხვევაში, ქვეყნის შიდა ეკონომიკის სტიმულირება და საექსპორტო საქონლის წარმოების ხელშემწყობი გარემოს შექმნა სახელმწიფოს შიგნით, სახელმწიფოებრივად სარგებლის მომტანი საბაჟო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების სრულფასოვნად განხორციელების საფუძველზე, რაშიც უპირველეს ყოვლისა ვგულისხმობ ექსპორტ იმპორტის რეგულირების მექანიზმების დახვეწას საქართველოს ეკონომიკის გაძლიერების მიზნით..

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ის ძირითადი გარემოება რაც დავისახე საკვლევი თემის მიზნად.. უმნიშვნელოვანესი და სახელმწიფოებრივად სწორი გადაწყვეტილება იყო საქართველოში წინა ხელისუფლების მიერ გაუქმებული საბაჟო კოდექსის აღდგენა, მიღება.

აუცილებელია ინტენსიურ რეჟიმში გაგრძელდეს ახალი საბაჟო კოდექსის დახვეწა და ზოგადად საბაჟო საქმიანობის მარეგულირებელი სხვა არსებული სამართლებრივი აქტების დახვეწაც და ახლი საბაჟო საქმის მარეგულირებელი ნორმების მიღებაც რომლებიც ხელს შეუწყობენ საქართველოში საბაჟო ორგანოთა სისტემის გამართულ მუშაობას ქვეყნის საბაჟო პოლიტიკის სრულფასოვნად განხორციელების მიზნით სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად.

# ცვლილებები საერო და სასულიერო ხელისუფლების სამართლებრივ ურთიერთობებში თანამედროვე საქართველოში

**ვახტანგ სონღულაშვილი**
სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის შეფასება წარმოუდგენელია წარსულის გამოცდილების გათვალისწინების გარეშე. რა როლი ჰქონდა ეკლესიას და სახელმწიფოს საუკუნეების მანძილზე და რა ცვლილება განიცადა მან სხვადასხვა პერიოდში, ან როგორი უნდა იყოს დღეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის და სახელმწიფოს ფუნქცია და მისია - ეს არის კითხვები, რომლებიც მთელი სიმწვავით დგას, მაგრამ გადაწყვეტილი კი არ არის. პრობლემის გადაჭრაში მნიშვნელოვანი იქნება წარსულის გამოცდილების და დღევანდელი ვითარების შედარება. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის შეფასება და შესწავლა ნებისმიერ ეტაპზე არც ისე მარტივია, რადგან ეს კავშირი საუკუნეების მანძილზე გარკვეულ ცვლილებას განიცდიდა და ევოლუციის თავისებურ გზას გადიოდა. საკითხი მეტად აქტუალურია არა მხოლოდ დღევანდელი გადმოსახედიდან, არამედ საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ურთიერთობიდან გამომდინარე.

სახელმწიფოც და ეკლესიაც რთული ინსტიტუციური მოწყობის, მრავალფეროვანი ორგანოებია. სახელმწიფოს, როგორც სამართალსუბიექტის როლი, ფაქტორი და დანიშნულება პრინციპულად განსხვავდება ეკლესიისგან. თავის მხრივ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მისია და კომპეტენცია მტკიცედ ჩამოყალიბებული, საუკუნეების მანძილზე შექმნილი გამოცდილებიდან გამომდინარეობს. ზოგადად, სახელმწიფოს და ეკლესიის ურთიერთობის საკითხი, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ევროპაშიც, მეტად აქტუალური იყო ყოველთვის და ასეა დღესაც. საქართველოს სახელმწიფოს და მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობის შეფასება ამ გამოცდილების გათვალისწინების გარეშე წარმოუდგენელია.

აღნიშნული პრობლემა, ერთი შეხედვით, საკმაოდ ცნობილია თავისი აქტუალურობიდან გამომდინარე. ეს არის საკითხი, რომლითაც დაინტერესებულია არა მხოლოდ სამეცნიერო წრეები, არამედ ფართო საზოგადოება და სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობაზე ყველას საკუთარი მოსაზრება გააჩნია - აქედან გამომდინარე, ბევრი იწერება და ბევრს საუბრობენ საქართველოს სახელმწიფოს არსებობის ამ მეტად მნიშვნელოვან პრობლემაზე, თუმცა საფუძვლიანი შესწავლის, არგუმენტირებული მსჯელობის გარეშე შეუძლებლად გვესახება გარკვეულ შედეგამდე მისვლა.

# საინფორმაციო ომი „ფეიკ ნიუსებით“ და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა

**ნანი ლომაია**
სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

როგორც ვიცით, დემოკრატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია ხალხის მონაწილეობა სახელმწიფო მნიშვნელობის გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში. იმისათვის, რომ ეს მონაწილეობა შეგნებული იყოს, ანუ თითოეულმა მოქალაქემ გაიაზროს საკუთარი მოქმედების შესაძლო დადებითი და უარყოფითი შედეგები, აუცილებელია მას ჰქონდეს ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციისადმი შეუზღუდავი წვდომა. არა მხოლოდ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის, არამედ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას, თითოეულმა აქტორმა უნდა განიხილოს სხვადასხვა, თუნდაც ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრება, გაიაზროს ყველა შესაძლო ალტერნატივა და მხოლოდ ამის შემდეგ გააკეთოს გარკვეული დასკვნები. ალბათ ეს საუკეთესო გზაა ჭეშმარიტების მიგნებისა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები კი ხელს უწყობს ადამიანებს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ე.წ. „იდეათა ბაზრის“ უზრუნველყოფით.

სახელმწიფოებრივი სტრუქტურებისაგან კონკრეტული გაზეთებისა თუ ტელეკომპანიების თავისუფლება, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს მათ ობიექტურობას. ანუ, დამოუკიდებლობა ავტომატურად არ ნიშნავს მიუკერძოებლობას, თუმცა, ზემოაღნიშნულ „იდეათა ბაზარს“ შეიძლება მასობრივი ინფორმაციის რამდენიმე მიკერძოებული საშუალება ქმნიდეს.

აღსანიშნია, რომ მიუხედავად იმ შეზღუდვებისა, რომლებიც შეიძლება არსებობდეს ამა თუ იმ სიტყვის წარმოთქმის ადგილის, დროისა და მანერის მიმართ, არ შეიძლება მოქალაქე შეიზღუდოს მხოლოდ იმის გამო, რომ მისი შეხედულებები არაპოპულარულია ან მიიჩნევა არასწორად ან სახიფათოდ. სიტყვის თავისუფლება არსებობს არა მხოლოდ მათთვის, ვინც ხელისუფლების კურსს ეთანხმება, არამედ მათთვისაც და შეიძლება ითქვას, პირველ რიგში, მათთვის, ვინც მას ოპოზიციაში უდგას. ჯერ არც ერთი ხელისუფალი ყოფილა იმდენად თავმდაბალი, რომ ესა თუ ის პიროვნება საკუთარი პერსონისა და პოლიტიკის ქება-დიდების გამოხატვისათვის ედევნა. მთავრობის მიერ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა, მასში ჩადებული აზრის გამო, ამ პრინციპის უგულებელყოფის ყველაზე ცხადი მაგალითია.

ტექნოლოგიების განვითარებამ თანამედროვე სამყაროს ბევრი სიკეთე მოუტანა, მაგრამ თავის ტკივილიც გაუმძაფრა. ინტერნეტმა რომ მკვეთრად გაამარტივა კომუნიკაცია, გააფართოვა ინფორმაციის მოპოვების არეალი, გააიოლა გამოხატვის თავისუფლება და გაზარდა ინფორმირებული მოქალაქეების რიცხვი, მტკიცებას არ საჭიროებს, მაგრამ, ამის პარალელურად, მედიასაშუალებებსა და ინტერნეტ სივრცეში იმატა ყალბი, გადაუმოწმებელი ინფორმაციების ე.წ. „ფეიკ ნიუსების“-ის გავრცელების პრეცედენტებმა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს არა მხოლოდ ინდივიდებს, არამედ პოლიტიკურ ძალებსა და ქვეყნებს შორის ურთიერთობებზე. შეიძლება ითქვას, „ფეიკ ნიუსებით“ მიმდინარეობს საინფორმაციო ომი.

# შეფასებითი-მორალური ინსტრუმენტების გამოყენების საფუძვლები იურისპრუდენციაში

**კახაბერ ძაგანია**
საჯარო მმართველობის დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
**სალომე ხიზანიშვილი**
სამართლის დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
**არკადი ბუტოვეცკი**
მკვლევარი
მანიტობას უნივერსიტეტი; კანადა

წარმოვისახოთ, რომ „მორალის ალგორითმი“ რეალური პროდუქტია და ის ასრულებს ფუნქციას, რაც მასზეა დაკისრებული. თუ ეს ასეა და „მორალის ალგორითმის“ საშუალებით ხდება შესაძლებელი გავარკვიოთ კონკრეტულ მომენტში, კონკრეტულ გეოგრაფიულ მდებარეობაში პიროვნების მორალური ბუნება რამდენად მაღალია ან დაბალი, მაშინ ის ნამდვილად დაეხმარება გამომძიებელს გამოძიების სტადიაზე, ადვოკატს დაცვის მოვალეობის განხორციელებისას და მოსამართლეს კანონიერი და სამართლიანი განაჩენის გამოტანისას.

სასჯელის დანიშვნის წესები განისაზღვრება სისხლის სამართლის კოდექსის 53 მუხლით, უფრო მკაცრი სასჯელი შეიძლება დაინიშნოს ამავე კოდექსის 59-ე და 60-ე მუხლებით, ხოლო უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნისას მოსამართლე ამავე კოდექსის 55-ე მუხლით განსაზღვრული პრინციპებით ხელმძღვანელობს. მაშინ როდესაც კოდექსით განსაზღვრულ მუხლებს ვიყენებთ მართლმსაჯულების განსახორციელებლად და ამ პროცესის გასამყარებლად დამატებით ინსტრუმენტს გამოვიყენებთ, ეს ყოველივე მართლმსაჯულების მიზნების მიღწევაში სარგებელს მოუტანს სამართლებრივ პროცესს.

იმისათვის, რომ ეს სიახლე იყოს პროდუქტიული და შედეგიანი, ჩვენი მთავარი ამოცანაა, სასამართლო მართლმსაჯულების განხორციელებისას დაინერგოს „მორალის ალგორითმის“ ინსტრუმენტი. ამისათვის არსებობს ორი გზა, პირველი როდესაც სასამართლო სამართლაწარმოებისას „მორალის ალგორითმს“ დანერგავს, როგორც პრაქტიკას და მეორე, როდესაც სისხლის სამართლის კოდექსში საკანონმდებლო ორგანო შეიტანს ცვლილებას და „მორალის ალგორითმი“ გახდება ერთ-ერთი აუცილებელი ინსტრუმენტი სასჯელის დანიშვნისას.

ორივე გზა შედეგიანი და პროდუქტიულია, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ თუ წავალთ იმ მიმართულებით, როდესაც ამ პროდუქტს როგორც სასამართლო პრაქტიკას დავნერგავთ - რასაც მეტი დრო დაჭირდება, ხოლო თუ წავალთ საკანონმდებლო ცვლილებების მიმართულებით, ამ პროდუქტის, „მორალის ალგორითმის“ დანერგვას ნაკლები დრო დასჭირდება.

სასამართლო სისტემა, სადაც არ უნდა იყოს და როგორიც არ უნდა იყოს დანერგილი, მთელს მსოფლიოში, ვერ იქნება სრულყოფილი. თუმცა, თუ არსებობს მართლმსაჯულების სასამართლოების სრულყოფილებასთან ოდნავ მიახლოების საშუალება, ის უნდა გამოვიყენოთ. ჩვენ გვჯერა, რომ ასეთი ინსტრუმენტი არის „მორალის ალგორითმი”. ჩვენ ამჟამად ვართ ამ პროდუქტის განვითარების შუა პროცესში. ამ ნაშრომში ჩვენ მკითხველს ვაწვდით გარკვეულ ფილოსოფიურ და სასამართლო ინფორმაციას, რაც ეხება ალგორითმის პოტენციურ გამოყენებას.

# ლენდ-ლიზის ფენომენი როგორც გლობალური მშვიდობისკენ იძულების სტრატეგიული ინსტრუმენტი

**ამირან ხევცურიანი**
საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, მოწვეული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აღნიშნული თემა შერჩეულია მისი უაღრესად მაღალი ხარისხის აქტუალობიდან გამომდინარე, რაც საერთაშორისო პოლიტიკაში მიმდინარე პროცესებით არის ნაკარნახევი.

არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ „ლენდ-ლიზი“ სწორედ ის უნიკალური სამხედრო-პოლიტიკური ინსტრუმენტი იყო, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა მეორე მსოფლიო ომის ბედის გარდატეხაში, რამაც საბოლოოდ უზრუნველყო ფაშისტური ტირანიის დამარცხება. მისი მასშტაბები იყო კოლოსალური, როგორც ფინანსური, ასევე მატერიალური თვალსაზრისით, რაც კონკრეტულ ციფრებში გამოიხატა. ლენდ-ლიზი იყო აშშ-ის სახელმწიფო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც აშშ ამარაგებდა მოკავშირეებს დიდი რაოდენობით საბრძოლო მასალებითა და შეიარაღებით, სამედიცინო საშუალებებით, სურსათითა და სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის ნედლეულით. პროგრამის ფარგლებში, სულ აშშ-მა გასცა მაშინდელი თანხით 50,1 მლრდ. დოლარის ღირებულების დახმარება, რაც დღევანდელი ფასებით დაახლოებით 700 მლრდ. დოლარის ექვივალენტია. დახმარების ძირითადი ნაწილი მიიღეს დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობამ და სსრკ-მ, აგრეთვე ჩინეთმა და საფრანგეთმა.

პირველი ლენდ-ლიზის დასრულებიდან მთელი 77 წლის შემდეგ, საერთაშორისო თანამეგობრობა უკვე უახლესი, უკიდურესად საშიში გამოწვევის წინაშე დადგა, რისი მშობელიც „პუტინისტური რუსეთი“ გახდა. ისევე როგორც 1939 წლის 1 სექტემბერს, 2022 წლის 24 თებერვალსაც მსოფლიო დიამეტრულად შეიცვალა, მოწყვლადი გახდა მისი უსაფრთხოების არქიტექტურაც. პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტებს ერთგვარი პოლიტიკური „დეჟავიუს“ შეგრძნება დაეუფლათ - ფაშიზმი ჩანაცვლდა „რაშიზმით“, რომელიც თავისი არსითა და ქცევის ნორმებით დიდად არ ჩამოუვარდება თავის წინაპარს. რა თქმა უნდა, ფაშიზმი ჯერ იყო და არის იდეოლოგია და შემდეგ უკვე სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობა. რასაც ჩვენ, ცალსახად ვემიჯნებით, დღემდე, იგივე დასავლურ სამეცნიერო წრეებში განვითარებულ მოსაზრებას, რომ ფაშიზმი არის ერთდროულად იდეოლოგია და სოციალურ–პოლიტიკური მოძრაობა. ფაშიზმი ჯერ იშვა როგორც იდეოლოგია და უკვე შემდეგ მიიღო პოლიტიკური მოძრაობის სახე, მკვეთრად გამოხატული ავტორიტარული და ტოტალიტარულ–მილიტარისტული ულტრანაციონალიზმის სახით. რამაც, საბოლოო ჯამში, საზოგადოებისა და ეკონომიკის ტოტალური კონტროლი გამოიწვია. ფაშიზმის განმასხვავებელი ნიშანი იყო აგრეთვე „ანტილიბერალიზმი“, საარჩევნო დემოკრატიის ფეხქვეშ გათელვა, რევანშიზმი, რასიზმი, ექსპანსიონიზმი, ელიტიზმი, სოციალური დარვინიზმი, სტატიზმი, სიმბოლიზმი და რაც მთავარია, მან უმთავრეს ინსტრუმენტად აქცია გენოციდის პოლიტიკა.

ყველა, ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული ნიშან–თვისება თუ მიდრეკილება დამახასიათებელია დღევანდელი „რაშიზმისთვის“, რომელიც, რა თქმა უნდა, ჯერჯერობით არ არის პოლიტიკურად ფორმირებული, როგორც ნეოფაშისტური იდეოლოგია, თუმცა, ვფიქრობთ, ეს დროც არც თუ ისე შორს არის. რაშიზმი – ცალსახად ფაშიზმის პროტოტიპია.

# National Features of Migration Policy on the Example of the Nordic Countries

**Emilia Alaverdov**
PhD, Professor
Georgian Technical University

The favorable socio-economic situation of the Nordic countries, the creation of a special model of a "welfare state" with benefits and preferences for the unemployed and refugees, as well as a liberal migration policy, a tolerant attitude towards immigrants from third countries, and the desire to integrate them into the host society made these countries attractive for foreign migrants and refugees. This mainly concerns Sweden, since Denmark and Finland are characterized by a stricter and even anti-immigration policies. These countries were not colonial powers, unlike the EU countries, which had historical ties to their colonies. In this case, we have to say that the influx of migrants of other cultures into the countries of Northern Europe led to negative socio-political consequences - an increase in the threat of terrorism, the loss of national identity, the growth of interethnic conflicts and nationalism, and doubts about the positive economic effect of immigration. Against the backdrop of a growing flow of migrants, especially after the migration crisis of 2015, the states of the region reconsidered their approach to this problem.

The paper aims to show the peculiarities of the migration policy of Nordic countries and its outcomes. The paper is based on certain scientific materials and research using descriptive, statistics, and methods of analysis.

# Georgian Migration in World Politics

**Neno Gabelia**
Dr. of Political Science, Expert at the research center "CEMAS"
La Sapienza University in Rome
**Romina Gurashi**
Dr., Associate Professor
La Sapienza University of Rome

After the First World War, several new independent republics emerged in Eastern Europe. Social democratic movements actively participated in the political constitution of many of the new states. Unexpectedly, the first social democratic government in Europe was created not in one of the western industrial nations, but in Georgia. For Georgians, history inspires some degree of fear. Peace and security, uninterrupted for over two generations in Europe, have never been enjoyed in the South Caucasus.

This paper looks at the historical perspectives and positions of key Georgian political figures – mostly leading Social Democrats such as Noe Zhordania and Akaki Chkhenkeli, as well as National Democrats such as Niko Nikoladze – on the making and unmaking of the Transcaucasian Democratic Federative Republic (TDFR) by analyzing their reflections on the most heated political concepts of the first two decades of the twentieth century: nationality, nationalism, the nation-state, federation, economic development, and socialism in the Georgian, Transcaucasian and imperial contexts, given the rapidly shifting geopolitics of the region triggered by the onset of the Great War and aggravated by the Bolshevik Revolution of November 1917.

## Моноетнічність України як один із наслідків російської агресії

**Андрій Рудик**
Доктор філософії з галузі соціальних та поведінкових наук
Київський національний університет імені Тараса Шевченка

У світових етнополітичних наукових розробках проблематика класифікації держав за етнічним складом населення, не зважаючи на такі явища як глобалізація, мультикультуралізм, залишаються актуальними. Етнополітологія в Україні не є винятком. У найбільш загальному вимірі всі існуючі держави світу за етнічним складом населення можна поділити на так моноетнічні й поліетнічні. Україна, відповідно до більш ширшої класифікації дослідника В. Трощинського належить до держав з поліетнічним складом населення. Однак, таке твердження базується на даних першого і поки єдиного перепису населення 2001 р. Навіть до початку російської агресії в 2014 році кількість представників російського етносу знижувалася. Після 2014 року і, особливо, після початку широкомасштабної агресії в 2022 році з'явилися передумови до перетворення України на моноетнічну державу, де понад 90% населення складатимуть українці

Ключові слова: етнос, нація, моноетнічна держава, поліетнічна держава, держава з поліетнічним складом населення, багатонаціональна держава, російська агресія проти України.

## Srebrenitsa Massacre in the media: The role of words in an unjust war

**Begüm Burak**
PhD, independent researcher
Turkey

This study is an attempt to analyze the media representation of the Srebrenitsa Massacre. The media discourse can play a major role in shaping public opinion and the perceptions of the ruling elites. The media can be used as a tool to legitimize and de-legitimize certain ideologies and actions. The Srebrenitsa Massacre occured during Bosnian War in 1995 and it refers to the genocidal killing of more than 8000 Bosniak Muslims in the town of Srebrenica. This event can be defined as the systematic murder of more than 8000 Muslims at Srebrenica by the Serbian forces. The Just War Theory specifies the conditions for judging if it is a just action to go to war, and conditions for how the war should be fought. Using the just war theory as the theoretical framework, this study argues that Bosnian War can be defined as an "unjust war" and following this argument, this study aims to focus on the media coverage of Srebrenitsa massacre through using critical discourse analysis methodology. The selected newspapers (articles, headlines and comments as the data for analysis) have been reached from online archives using Google with the keywords of "genocide" and "massacre" for the dates July 11 2005, 2010, 2015 and 2020 as the tenth, fifteenth, twentieth and twenty fifth anniversaries of the massacre.

# The Influence of Stress Factors on the Emergence of Illegal Behavior in Adolescents

**Natavan Karamova**
PhD, Professor
Western Caspian University
**Javanshir Abbaszadeh**
Researcher
Western Caspian University

Emotionally tense situations and stress are typical for the times we live in. At the same time, environmental, social, genetic, etc., which hinder human health and individual development against the background of emotional tension and stress. factors question the assurance of a normal future. Adolescence is especially important in postnatal ontogeny. Any psychophysiological change that can occur during adolescence continues throughout a person's life and leads to the disruption of normal life activities, the full formation of higher nervous activity and, finally, the manifestation of especially important emotional relationships. In particular, the violation of behavior can result in the occurrence of illegal events, and this is evaluated as a social threat. Normality of neuropsychological processes in adolescents, the excitement and cognitive processes go according to the individual development is one of the most important conditions for emotional relations to manifest within the norm.

Personal anxiety is understood as a stable individual characteristic that reflects the subject's tendency to high excitement and responds to each with a specific reaction. Here, personal anxiety is activated when certain stimuli are perceived by a person as dangerous to self-respect and society. Situational or reactive anxiety is characterized by conditionally subjectively experienced emotions: tension, excitement, depression, anxiety, nervousness, etc. The mentioned indicators are considered as a manifestation of an emotional reaction. Taking these into account, experimental research of psychoemotional changes in adolescents was set as a goal, and general, situational and individual excitement, behavior and attention indicators, reactions to emotional stress were studied in adolescents while experiments. It has been found that stress factors cause more behavioral disorders in adolescents who are deprived of parental care, have conflict and social problems in their families, have serious behavioral disorders in the relationship between their father and mother, are an only child, are being treated for neuro-psychological problems, are with weak cognitive processes, as a result of which the formation of illegal events is observed. The reason for the illegal behavior of most of the convicted adolescents is the stressful situations caused by the complex effect of one or more of the mentioned factors.

## Scenarios of Post-War Landscape (threats) in the Post-Soviet Region

**Mykola Polovyi**
PhD, Professor
Vasyl' Stus Donetsk National University

Presentation is devoted to assessment of several scenarios of regional international relations after the end of the hot phase of the Russian-Ukrainian war.

Regardless of the borderline on which the truce will be concluded, the threat of new conflicts will remain in the post-war region. Moreover, the greatest danger is presented by conflicts with the use of nuclear weapons, which the Russian Federation possesses.

The general background of post-war scenarios includes an economically weakened both Ukraine and the Russian Federation.

Among the most realistic scenarios of the post-war landscape, I would like to highlight the following:

1) the preservation of the unified Russian Federation, which inevitably entails the preservation of the Weimar syndrome. Given the impossibility of defeating Ukraine with conventional weapons, the Weimar syndrome will lead to an increasing interest to decisions of the use of Russian nuclear weapons. It is obvious that if its use, for example, against the peaceful cities of Ukraine, turns out to be successful for the Russian Federation and the Ukrainian authorities capitulate, this will untie the hands of the Russian Federation to involve in its orbit or direct subjugation of all the republics of the former USSR.

2) the emergence of centrifugal tendencies in the Russian Federation and their implementation in the form of the declaration of independence of at least several regions would mean a sharp decrease in the foreign policy conflict activity of the Russian Federation due to the need to fight disintegration.

# Reforming International Institutions

**Farhad Aliyev**
Dr., Assistant Professor
ADA University (Baku, Azerbaijan)

Since the collapse of the bipolar system of international relations at the beginning of 90s of the last century the developments on international arena raise the question of adequacy of existing international political institutions to the realities of post-bipolar - or as some argue contemporary multipolar – world.

The below listed are some of the main arguments of those arguing for necessity to reform international political institutions and international organizations:

1) The permanent members of the UN Security Council were self-appointed as a result of the World War 2. Back then these countries were the leaders of anti-Hitler coalition. Nevertheless, today situation is absolutely different to what it was in 1945.

2) Today in addition to permanent members of the UN Security Council many new countries all around the world position themselves as world political actors, thus demanding more significant access to the process of decision-making in the context of international organizations, first of all the UN.

3) Therefore, serious reconsideration of mechanisms of distribution of political power and potential to influence international affairs on global arena is required in order to make current international political institutions and organizations adequate to the realities of the world in 21st century.

4) In light of the aforementioned, numerous conflicts all around the world also suggest that the very system of implementation of norms of international law needs serious reconsideration.

5) Thus, the world today either needs to officially renounce existing system of international relations, being a heritage that comes from realities of 1945 and the Cold War (quite often not able to meet the challenges of the world today), or to reconsider and re-create the system of international relations with allowing equal access to the process of decision-making to more countries, and coming up with more precise and effective mechanisms of implementation of international law's norms.

# NGOs and HEIs as Elements of Civil Society

**Kateryna Tryma**
PhD in Political Sciences
Institute of Higher Education of the National Academy
of Educational Sciences of Ukraine

In modern political science, the issue of civil society and its elements is one of the most relevant. According to the traditional understanding of the elements of civil society, such social entities as non-governmental organizations (NGOs) and higher education intuitions (HEIs) are parts of civil society. Moreover, they have a substantial similarity: they can perform their direct functions implementing the common goal – they contribute to the public good. NGOs and HEIs provide society with a number of interrelated services. They are integrated into the local community, actively participate in the social life of the city and the region, and have close and permanent ties with local authorities and businesses. The cooperation between NGOs and HEIs is taking place within 3 possible models: entrepreneurial university model, triple helix model of universities, business and government or quadruple helix model of universities, business and government.

Moreover, HEIs as an element of civil society are gaining a new role in social relationships: they are getting the status of "civic university" according to which they are close as for their functions to traditional NGOs. Based on the abovementioned it is possible to carry out interesting cross-disciplinary research to investigate interconnections between social functions performed by HEIs and NGOs in various spheres: from establishing special bodies to control and monitor public expenses to promoting citizenship education. The research has confirmed that NGOs who have been leaders in societal change over the last decades are losing their primacy to HEIs. Universities are becoming active actors of societal changes and more integrated into the life of the local community.

# Analysis of Causes of Illegal Behavior

**Natavan Karamova**
PhD, Professor
Western Caspian University
**İlkin Kazimli**
Researcher
Western Caspian University

One of the most urgent problems of modern society is the decreasing age of people who commit illegal behavior. The youth of criminals indicates a serious social threat. A complex study of the processes of excitement and behavior in scientific research allows obtaining new results. Thus, in modern families, such situations as the increase in the problem of psychological incompatibility, family conflicts, behavioral disorders between spouses, harmful habits and pathopsychological changes of parents have a negative effect on the psychology of growing children, delaying their mental development and defective development, behavioral disorders, citizens who are unfit for society. can lead to formation. As a result, the basis for illegal behavior is created. 7-13-year-old (38 people) children with hyperactive, neurotic and behavioral disorders who received treatment at the "HISS" psychological health and speech development center as the research object were involved in psychotesting. At the same time, 35 normal children of the mentioned age groups were tested. It was found that in the studied practically healthy children, there was a normal level of excitement, a high level of voluntary attention against the background of the absence of depression and social phobia, and a normal formation of behavior, which ultimately allows for high-quality education and laying the foundation for a successful future. In addition, in children with hyperactive, psychological and behavioral disorders belonging to the special group under study, a high level of excitement, moderate depression, the emergence of severe social phobia and a low level of voluntary attention were noted. Psychophysiological changes have been observed in children with behavioral disorders, weakening of cognitive processes and failure to form normal emotional reactions to the environment. This may lead to illegal behavior in the future. A comprehensive evaluation of the conducted research shows the situation in children with behavioral disorders from family-household problems, serious behavioral disorders and pathopsychological changes in parent-parent relations, etc. indicates that it originates. Providing special care and attention to children with psychological-behavioral disorders, development of preventive measures can help to prevent possible neuropsychiatric diseases and illegal behavior that may occur in the future.

# საქართველოს გეოპოლიტიკური გამოწვევები და ეროვნული უსაფრთხოების აქტუალური საკითხები

**გრიგოლ გიორგაძე**
დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეცვლილმა საერთაშორისო ვითარებამ ახალი რეალობის გააზრების საჭიროება წარმოშვა. შესაბამისად, დაიწყო აქტიური პოლიტიკური და სამეცნიერო დისკუსია, რომელმაც უნდა შეაფასოს შექმნილი ვითარება და მსოფლიოს პოლიტიკის განვითარების პერსპექტივებზე იმსჯელოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა უსაფრთხოების პოლიტიკისა და სტრატეგიის დაბალანსება, ეროვნული უსაფრთხოების ახალი ხედვის ჩამოყალიბება. სახელმწიფოებრივი ხედვის ჩამოყალიბება და გეოპოლიტიკური ვითარების შეფასებისთვის კი აუცილებელია დავაკვირდეთ მსოფლიოში უსაფრთხოების კუთხით შექმნილ ვითარებას, ძირითადი ყურადღება გავამახვილოთ იმ სტრუქტურულ ცვლილებებზე, რასაც ადგილი აქვს რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ და გავლენაზე რასაც ახდენს ყოველივე აღნიშნული მსოფლიო წესრიგის მომავალ არქიტექტურაზე.

# მეხსიერების კონტექსტი: თარგმანის მნიშვნელობა კულტურული ურთიერთობის ჩამოყალიბების პროცესში

**მანანა დარჩაშვილი**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თანამედროვე მსოფლიო კოვიდ 19-მა ახალი რეალობის წინაშე დააყენა. შექმნილმა ვითარებამ და სხვადასხვა გამოწვევებმა დღის წესრიგში ხალხთა შორის ურთიერთობის საკითხი კიდევ ერთხელ მკაფიოდ გამოკვეთა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მიზანია მეხსიერების კონტექსტში წარმოვადგინოთ თარგმანის მნიშვნელობა კულტურული ურთიერთობის ჩამოყალიბების პროცესში და ქართული პოლიტიკური აზრის ღირსეული წარმომადგენლის, მ. წერეთლის დამოკიდებულება აღნიშნული საკითხის მიმართ. კერძოდ, მოვახდინოთ ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ (1909 წ.) მისი სტატიის „მის მარჯორი უორდროპი“ რეპრეზენტაცია, სადაც ავტორი აღნიშნავს მის დამოკიდებულებას საქართველოს მიმართ, ქართული ლიტერატურის პატივისცემასა და სიყვარულს, მის მთარგმნელობით მოღვაწეობას, რომ ის, კერძოდ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნისას ცდილობდა ენა, ორიგინალურობა და განსაკუთრებული სული გადაეტანა ინგლისურ ენაზე და გაეცნო იგი ინგლისის საზოგადოებისთვის, რაც, სამართლიანად, ძალიან მნიშვნელოვან საკითხად მიაჩნდა ავტორს ხალხთა შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობის ჩამოყალიბებისათვის.

მ. წერეთელი აღნიშნავდა რა მის დამსახურებას ქართველი ხალხის წინაშე, დიდ მწუხარებას გამოთქვამდა მისი გარდაცვალების გამო.

საერთოდ, მიხაკო წერეთლის ნააზრევი მუდმივად ერის გარშემო ტრიალებდა, დიდ ყურადღებას უთმობდა ეროვნებათშორის ურთიერთობებს, ამ ურთულეს პრობლემას ფაქტებისა და მოვლენების ღრმა წვდომით განიხილავდა.

კვლევაში განხილული საკითხით - XX საუკუნის დასაწყისის ქართული პოლიტიკური აზრის მნიშვნელოვანი წარმომადგენლის, მეცნიერის, პუბლიცისტის და საზოგადო მოღვაწის მ. წერეთლის გამოხმაურება/დამოკიდებულება მარჯორი უორდროპის გარდაცვალებასთან მიმართებაში, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ მეხსიერება ის შუამავალია, რომელიც ისტორიის ინტერპრეტაციით, არსებული დაგროვილი გამოცდილებით, ასახავს და გვახსენებს შთამომავლობას პატარა ქვეყნის ღირსეული შვილების, საუკუნისწინანდელ მიდგომებს, რომელიც დღესაც საინტერესოა. ჭირის გაზიარების პროცესი, ხალხთა შორის ურთიერთობებში, წარსულში და აწმყოშიც ის პროცესია, რომელიც თავის ღირშესანიშნაობით სიცოცხლეს ანიჭებს წარსულს.

# საქართველო ევროინტეგრაციის პროცესში - მიღწევები და გამოწვევები

**სოფიო მიდელაშვილი**
საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობები, სწრაფვა ევროკავშირში ინტეგრაციისაკენ დასაბამს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველივე დღეებიდან იღებს, რაც კონსტიტუციაშიც (78-ე მუხლი) აისახა. ყველა დროის ხელისუფლებისათვის ევროინტეგრაცია მთავარი პრიორიტეტი გახდა, რასაც მხარს უჭერს მოქალაქეთა დიდი უმრავლესობაც.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ნაშრომის მიზანია წარმოვადგინოთ საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე მიღწეული წარმატებები და არსებული გამოწვევები.

აღნიშნულ ურთიერთობათა დინამიკაზე დაკვირვება ადასტურებს, რომ საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ევროკავშირთან დაახლოების თვალსაზრისით. პირველ ეტაპზე მხოლოდ პარტნიორული ურთიერთობები მოიაზრებოდა რეგიონულ ჭრილში. 1996 წელს კი პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების გაფორმებით, ევროკავშირმა დაიწყო საქართველოში დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებისათვის ხელშეწყობა. ახალი ათასწლეულის დასაწყისში, მეხუთე გაფართოების შედეგად ევროკავშირში გაწევრიანდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები, რამაც სრულებით ახალი გეოპოლიტიკური რეალობა შექმნა. შედეგად ევროკავშირმა დაიწყო სამეზობლო პოლიტიკის განხორციელება, რაც ფაქტობრივად, თავისი შინაარსითა და ინსტრუმენტებით, ტექნიკურად ძალიან დაემსგავსა გაფართოების პროცესს, სადაც საქართველო 2004 წელს ჩაერთო. 2008 წელს საქართველოს აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივაში ჩართვამ კი ქვეყანას მისცა პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის მეტი შესაძლებლობა. აქტიური და წარმატებული თანამშრომლობის შედეგად, 2014 წელს ხელი მოეწერა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებას, რისი უმნიშვნელოვანესი ნაწილიც არის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება, რითაც ურთიერთობები სრულიად ახალ ფაზაში შევიდა და უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო. ამასთანავე, 2017 წლიდან, საქართველოს მოქალაქეები სარგებლობენ შენგენის სივრცის ქვეყნებში უვიზოდ მიმოსვლის შესაძლებლობით.

ნაშრომში განხილულია 2022 წლის 3 მარტს საქართველოს განაცხადი ევროკავშირის სტრუქტურებში კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღების შესახებ, ფაქტია, რომ ასოცირებულ ტრიოს შორის (საქართველო, უკრაინა, მოლდოვა) მხოლოდ საქართველო აღმოჩნდა სტატუსის გარეშე. აღნიშნული სტატუსის მოსაპოვებლად საქართველოს ევროკომისიამ 12 პრიორიტეტი განუსაზღვრა, რომლის შესრულებაც მოითხოვს ყველა პოლიტიკური მხარისა და მოქალაქეთა აქტიურ ჩართულობას. მიმდინარე ეტაპზე ქვეყნისთვის სწორედ ამ პრობლემათა ადეკვატური გადაწყვეტაა მთავარი გამოწვევა.

# ევროატლანტიკური ინტეგრაციის როლი ეროვნულ უსაფრთხოებაში და სამხედრო თანამშრომლობა

**თამარ კუპრეიშვილი**
საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
**თორნიკე ოქროპილაშვილი**
დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მსოფლიოში განვითარებული მოვლენების პარალელურად, რომელიც ვლინდება რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე და საფუძველს უქმნის ძალთა ახალ პოლიტიკურ ბალანსს, დღითიდღე უფრო მნიშვნელოვანი ხდება უსაფრთხოების განზომილებები და მისი პერსპექტივა. აღნიშნული პროცესები დინამიურად მოქმედებს ქართულ პოლიტიკურ დღის წესრიგზე, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკას გრძელვადიან პერსპექტივაში.

დღეს უსაფრთხოება და მისი გარემო გაცილებით კომპლექსური გახდა, ვიდრე ცივი ომის დასრულების შემდეგ. რუსეთის ფედერაცია განაგრძობს ქვეყნების საშინაო პოლიტიკაში ჩარევას და მათი სუვერენიტეტის შელახვას. რუსეთის ფედერაციის აგრესიული მოქმედებები, მათ შორის ძალის გამოყენება და მუქარა პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, ძირს უთხრის წესებზე დაფუძნებულ საერთაშორისო წესრიგს. რუსეთი გამუდმებით არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებს, უგულებელყოფს ქვეყნების სუვერენიტეტს და ჰქმნის არასტაბილურ გარემოს.

საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა გულისხმობს ხელსაყრელი გარემოს შექმნას და შენარჩუნებას ქვეყნის მშვიდობიანი, დემოკრატიული განვითრებისათვის და ეროვნული ინტერესების მაქსიმალური განხორციელებისათვის. ასევე, ქვეყნის თითოეული მოქალაქის ფიზიკური უსაფრთხოების, მათი უფლებების, თავისუფლებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისათვის. საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მტკიცე, ურყევ მიზანს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრიანება წარმოადგენს. ნატო-ში გაწევრიანებას საქართველო განიხილავს, როგორც ქვეყნის უსაფრთხოების, შემდგომი ინსტიტუციური განვითარებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას.

საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ქვეყნის უსაფრთხოების გარანტიისათვის. საქართველომ ალიანსთან თანამშრომლობის ფარგლებში, შეიძინა იმ სფეროებში დიდი გამოცდილება, როგორებიცაა თავდაცვა, უსაფრთხოება, მართლმსაჯულება და ადამიანის უფლებების დაცვა. მას შემდეგ, რაც უახლოეს ისტორიაში საქართველომ გადაწყვიტა დასავლური ვექტორის არჩევა, ნატოსთან თავსებადობის ამაღლებისათვის და გაწევრიანების პროცესისათვის მუდმივად მიმდინარეობს ქვეყნის უწყვეტი განვითარება ზემოთ აღნიშნულ სფეროებში.

# კიბერსივრცის კვლევა და ახალი აკადემიური დისციპლინები

**ჰენრი კუპრაშვილი**
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან ვირუსები არა მხოლოდ კომპიუტერების ვიწრო სამიზნედ, არამედ არაპროგნოზირებად დამაზიანებელ იარაღად იქცა და მსოფლიოსათვის კატასტროფული შედეგების მომტანი პრობლემა გახდა. ვირუსების შემქმნელთათვის კიბერსივრცის ბრძოლის ველზე კომპიუტერი არა მიზანი, არამედ საშუალება ხდება, ხოლო მრავალსვლიანი კომბინაციური სამიზნე - ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის მექანიზმები, სახელმწიფო ინფრასტრუქტურები.

წარმოქმნილ საშიშროებასთან გამკლავებამ, თავისთავად, მოითხოვა ეროვნული და საერთაშორისო დონის სერიოზული სოციალურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება. პრობლემა შეეხო უკვე არა მხოლოდ ტექნიკური ხასიათის საქმიანობას, არამედ სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს, როდესაც ქვეყნის ხელისუფლების მიერ მუშავდება კიბერსაშიშროებაზე თავდაცვითი რეაგირების სახელმწიფო პოლიტიკა, ყალიბდება ეროვნული ინტერესების დასაცავად კიბერსაფრთხეების გაუვნებელყოფის ეროვნული უშიშროების სტრატეგია. საჭირო ხდება: კანონების, სამართლებრივი აქტების შემუშავება და მიღება, მართვის პროცესის სრულყოფა, სახელმწიფო უწყებებს შორის ფუნქცია-მოვალეობების გამიჯვნა, კოორდინაციის, ურთიერთთანამშრომლობისა და ინფორმაციის მიმოცვლის მექანიზმების დახვეწა, კრიტიკული ინფრასტრუქტურის ჩამონათვალის დადგენა და სხვ. პრობლემის გადასაჭრელად თუ მანამდე საკმარისი იყო ინფორმატიკის სპეციალისტების მიერ მიღებული ტექნიკური ზომები, დღეს უკვე პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური, სამხედრო-თავდაცვითი და სოციალური ღონისძიებების გატარება გახდა საჭირო.

პრობლემა გასცდა ინფორმატიკის დარგის სპეციალისტების მიერ კომპიუტერების ტექნიკურად დაცვისათვის ანტივირუსების შექმნის ვიწრო სფეროს. გლობალურმა საშიშროებამ პრობლემის გადასაჭრელად ბრძოლის ველზე გამოიყვანა პოლიტიკოსები და სამხედროები, ასევე მეცნიერების სხვადასხვა დარგში მომუშავე მკვლევრები, მნიშვნელოვნად გაფართოვდა აკადემიური სამეცნიერო კვლევების სფერო და არეალი. შეიქმნა ახალი რეალობა: 1) აქამდე, კომპიუტერების ტექნიკურად დაცვის საკითხებს ძირითადად იკვლევდნენ და იკვლევენ მხოლოდ ინფორმატიკის სპეციალისტები; 2) ამჯერად, კიბერსივრცის პრობლემების კვლევაში ფართოდ ჩაებნენ სოციალური, ჰუმანიტარული, სამართლის, სამხედრო და სხვა სფეროების სპეციალისტები.

ახალმა რეალობამ ცხადი გახადა საქართველოს სამეცნიერო სფეროს მკვლევართა მიერ კიბერსივრცეში ტერმინების გამოყენების საკითხის დაზუსტების საჭიროება:

1. კომპიუტერული ვირუსების საფრთხეებისაგან კომპიუტერის (ქსელების) დაცვის უზრუნველსაყოფად კვლავ გამოყენებულ უნდა იქნეს ტექნიკური გაგების ტრადიციული ტერმინი „უსაფრთხოება“ (კიბერუსაფრთხოება, საინფორმაციო უსაფრთხოება, კომპიუტერული უსაფრთხოება);

2. ბოლო ათწლეულებში კიბერსაფრთხეების, როგორც ტექნიკური პრობლემის განხილვიდან მის პოლიტიკურ ამოცანად გადაწყვეტაზე გადასვლის შემდეგ, რადგან ტექნიკური ხასიათის საქმიანობის გამომხატველი ტერმინი „ უსაფრთხოება“ სრულად ვეღარ ასახავს და ვერ გადმოსცემს მომხდარი ცვლილებების არსს, ამიტომ კიბერსივრცეში გაზრდილი საშიშროების თავიდან ასარიდებლად შინაარსობრივად ახალი სოციალურ-პოლიტიკური საქმიანობის გამოსახატად გამოყენებულ უნდა იქნას ძირძველი ქართული სოციალურ-პოლიტიკური გაგების ტერმინი „უშიშროება“ (კიბერუშიშროება, საინფორმაციო უშიშროება და სხვ.).

# საქართველოს გამოწვევები ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესში

**მაია ყიფიანი**
ისტორიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თანამედროვე მსოფლიო ახლი გამოწვევების წინაშე დგას. კაცობრიობა ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესშია. რუსეთ-უკრაინის კრიზისი, როგორც მას უწოდებენ, რეალურად, ომია გავლენის სფეროების გადანაწილებისათვის.

პატარა ქვეყანას არ აქვს იმის ფუფუნება, რომ დიდ პოლიტიკაში წამყვანი როლი შეასრულოს. პოლიტიკის მიზანია ისეთი რაციონალური პოლიტიკური პროცესების წარმართვა, რომლითაც შეძლებს ქვეყანას აარიდოს საფრთხე, რამაც, შეიძლება, უმტკივნეულოდ გაატაროს რთული გზა, რომლიც მეტად რთული შესასრულებელი ამოცანაა.

საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების წარმართვას აქვს თავისი კანონზომიერებები. რუსეთ-უკრაინის დაპირისპირება არის გლობალური პროცესის შემადგენელი ნაწილი, ისევე როგორც 2008 წლის ომი, რომლის დროს საქართველომ ვერ შეძლო თავის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების თავიდან არიდება, რის შედეგადაც საქართველომ დიდი დანაკარგი განიცადა.

ცნობილია, რომ პოლიტიკა უნდა წარიმართოს ემოციების გარეშე, რაციონალურად. პატარა ქვეყანას შეცდომების დაშვების უფლება არ აქვს.

უახლოეს მომავალში, მსოფლიოში მოსალოდნელია შეიქმნას ახალი ევროპული უსაფრთხოების სტრუქტურა. რეალიზმის თეორიის პრინციპიდან გამომდინარე, საქართველომ უნდა გადადგას ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე პრაგმატული ნაბიჯები.

საქართველოს ევროპული საგარეო პოლიტიკური კურსი პასუხობს ჩვენს ცივილიზაციურ არჩევანს, ევროსტრუქტურებში ინტეგრირება მნიშვნელოვანი ბერკეტია უსაფრთხო, ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოს შესაქმნელად. მაგრამ, უნდა ვიყოთ რეალისტები და გადამეტებული მოლოდინები არ უნდა გვქონდეს, საქართველოს გაძლიერების შესაძლებლობები, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს საზოგადოებაში უნდა ვეძებოთ. ერთიანობითა და კონსტრუქციული ნაბიჯებით შესაძლებელია რთული პოლიტიკური სიტუაციიდან მშვიდობიანად გამოსვლა.

როგორც მსოფლიოში არსებული სხვადასხვა კრიზისი, ცხადია, ეს კრიზისიც პოლიტიკური შეთანხმებით დამთავრდება. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება პოლიტიკური ზავის პირობები არ იყოს ერთადერთი ოპტიმალური და მისაღები ყველა პოლიტიკური აქტორისათვის. ცხადია, რომ დღეს საუბარია არა ფასეულობებზე, არამედ ინტერესებზე, ევროპაში ახალი გამყოფი ხაზის გავლებაზე, საინტერესოა სად აღმოჩნდება პატარა საქართველო.

თანამედროვე დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები დამყარებულია ინტერესებსა და გავლენებზე. ჩვენი სამომავლო გეოპოლიტიკური მომავლისათვის მნიშვნელოვანია როგორ დამთავრდება კრიზისი.

მსოფლიო პოლიტიკური წესრიგის მთავარი აქტორები დღეს არიან: აშშ, რუსეთი, ჩინეთი, ინდოეთი. მათ შორის არსებობს ეგზისტენციალური განსხვავებები, ისინი მოლაპარაკებების გზით თანხმდებიან ახალ მსოფლიო წესრიგზე. პატარა საქართველო ამ გიგანტების გადათამაშების პროცესს არ უნდა შეეწიროს, როგორც არაერთხელ მომხდარა წარსულში.

# პუტინის უკრაინული გამბიტი და ევროპული უსაფრთხოების დილემები

**გიორგი ჩხიკვიშვილი**
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საერთაშორისო პოლიტიკაში ცივილიზებული სამყაროსთვის მიუღებელი გეოპოლიტიკური ვითარების ფორმირებას დასაბამი დაუდო - ტოტალიტარული საბჭოთა სისტემისა და მისი მთავარი საყრდენის - საბჭოთა კავშირის „ვირტუალური“ დაშლის შემდგომ პერიოდში განვითარებულმა პროცესებმა, როდესაც დასავლეთის წამყვანმა ქვეყნებმა ჩათვალეს, რომ ბოროტების იმპერია საბოლოოდ დამარცხდა და ე.წ. საბჭოთა მუქარა მყისიერად გაქრა, რის შედეგადაც ლიბერალურ დემოკრატიის პრინციპები შეუფერხებლად გავრცელდებოდა მთელ პოსტსოციალისტურ სივრცეზე. ამის საპასუხოდ მათ მიიღეს ძლიერი და აგრესიული რუსეთი, რომელიც სულ მალე საბჭოთა კავშირის არა მარტო სამართალმემკვიდრე, არამედ პოლიტიკური მემკვიდრეც გახდა თავისი იმპერიული ხედვით, ჩაკეტილობითა და დასავლეთისადმი ზიზღით.

აშშ-ის ასაკოვანი პრეზიდენტის მმართველობის პერიოდში აშშ-ის შიგნით არსებული პოლიტიკური ვითარების, ავღანეთიდან ქაოსური გასვლის, ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებში გაჩენილი უთანხმოებებისა და მსოფლიოში არსებული მწვავე ენერგეტიკული კრიზისის ფონზე რუსეთმა შეძლო საერთაშორისო სამართლის პრინციპების რევიზიის საფუძველზე სერიოზული საფრთხე შეექმნა ევროპის უსაფრთხოების სისტემისათვის. მისი მცდელობები „რუსული“ ტერიტორიების სამხედრო ძალის გამოყენებით „დაბრუნების“, რომლებიც, კრემლის ხედვით, საბჭოთა კავშირის დაფუძნების, ან შემდგომ პერიოდში მოკავშირე რესპუბლიკების შემადგენლობაში აღმოჩნდა, თავისუფალი სამყაროს ლიდერებმა შეაფასეს როგორც თანამედროვე საერთაშორისო წესრიგის გადახაზვის, საბჭოთა კავშირის აღდგენის და, რაც მთავარია, ავტოკრატიების მხრიდან დემოკრატიული სამყაროს წინააღმდეგ გამანადგურებელი დარტყმის მიყენების გეგმა. ამიტომაც ცივილიზებული სამყაროს მხრიდან მოხდა სრული კონსენსუსი უკრაინის საკითხთან დაკავშირებით. კონსესუსი შეეხო არა მხოლოდ პოლიტიკურ სემანტიკას, არამედ დასავლეთი სოლიდარული გამოდგა ქმედითი დახმარების გაწევაშიც, რაც გამოიხატა უპრეცედენტო სამხედრო მხარდაჭერაში, აშშ-ის მხრიდან ლენდ-ლიზის კანონი მიღებასა და ისეთი ყოვლის მომცველი ეკონომიკური სანქციების დაწესებაში, რომლის მსგავსი ტიპის ეკონომიკური ზომები, BBC-ს განაცხადებით, არასდროს ყოფილა მიღებული.

რუსეთ-უკრაინის ომის სახით რუსეთის გზავნილმა საერთაშორისო თანამეგობრობისათვის საერთაშორისო პოლიტიკაში პოლიტიკური ლანდშაფტის კონტურების ცვლილებების შესახებ ახალი წესრიგის შემომქმედის - აშშ-ს პოზიციების შესუსტების ხარჯზე, ბევრი სახელმწიფო ეგზისტენციური გამოწვევების წინაშე დააყენა, განსაკუთრებით კი დასავლური ორიენტაციის მქონე პოსტსაბჭოთა ქვეყნები, რომელებმაც სწორედ აღნიშნული წესრიგის პირობებში შეძლეს დამოუკიდებლობის აღდგენა და შენარჩუნება. მათ შორისაა საქართველოც. ეს პროცესი შეიძლება ნეგატიურად აისახოს საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებებზე, როგორიცაა არაღიარების პოლიტიკა, დეოკუპაცია, ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება.

# რუსეთ-უკრაინის ომი ჰანთინგტონის „ცივილიზაციათა შეჯახების თეორიის ჭრილში

**ვაჟა შუბითიძე**
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სემუელ ჰანთინგტონის (1927-2011 წ.წ.) გახმაურებულ ნაშრომს „ცივილიზაციათა შეხლა“ (1993 წ.) გულგრილი არავინ დაუტოვებია - არც მისი თანამედროვენი და არც მომდევნო თაობა - იგი უმალვე პოლიტიკური მეცნიერების კლასიკად შეირაცხა.

აღნიშნულ ნაშრომში ავტორმა ჩამოაყალიბა 10 თეზისი (დებულება), რომელთა ნაწილი მართლაც დაადასტურა ცხოვრებამ და განვლილმა დრომ, ზოგიც ნაწილობრივ დადასტურდა, ნაწილი კი საერთოდ არ დადასტურდა, განსაკუთრებით რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომის დროს.

ნაშრომის დაწერიდან თითქმის 30 წელი გავიდა. საინტერესო იქნება ვნახოთ ჯერ ის, თუ რა დადასტურდა ნაწილობრივ.

ჰანთინგტონის მე-5 თეზისი ჟღერს შემდეგნაირად: *„საერთაშორისო ურთიერთობებში დასავლეთის ქვეყნები სულ უფრო და უფრო მცირე როლს ითამაშებენ, ხოლო არადასავლური ცივილიზაციები ამ ურთიერთობათა ობიექტებიდან აქტიურ მოქმედ პირებად იქცევიან”.*

კვლევის ჩატარების მომენტში აშშ ერთადერთი ზესახელმწიფო იყო, სამყარო კი - ერთპოლუსიანი. ამის შემდეგ სერიოზულ სამხედრო-ეკონომიკურ ძლიერებას მიაღწიეს ჩინეთმა, რუსეთმა, ინდოეთმა, ბრაზილიამ, სამხრეთ კორეამ და სხვა ქვეყნებმა და დღეისათვის, შეიძლება ითქვას, რომ სამყარო ერთპოლუსიანი ფაქტიურად აღარაა, თუმცა აშშ მაინც ინარჩუნებს თავის ძლიერებას და უპირატესობას სამხედრო-ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ სფეროებში. ეს დაადასტურა რუსეთ-უკრაინის ომმა, რომელშიც უკრაინის ყველაზე ეფექტურ და მოცულობით დახმარებას (ომის 5 თვეში 60 მილიარდი დოლარით დაეხმარნენ, რაც რუსეთის წლიური სამხედრო ბიუჯეტის ტოლია) დღემდე აშშ უწევს და ეს ციფრი კიდევ გაიზრდება.

ანუ აშშ-ის უპირატესობა ამ ქვეყნებთან შედარებით შემცირდა, მაგრამ იგი მაინც უპირობო ლიდერია ამ მიმართულებით და შეუძლია უზრუნველყოს სანქციების დაწესება რომელიმე აგრესორი (მაგ. რუსეთი) ქვეყნისათვის თითქმის მსოფლიო მასშტაბით.

ჰანტინგტონის მე-3 თეზისით - *„მომავლის კონფლიქტები მოხდება, და უკვე ხდება, განსხვავებულ ცივილიზაციათა შორის არსებული კულტურული ნაპრალების გასწვრივ (ამიერკავკასია, ბოსნია და ა.შ.)”.*

ეს თეზისიც (დებულებაც) ნაწილობრივ გამართლდა. სამხრეთ კავკასიას და ბოსნიას შემდეგში დაემატა იუგოსლავიის დაშლის შედეგად დაწყებული ომებიც, მაგრამ აშშ-ის წინააღმდეგ ტერაქტების (2001 წლის 11 სექტემბერი) შემდეგ აშშ-ნატოს მიერ დაწყებული ომები ავღანეთსა და ერაყში, ომები ლიბიასა და სირიაში, თუნდაც რუსეთ-საქართველოს 5 დღიანი ომი (2008 წლის აგვისტოში) განსხვავებულ ცივილიზაციათა შორის არსებულ კულტურული ნაპრალების გასწვრივ არ ყოფილა.

ახლა იმ თეზისების შესახებ რომელიც ფაქტიურად არ გაამართლა რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომმა.

ჰანთინგტონის მე-7 თეზისის თანახმად *“განსხვავებულ ცივილიზაციათა წარმომადგენელ ერებსა და ჯგუფებს შორის მომხდარი კონფლიქტები უფრო ხშირი, ხანგრძლივი და დამანგრეველი იქნება, ვიდრე ცივილიზაციათა შიგნით მომხდარი კონფლიქტები”.*

რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომი (სლავურ-მართლმადიდებლური ცივილიზაციის შიგნით მყოფ ქვეყნებს შორის) ბოლო პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი ომია, რომელშიც ორივე მხრიდან დაღუპულია 50 ათასამდე ჯარისკაცი, 100 ათასი მშვიდობიანი მოქალაქე უკრაინის

მხრიდან. განადგურებულია 700-ზე მეტი თვითმფრინავი და ვერტმფრენი, 5 ათასამდე ტანკი და ათასობით სამხედრო ტექნიკა ორივე მხრიდან. რუსეთმა უკრაინის ტერიტორიის ანექსიისათვის გამოიყენა 8 მილიარდი დოლარის მარტო რაკეტები (1500 ცალზე მეტი). სულ ტრილიონ დოლარზე მეტი დაიხარჯა ორივე მხრიდან 5 თვის განმავლობაში და ყველაფერი კიდევ წინაა.

ჰანთინგტონის მე-10 თეზისის მიხედვით *„უახლოესი მომავლის ცენტრალური კონფლიქტი იქნება კონფლიქტი დასავლეთისა და ისლამური და კონფუციური ცივილიზაციების წარმომადგენელ ზოგიერთ ქვეყანას შორის, რომლებიც უკვე ემუქრებიან დასავლეთის ფასეულობებს, ინტერესებსა და ძლევამოსილებას".*

როგორც განვლილმა დრომ აჩვენა, დასავლეთს სერიოზულად ჯერჯერობით მხოლოდ 2 ძალა უპირისპირდება: ღიად-ხისტად -პუტინის რუსეთი და შეფარულად (ფინანსური და რბილი ძალით)- ჩინეთი. ჩინეთმა დიდ წარმატებებს მიაღწია ეკონომიკური და ტექნოლოგიური მიმართულებით, ბევრად გადაუსწრო რუსეთს, ეკონომიკურად თითქმის დაეწია აშშ-ს, თუმცა ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩება სამხედრო ტექნოლოგიური კუთხით (მაგ. მე-5 თაობის სამხედრო თვითმფრინავები აშშ-ს ჰყავს 1780 ცალი, ჩინეთს 150, რუსეთს სულ 3 ცალი, იგივე ითქმის ავიამზიდებზეც 10-3-1).

რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომმა ასევე აჩვენა რუსეთის სამხედრო ჩამორჩენილობაც. ჩინეთი ძალიან პრაგმატულად იქცევა - გაურბის სამხედრო კონფლიქტს აშშ-რუსეთთან, მაგრამ ეფექტურად იყენებს ფინანსებს და რბილ ძალას მსოფლიოს ყველა კონტინენტზე თავისი გავლენის გასაგრძელებლად. სავარაუდოდ 15-20წელიწადში ის გადაუსწრებს აშშ-ს სამხედრო თვალსაზრისითაც კი, თუ ჩინეთში ეკონომიკური ზრდა დღევანდელი ტემპებით გაგრძელდა. რუსეთის აგრესია უკრაინაში და იქ ჩადენილი სამხედრო დანაშაულებანი, უკრაინის ძლიერი წინააღმდეგობა დასავლეთის დახმარებით ფიტავს რუსეთს და დამარცხების შემთხვევაში მას მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ აქცევს. ამ შემთხვევაში მართალი იყო ჰანთიგტონი, როცა წერდა: "მას შემდეგ, რაც მარქსისტებივით აღარ იქცევიან, რუსები თუ ლიბერალურ დემოკრატიაზეც უარს იტყვიან (რაც გააკეთა პუტინმა - ვ.შ.), ანუ მოიქცევიან როგორც რუსები და არა როგორც დასავლელები, მაშინ ურთიერთობა რუსეთსა და დასავლეთს შორის შეიძლება ისევ "გაცივდეს" და კონფლიქტურიც გახდეს", რაც ასრულდა კიდეც დღევანდელი აშშ-ნატო-რუსეთის დაპირისპირებით უკრაინაში. გამართლდა ჰანთინგტონის ის დებულებაც, რომ უფრო ინტენსიური და მჭიდრო გახდება კონფუციანურ-ისლამური კავშირი (ჩინეთი-ჩრ. კორეა, ჩინეთი-პაკისტანი, ჩინეთი-ირანი და ა.შ.) და გაძლიერდება მისი დაპირისპირება დასავლეთის ინტერესებთან, ფასეულობებთან და ძალაუფლებასთან.

საინტერესოა ჰანთინგტონის რჩევები დასავლეთისათვის, რომ მან უნდა "მხარი დაუჭიროს სხვა ცივილიზაციებში იმ ჯგუფებს, ვინც სიმპათიას გამოხატავს დასავლური ღირებულებებისადმი და ინტერესებისადმი". აქ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ უკრაინა, საქართველო, მოლდოვა. ძალიან გონივრულად გვეჩვენება ჰანთინგტონის ის დასკვნაც, რომ "სხვა ცივილიზაციებთან ურთიერთობისას საკუთარი ინტერესების დასაცავად დასავლეთს არა მარტო ეკონომიკური და სამხედრო უპირატესობის შენარჩუნება მოეთხოვება, არამედ არადასავლურ ცივილიზაციათა საფუძველში ჩადებული სიღრმისეული, რელიგიური და ფილოსოფიური შეხედულებების და მათი ცხოვრების წესის უფრო ღრმა გაგებაც.

გარკვეული მცდელობა გახდება საჭირო როგორც დასავლეთის, ისე სხვა ცივილიზაციების მხრიდან, ერთმანეთში განსხვავების გარდა მსგავსების შესამჩნევადაც".

# აშშ - რუსეთის დაპირისპირება ახლო აღმოსავლეთის რეგიონში

**ლილი ხარჩილავა**
საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აშშ და რუსეთი მსოფლიოს წამყვანი ბირთვული ზესახელმწიფოებია. შეიძლება ითქვას, რომ მათ ურთიერთობებზე კაცობრიობის ბედიც კია დამოკიდებული. ამ ორ სახელმწიფოს შორის თანაფარდობაა ურთიერთგანადგურების შესაძლებლობაში, შესაბამისად ორივე ერიდება უკიდურეს და რადიკალურ დაპირისპირებას.

ამჟამად აშშ-რუსეთს შორის ურთიერთობები უკიდურესად დაიძაბა უკრაინაში მიმდინარე მოვლენების გამო, მაგრამ, გარდა უკრაინისა, რუსეთისა და აშშ-ის წინააღმდეგობები პლანეტის ბევრ ადგილას იკვეთება. ერთ-ერთი ასეთი რეგიონია ახლო აღმოსავლეთი.

ახლო აღმოსავლეთი აშშ-სათვის უაღრესად საკვანძო რეგიონია, მდიდარი ბუნებრივი რესურსებით, რომელიც მთელს დასავლეთს ნავთობით ამარაგებს. რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე ნავთობზე ფასები უკიდურესად გაიზარდა, რის გამოც აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა ვიზიტი განახორციელა საუდის არაბეთში, საიდანაც მიიღო თანხმობა ნავთობის მოპოვების გაზრდის შესახებ.

რუსეთის ფედერაცია ასევე ცდილობს ახლო აღმოსავლეთის რეგიონში სიტუაცია თავის სასარგებლოდ შეცვალოს. სულ ახლახან რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი თეირანში იმყოფებოდა, სადაც შეხვდა როგორც ირანის პრეზიდენტს, ისე თურქეთის პრეზიდენტსაც. რუსეთის მიზანია შექმნას ალტერნატიული ეკონომიკური პოლუსი და დაუპირისპირდეს აშშ-ს.

ირანის ბირთვული პროგრამა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ვექტორია რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ახლო აღმოსავლეთში. რუსეთი ამ პროგრამაში სრულადაა ჩართული, რაც აშშ-ის შეშფოთებას იწვევს, მით უფრო, რომ ამ პრობლემით ყველაზე მეტადაა დაინტერესებული აშშ-ის მოკავშირე ახლო აღმოსავლეთში - ისრაელი. ისრაელის თავდაცვის მინისტრმა სულ ახლახან განაცხადა, რომ მზადაა, საჭიროების შემთხვევაში, ძალაც გამოიყენოს ირანის წინააღმდეგ.

რუსეთს დიდი დიპლომატიური ძალისხმევა სჭირდება ერთის მხრივ არ გაანაწყენოს ისრაელი, ხოლო მეორეს მხრივ შეინარჩუნოს ირანთან იმგვარი ურთიერთობა, რომელიც რეგიონში აშშ-ის გავლენას დააბალანსებს.

აშშ-რუსეთის ურთიერთობებში არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, ესაა რუსეთთან შეთანხმებული მოქმედება, რომელიც აშკარად არსად არ ჩანს, მაგრამ ხშირად იგრძნობა საერთაშორისო პოლიტიკურ ურთიერთობებში.

# თავისუფლების ნატურალისტურ-რაციონალისტური გაგება თანამედროვე ევროკავშირში

**ზურაბ კვეტენაძე**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ევროკავშირი მსოფლიოს ყველაზე წარმატებული ინტეგრაციული გაერთიანებაა, სადაც დაცულია ადამიანის უფლებები, ყველას ეძლევა თანაბარი შესაძლებლობა განვითარებისა და თვითრეალიზაციისათვის. რაც მთავარია ევროკავშირი არის ეკონომიკურად ყველაზე წარმატებული გაერთიანება.

თანამედროვე დასავლურ პოლიტიკურ სპექტრში (მათ შორის საქართველოშიც) ევროკავშირთან მიმართებით ხშირად გავიგონებთ ფრაზას „თავისუფალი სამყარო“, მაგრამ უმრავლესობა, როგორც წესი, ნაკლებად ინტერესდება სწორედ იმით, თუ როგორი თავისუფლებაა დასავლურ სამყაროში. ბევრისთვის ეს მხოლოდ პირადი ცხოვრების წესით განისაზღვრება. არადა ყველა დიდი მეცნიერი, პლატონიდან და არისტოტელედან დაწყებული, ჰეგელით დამთავრებული, ხაზს უსვამდა თავისუფლების შინაგან ფაქტორებს. თავისუფლება სწორედ სულის (გონის) სამყაროს ნაწილია, სულის შინაგანი დინამიკაა. ეს კარგად ესმოდათ სწორედ ევროპული აზრის აღიარებულ მკვლევარებს, მისტიკოსებს, სქოლასტიკოსებს. მაგრამ მოდერნის ეპოქამ და ერი სახელმწიფოების ჩამოყალიბებამ ევროპის ტერიტორიაზე თავისუფლების იდეას თითქმის დაუკარგა მისი შინაგანი განზომილება და სრულად დაუქვემდებარა ნატურალისტურ-მეტაფიზიკურ, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით რაციონალისტურ სამყაროს. სწორედ რაციონალიზმმა შექმნა ის ტექნიკური პროგრესი, რომელიც თანამედროვე დასავლეთშია, მაგრამ რაციონალიზმის თვითმიზნად ქცევამ გამოიწვია სულიერების კრიზისი და მივიღეთ პოსტმოდერნისტული სამყარო, სადაც ადამიანის მხოლოდ ეგოისტური პირადი გრძნობებია წინა პლანზე წამოწეული.

თანამედროვე დასავლეთში სახეზეა კულტურის კრიზისი. ეს განსაკუთრებით ეხება დასავლეთ ევროპას, აღმოსავლეთ ევროპულ ნაწილში კი გაძლიერდა ნაციონალისტური მისწრაფებები. ამას რა თქმა უნდა თავისი მიზეზები აქვს.

ჩვენ არ ვამტკიცებთ იმას, რომ დასავლეთში არავინ აღიარებს ტრადიციას, ხშირად ამგვარ მოსაზრებებს რუსული პროპაგანდა უწყობს ხელს, მარამ უნდა ვაღიაროთ, რომ თავისუფლების სრულმა ნატურალიზაციამ და მხოლოდ ადამიანის ეგოისტურ გრძნობებზე მისმა მიბმამ თავისუფლების იდეას თავისი მისტიური და სულიერ-საკრალური საფუძველი დაუკარგა.

დღეისათვის თამამად შეიძლება ითქვას, რომ ცნობილი გერმანელი მოაზროვნის ოსვალდ შპენგლერის შეხედულება ევროპული კულტურის დაცემის შესახებ, აღმოჩნდა მართალი, მაგრამ გერმანელ მოაზროვნეს არსად უთქვამს, რომ არ იყო შესაძლებელი როდესმე ახალი რენესანსის, აღორძინების ეპოქის დაწყება. ვიმედოვნოთ, რომ ევროპელები, რომლებიც ყველაზე მეტად გამოირჩეოდნენ მოვლენათა გადაფასებით და რეალობის სწორი აღქმით, კვლავაც დაუბრუნდებიან სულიერებას, რაც მათ გაცილებით მეტ მომხრეს შესძენს.

# აშშ-სა და ჩინეთს შორის კონფლიქტი და ბრძოლა ჰეგემონობისათვის

**ვალერი მოდებაძე**
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

კვლევის მიზანი იყო აშშ-სა და ჩინეთს შორის არსებული კონფლიქტის გაანალიზება და მეცნიერულად შესწავლა. კვლევის დროს გამოყენებულ იქნა დოკუმენტის ანალიზის მეთოდი, რომლის საშუალებითაც მოპოვებული იქნა სანდო და ვალიდური ინფორმაცია აშშ-სა და ჩინეთს შორის არსებული დაპირისპირების შესახებ. სხვადასხვა მნიშნველოვანი დოკუმენტის მოძიება მოხდა ინტერნეტის საშუალებით. ინტერნეტში მოძიებული დოკუმენტების მეშვეობით სიღრმისეულად გაანალიზებულ იქნა ამ ორ ზესახელმწიფოს შორის არსებული კონფლიქტი. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ რაც უფრო სწრაფი ტემპით ვითარდება ჩინეთი, მით უფრო იზრდება დაპირისპირება ამ ორ ზესახელმწიფოს შორის. ორივე სახელმწიფოს ჰეგემონური ამბიციები გააჩნია და ეჯიბრებიან ერთმანეთს აზიაში გაბატონებისათვის. ჩინეთის სწრაფმა აღზევებამ გლობალური პოლიტიკის რადიკალური ტრანსფორმაცია გამოიწვია ბოლო ათწლეულებში. ძალთა ბალანსი თანდათანობით აზიისკენ იხრება, რაც ამერიკის შეერთებული შტატების სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. ჩინეთმა ბოლო ათწლეულებში სწრაფი ტრანსფორმაცია განიცადა და გახდა აზიის ყველაზე ძლიერი სახელმწიფო. აშშ შეშფოთებით ადევნებს თვალს თუ როგორ ხდება ჩინეთის სწრაფი აღზევება ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში. ჩინეთი უკვე გახდა რეგიონული ლიდერი აზიაში, რაც ამერიკის შეერთებული შტატებისთვის დიდ გამოწვევას წარმოადგენს. ჩინეთის ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის ზრდასთან ერთად, მუდმივად იზრდება მისი გეოპოლიტიკური ამბიციებიც. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მომავალში ჩინეთსა და აშშ-ს შორის კონფლიქტის ალბათობა არ არის გამორიცხული. აღმოსავლეთ აზიაში ბევრი პოტენციური ცხელი წერტილია სადაც კონფლიქტი შეიძლება ნებისმიერ დროს დაიწყოს აშშ-სა და ჩინეთს შორის. პოტენციურ ცხელ წერტილებად მოიაზრება ტაივანი, აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვა და სამხრეთ ჩინეთის ზღვა. ჩინეთსა და მეზობელ სახელმწიფოებს შორის არსებობს უამრავი ტერიტორიული დავები, რაც შეიძლება მომავალში ღია კონფლიქტში გადაიზარდოს. ამ ტერიტორიული დავების გარდა შეკავების პოლიტიკამაც შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტის ესკალაცია ახლო მომავალში. აშშ აპირებს შეკავების პოლიტიკის გატარებას ჩინეთის მიმართ, რაც გამოიწვევს ურთიერთობების მაქსიმალურად დაძაბვას ამ ორ ზესახელმწიფოს შორის და კონფლიქტის ესკალაციას. ბევრი ექსპერტი თვლის, რომ აშშ და ჩინეთი მომავალში ვერ შეძლებენ „თუკიდიდეს ხაფანგისგან“ თავის დაღწევას.

# ევროკავშირის როლი კვიპროსის კონფლიქტის დარეგულირებაში

**ხატია ვასაძე**
დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თანამედროვეობის მსოფლიოს ძირითად, გადაუჭრელ პრობლემად კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების საკითხი რჩება. შეიარაღებული კონფლიქტების წარმოშობა სხვადასხვა მიზეზების გამო ხდება და, შესაბამისად, მათი გადაჭრის გზები არაერთგვაროვანია. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი მსოფლიო ხელმძღვანელობს 1970 წლის დეკლარაციით „საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ“ და ეუთოს 1975 წლის დასკვნით აქტში ჩამოყალიბებული საერთაშორისო სამართლის პრინციპებით, რომლებიც სახელმწიფოებმა უპირობოდ უნდა დაიცვან, მაინც ვაწყდებით პრობლემებს საერთაშორისო სამართლით აღიარებული ნორმების დაცვის პროცესში.

კვიპროსის კონფლიქტი თურქ და ბერძენ კვიპროსელებს შორის მრავალწლიანი დაპირისპირების შემდეგ გახდა კონფლიქტის მშვიდობიანი ტრანსფორმაციის მცდელობის პრეცედენტი. ეს უკანასკნელი აქტუალურია მისი დროში გაწელილი, მოუგვარებელი მდგომარეობის გამო. საგულისხმოა, რომ კვიპროსის კონფლიქტი გამოირჩევა იმით, რომ მის დარეგულირებაში განსაკუთრებულად აქტიურად არიან ჩართულები საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი ევროკავშირს უკავია.

კვიპროსში 2003 წელს „მწვანე ზოლის“ გახსნით დაწყებულმა ნდობის აღდგენის პროცესმა უზრუნველყო კვიპროსის კონფლიქტის პოზიტიური ტრანსფორმაცია, ევროკავშირის აქტიურმა ჩართულობამ და ქმედითმა ნაბიჯებმა ხელი შეუწყო მხარეთა შერიგებისა და დაახლოების პროცესს, რაც მიჩნეულია მომავალი პოლიტიკური მორიგების წინაპირობად. თანამედროვე მსოფლიოს წესრიგში, თურქეთის ურთიერთობები საბერძნეთთან და კვიპროსის პრობლემის დარეგულირება, ევროკავშირის ჭრილში განიხილება.

# ისრაელი-პალესტინის სამშვიდობო პროცესში ევროკავშირის ჩართულობის ფორმატები

**შორენა ცინცაძე**
დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

წინამდებარე კვლევა ეძღვნება „ისრაელი-პალესტინის სამშვიდობო პროცესში ევროკავშირის ჩართულობის ფორმატების“ პრობლემატიკას. დღევანდელი გეოპოლიტიკური პროცესების - რუსეთ-უკრაინის ომის პარალელურად ისრაელი-პალესტინის ერთსაუკუნოვანი კონფლიქტი მნიშვნელოვან საკითხად რჩება საერთაშორისო ურთიერთობებში, რომელსაც გავლენა აქვს გლობალურ პოლიტიკაზე. ეს არის კონფლიქტი, რომელიც მთელი თაობების მანძილზე გრძელდება და დასაწყისიდანვე გასცდა ადგილობრივ საზღვრებს, იქცა საერთაშორისო კრიზისად და საყოველთაო მშვიდობაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. ისრაელი-პალესტინის სამშვიდობო პროცესში მონაწილეობს, როგორც რეგიონალური ისე საერთაშორისო ორგანიზაციები და სახელმწიფოები.

ისრაელი-პალესტინა-ევროკავშირის ურთიერთობებს დიდი ხნის ისტორია აქვს და ის ევროპის ისტორიას უკავშირდება. ევროპულმა სახელმწიფოებმა დიდი როლი ითამაშეს ისრაელის სახელმწიფოს შექმნასა და, შესაბამისად, კონფლიქტის დაწყებაშიც.

კვლევის მიზანია ისრაელი-პალესტინის კონფლიქტის დარეგულირების პროცესში რეგიონალური ორგანიზაციის - ევროკავშირის ინტერესების, მისი მონაწილეობის ძირითადი მიმართულებების გამოკვეთა და შედეგების შეფასება, საკითხის კვლევა მოხდა მისი კომპლექსური შესწავლით ისტორიული მეთოდის შესაბამისად. ისტორიის მეთოდოლოგიის მიერ დადგენილი პროცედურების თანახმად ჩატარდა მასალის კრიტიკული ანალიზი, რის შემდეგაც მოხდა ინფორმაციის სინთეზური გადამუშავება, დამუშავდა მოცულობითი წყაროთმცოდნეობითი ბაზა და მოხდა ისტორიოგრაფიის მიმოხილვა.

კვლევის ჩატარების შედეგად გამოიკვეთა, რომ 1970 წელს ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობის (EPC) ჩამოყალიბებით თავდაპირველად ევროპული საზოგადოება (EC) და შემდეგ ევროკავშირი (EU) აქტიურად ჩაერთო ისრაელი-პალესტინის კონფლიქტის დარეგულირებაში. ევროკავშირი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად განიხილავს ისრაელი-პალესტინის სამშვიდობო პროცესს და მისი პოზიცია მიმართულია ორი მთავარი მიზნის მიღწევისკენ ორი სახელმწიფოს არსებობისა და ადამიანის უფლებების დაცვისკენ. ევროპას აქვს ძირითადად ეკონომიკური ინტერესები რეგიონში. ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების უდიდესი ნაწილი დამოკიდებულია ახლო აღმოსავლეთის რეგიონზე. ევროკავშირი, როგორც რეგიონალური ორგანიზაცია აღმოსავლეთ იერუსალიმს მიიჩნევს პალესტინის დედაქალაქად. ხოლო ისრაელის მიერ მის ოკუპაციას განიხილავს საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევად. 1977 წლის დოკუმენტში ევროკომისიამ პალესტინელები მოიხსენია, როგორც ხალხი, ასევე აღნიშნა, რომ მოლაპარაკებების დროს გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ისეთი ფაქტორები, როგორიცაა „სამშობლო“ და „ეროვნული იდენტობა“.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ ევროკავშირის დეკლარაციული დიპლომატიის ფარგლებში მიღებული ვენეციის, ბერლინისა და სევილიის დოკუმენტებში ჩანს ურყევი პოზიცია პალესტინის სახელმწიფოს შექმნის მიმართ. ასევე, ახლო აღმოსავლეთის კვარტეტის ყოველწლიური 2002-2021 წლების მოხსენებების შესწავლის შედეგად იკვეთება მისი ერთგული, უცვლელი და პირდაპირი მხარდაჭერა ისრაელი-პალესტინის სამშვიდობო პროცესის მიმართ.

# ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები, როგორც რეგიონული უსაფრთხოების პრობლემა

**სოფიკო ედიშერაშვილი**
დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თანამედროვე მსოფლიოში, არსებული პოლიტიკური პროცესების გათვალისწინებით, ყალიბდება ძალთა ახალი ბალანსი და საფუძველი ეყრება „ახალი მსოფლიო წესრიგის“ არქიტექტურას. აღსანიშნია ის ფაქტი, რომ აღნიშნულ პროცესებში, როგორც ძალაუფლების ხელახალი გადანაწილების, ასევე გლობალური პოლიტიკის ავანსცენაზე კვლავ აგრძელებენ ბრძოლას ახალი თუ ძველი პოლიტიკური აქტორები, რათა მოიპოვონ დომინანტური პოზიცია - სწორედ ის უდიდესი მოთამაშეები, რომელთაც მსოფლიოს მართვის სადავეები ხელთ ეკავათ საუკუნეების განმავლობაში.

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს რა განისაზღვროს ინტერესები სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ კი საქართველოს მაგალითზე მსოფლიოს წამყვანი პოლიტიკური აქტორების მხრიდან. გვსურს ყველა ძირითადი საკითხის წამოწევა, რომელიც თანხვედრაშია როგორც ევროკავშირის, ასევე ნატოს პოლიტიკურ ინტერესებთან რეგიონში. (სსრკ-ის დაშლის და „ცივი ომის“ დასრულების შემდეგი პერიოდიდან). ასევე გვსურს წარმოვაჩინოთ დადებითი და უარყოფითი შედეგები, რომლებიც დიდი მოთამაშეების ინტერესების განხორციელებას სამხრეთ კავკასიაში ახლავს თან.

1990-იანი წლების დასაწყისში შექმნილმა არასტაბილურმა პოლიტიკურმა ვითარებამ სამხრეთ კავკასიაში წარმოშვა კონფლიქტების კერები, რომელიც საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს მძიმე მემკვიდრეობად ერგო საბჭოთა კავშირისგან. „მთიანი ყარაბაღის“, ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის კონფლიქტებმა შეუქმნეს უდიდესი საფრთხე სამხრეთ კავკასიის სტაბილურ განვითარებასა და უსაფრთხოებას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სეპარატისტული მისწრაფებები ზემოხსენებულ კონფლიქტურ რეგიონებში შეინიშნებოდა ჯერ კიდევ სსრკ-ის არსებობის პერიოდშიც. თუმცა, საბჭოთა ცენტრალიზებული გაერთიანება ცდილობდა ყველანაირი გზით თანდათან გაექრო „ეროვნული განსხვავებები“ წევრ ქვეყნებში. აღსანიშნია ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ საფუძველი ჩაეყარა „ნაციონალურ შოვინიზმს, რამაც მისი დაშლა ასეთი ძალადობრივი გახადა, განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიაში“.

რაც შეეხება ქართულ-ოსურ ურთიერთობებს, აღნიშნული იძაბება საგრძნობლად 1985 წლიდან, მას შემდეგ რაც საბჭოთა კავშირში მიმდინარეობდა ე.წ. „გარდაქმნის“ პროცესები. ოსური სეპარატიზმი მწიფდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფონზე. საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის აპარატის მიერ გამოქვეყნებული მოხსენების თანახმად, „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტი ყალიბდებოდა პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კრიმინალურ მოტივებზე დაყრდნობით. შემდგომში ის აისახა: თბილისსა და ცხინვალს შორის „კანონთა ომში“; ქართველ და ოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლიდერთა, ასევე პუბლიცისტთა დისკუსიებში; ოსური და ქართული შეიარაღებული ფორმირებების დაპირისპირებაში.

# ინტეგრაციული პროცესების თავისებურებანი ევრაზიულ სივრცეში

**ჯონი ტატუნაშვილი**
დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ევრაზიული რეგიონის ერთ-ერთი პრობლემა ქვეყნების მიხედვით ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის არათანაბარ განაწილებაში მდგომარეობს. ამ განსხვავებას დიდი მნიშვნელობა აქვს ევრაზიული ინტეგრაციის განვითარებისათვის, ვინაიდან მონაწილეთა თანაბრობა, როგორც რეგიონულ და გლობალურ დონეებზე პოლიტიკურ-ეკონომიკური გავლენის კუთხით, ისე ფიზიკური ზომების თვალსაზრისით, საკმაოდ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს. ეს თეზისი დადასტურებულ იქნა რ. გრინბერგის მიერ მრგვალი მაგიდის - „დიდი ქვეყანა: ინტეგრაციული პროცესების პერსპექტივები პოსტსაბჭოთა სივრცეში „ევრაზიული კავშირის“ ფარგლებში გამართული დისკუსიის მსვლელობისას. მან აღნიშნა, რომ დღესდღეობით მსოფლიოში აღარ არსებობს ისეთი ინტეგრაციული გაერთიანებები, სადაც ეკონომიკის 2/3-ზე მეტი ერთ მონაწილეზე მოდის.

დაკავებული ტერიტორიის ფართობის მიხედვით რუსეთი 3-ჯერ აღემატება ევრაზიული რეგიონის ყველა ქვეყანას ერთად აღებულს, იკავებს რა რეგიონის ტერიტორიის 76%-ს.

უზარმაზარი, რესურსებით მდიდარი რუსეთის ტერიტორია, ქვეყნის პოლიტიკური გავლენა მსოფლიო არენაზე და მისი ეკონომიკური პოტენციალი ევრაზიულ რეგიონში გეოპოლიტიკური ასიმეტრიის წარმოქმნის მიზეზად იქცევა. ეს, თავის მხრივ, ინტეგრაციული პროცესების სხვა მონაწილეთა სრულიად დასაბუთებულ შიშებს იწვევს, ვინაიდან ევრაზიული ინტეგრაციის პროექტებში მონაწილეობა არა მარტო ორმხრივად ხელსაყრელ ურთიერთქმედებას გულისხმობს, არამედ ასევე თანასწორუფლებიან ურთიერთობებს მის ყველა მონაწილეს შორის, მათი ტერიტორიის ზომისგან, ეკონომიკური განვითარების, სამხედრო სიმძლავრისა თუ სხვა ფაქტორებისგან დამოუკიდებლად. გარდა ამისა, რუსეთთან ურთიერთობის გამოცდილებაც და მისი იმპერიალისტური ზრახვების გაძლიერებაც დამაფიქრებელია რეგიონის სახელმწიფოებისათვის. ამისათვის ახლახან მიმდინარე უკრაინის ომიც კმარა.

დღესდღეობით მაღალტექნოლოგიური გადამამუშავებელი მრეწველობა საკმაოდ მცირე წილს შეადგენს ევრაზიული რეგიონის ქვეყნების ეკონომიკებში. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ რეგიონის ქვეყნების ეკონომიკების ყველაზე განვითარებული სექტორია მოპოვებითი მრეწველობა, პირველ რიგში, ენერგომატარებელთა და ნედლეულის მოპოვების სფეროში.

ევრაზიულ რეგიონს აქვს განუახლებელი ბუნებრივი რესურსების: ბუნებრივი აირის, ნავთობის, რკინის, ოქროს, სპილენძის უმდიდრესი მარაგი.

ევრაზიული რეგიონის ზოგიერთ სახელმწიფოში ენერგორესურსების დიდი მარაგების არსებობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათი ეკონომიკების განვითარებაზე. ქვეყნების ენერგეტიკული და სანედლეულო პოტენციალის მაღალი მაჩვენებლები ეკონომიკის საექსპორტო ორიენტირებულობას განაპირობებს, ამასთან, გარდა თავად ნედლეულის ექსპორტისა, სახელმწიფო ასევე ენერგორესურსებზე დაწესებული საექსპორტო გადასახადისგანაც იღებს შემოსავალს.

# ცივილიზაციური დაპირისპირების რამდენიმე ასპექტი რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთობებში

**ოთარ ფარცხალაძე**
დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთობებში ამჟამად ძალზე რთული პერიოდია. 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ რუსეთსა და ევროკავშირს შორის ვითარება უკიდურესად დაიძაბა. ევროკავშირმა რუსეთის მიმართ ეკონომიკური სანქციები გაამკაცრა, თუმცა საკუთარ ეროვნულ ინტერესებს ზიანი არ მიაყენა და რუსეთისგან ენერგო რესურსებს მაინც იღებს, რაც ყოველდღიურად რუსეთის „ყულაბაში" შესული მილიარდებია. ეს მთელ რიგ კითხვებს წარმოშობს ევროკავშირის ორმაგი სტანდარტების შესახებ, მაგრამ, ჩვენი აზრით, აქ გასაკვირი არაფერია, რადგან სახელმწიფოები თუ სახელმწიფოებრივი გაერთიანებანი, როგორც წესი, წინა პლანზე ყოველთვის საკუთარ ინტერესებს აყენებენ.

ევროკავშირისა და რუსეთის ურთიერთობებში, ჩვენი აზრით, გადამწყვეტი მაინც ცივილიზაციური წინააღმდეგობაა. „ცივი ომის" დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბევრი ფიქრობდა, რომ რუსეთი განვითარების დასავლურ გზას აირჩევდა, თავიდან ასეც მოხდა, მაგრამ მალე ყველა დარწმუნდა, რომ რუსეთს საკუთარი იმპერიალისტური ამბიციები ჰქონდა და დიდ სტრატეგიულ გეგმებზე ხელს არ აიღებდა.

რუსეთი წარმოადგენს კონტინენტურ, თელეულოკრატიულ ევრაზიულ სახელმწიფოს, რომელიც ცდილობს საკუთარი პოლუსის ჩამოყალიბებას, ხოლო შემდეგ, გლობალური მასშტაბით თავისი ეროვნული ინტერესების ფართო რეალიზაციას. ამ გზაზე რუსეთი ცდილობს ახალი იდეოლოგიის გამოყენებას, მაგრამ, როგორია ეს იდეოლოგია, ჩამოყალიბებული მწყობრი სტრუქტურით, ჯერჯერობით არ არის ცნობილი. უბრალოდ რუსეთი ცდილობს ეროვნულ-პატრიოტულ და რელიგიურ გრძნობებზე ითამაშოს და ტრადიციულ-კონსერვატიულ მსოფლიოს აუხსნას, რომ აშშ და დასავლეთი მათი ტრადიციული ცხოვრების წესის მტერია. სამწუხაროდ ბევრი რუსეთის ამ პროპაგანდას წამოეგო.

ევროკავშირი კი თავისუფალ ერთა ინტეგრაციული გაერთიანებაა, სადაც ადამიანებს განვითარების სრული შესაძლებლობა ეძლევათ წარმატებული ეკონომიკის პირობებში, თანაც დაცულია ადამიანის უფლებები. ევროკავშირსა და აშშ-ს შორის იყო მთელი რიგი წინააღმდეგობები, არავისთვის გასაკვირი არ არის, რომ აშშ ცდილობს თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის გაძლიერებას ევროპაზე, მაგრამ ამ ფაქტორს დღეს რუსეთმა თავისი ქმედებით კიდევ უფრო შეიწყო ხელი.

რუსეთსა და ევროკავშირს შორის მართალია ეკონომიკური ფაქტორი მნიშვნელოვანია, მაგრამ აშკარაა, რომ მათ შორის გადამწყვეტია განსხვავებული მენტალობა და ცივილიზაციური წინააღმდეგობა.

# აშშ-ევროკავშირის ურთიერთობები და მულტიპოლარული სამყაროს კონტურები

**თამარ ბარამია**
დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მიუხედავად ამერიკის შეერთებული შტატების და ევროკავშირის ურთიერთობების ცვალებადი ხასიათისა, ევროკავშირი-აშშ თანამშრომლობა რჩება ეკონომიკურად ყველაზე მნიშვნელოვან და ინტეგრირებულ ურთიერთობად მსოფლიოში. პარტნიორებს შორის ორმხრივი ვაჭრობა, ინვესტიციები და სხვა ეკონომიკური ურთიერთობები მსოფლიო მასშტაბით ყველაზე დიდია (ნომინალურად) და ურთიერთდამოკიდებული. ევროკავშირ-აშშ-ის ტრანსატლანტიკური ურთიერთობები განსაზღვრავს მსოფლიო ეკონომიკას, კარნახობს ახალ ეკონომიკურ ტენდენციებს და პოლიტიკას, განსაკუთრებით საერთაშორისო უსაფრთხოების პარადიგმების კონტექსტში. ვინაიდან ევროკავშირი და აშშ არიან მსოფლიოს მრავალი ქვეყნის უდიდესი სავაჭრო და საინვესტიციო პარტნიორები, ისინი ქმნიან არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ ინტეგრაციის მხრივ საერთაშორისო არენის პოლიტიკურ დღის წესრიგსაც. აღნიშნული ქვეთავის მიზანია გავაანალიზოთ ამ ორი სუბიექტის თანამედროვე ეკონომიკური მდგომარეობა და ურთიერთკავშირი.

ევროკავშირისა და აშშ-ის ეკონომიკური უსაფრთხოება უზრუნველყოფილია ურთიერთდახმარების, ვაჭრობისა და მაღალტექნოლოგიური უზარმაზარი წარმოების მასშტაბით, რაც გამოიხატება წარმოებასა და მეცნიერებაში ორმხრივი ინვესტიციებით.

უახლოეს მომავალში სხვა მთავარ პრობლემებს შორის, ექსპერტების თქმით, მოსალოდნელია განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე ომთან, წარმოების სუბსიდირებასთან, სახელმწიფო საწარმოებთან, ინტელექტუალური საკუთრების და ტექნოლოგიების ქურდობასთან და გლობალური მიწოდების ჯაჭვების მოშლასთან. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ათწლეულების მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები და ახალი პრობლემები, მათ შორის პოლიტიკური, გახდება ტრანსატლანტიკური პარტნიორობის სერიოზული გამოცდა უახლოეს წლებში. რუსეთ-უკრაინის ომისა და კორონავირუსის პანდემიის კრიზისის ფონზე მოსალოდნელია ახალი გამოწვევები ორივე პარტნიორისთვის, რა დროსაც გამოსავალი იქნება ორი - ან ისინი უფრო მჭიდრო და ურთიერთნდობაზე აწყობილ ურთიერთობებს შექმნიან, ან იზოლაციონისტურ და შიდასახელმწიფოებრივ პოლიტიკაზე გადაერთვებიან. ამჟამინდელი მიმდინარე ომის ფარგლებში შეიძლება ითქვას, რომ ორივე მხარე დარწმუნდა, რომ მათ შორის სამხედრო თანამშრომლობა კრიტიკულია და აუცილებლად გასაღრმავებელი. მაგრამ, რაც შეეხება იმ ეკონომიკურ-სავაჭრო პრობლემებს, რომლებიც ათწლეულობის მანძილზე და განსაკუთრებით ტრამპის პრეზიდენტობის პერიოდში წამოიჭრა, აუცილებლად მოითხოვს ახალი მოლაპარაკებების ფორმატების შექმნას, სახელმწიფოების ეკონომიკური სისტემების ტრანსფორმაციას და შეხების წერტილების პოვნას. აღნიშნული, რა თქმა უნდა, მოითხოვს მშვიდობიან წლებს, რადგან წარმოუდგენელია დღეს არსებული მძვინვარე კრიზისის პირობებში ასეთი მასშტაბის ფორმატის შექმნა შიდასავაჭრო პრობლემების მოსაგვარებლად. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ აღწერილი ეკონომიკური პრობლემები კიდევ რამდენიმე წელი მინიმუმ იქნება აშშ-ევროკავშირის პოლიტიკური ურთიერთობების შემაფერხებელი ელემენტი. მაგრამ, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ 2021 წელმა გვიჩვენა, რომ ორივე მხარე ცხადად იაზრებს ამ პრობლემებს და მზად არის დაიწყოს მათზე მუშაობა.

# რუსეთის ინტერესები კასპიის ზღვის აუზში

**როლანდ ძნელაძე**
დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

კასპიის ზღვის აუზი მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ადგილია, სადაც ნავთობის მოპოვება მიმდინარეობს. XX საუკუნის დასაწყისისთვის ეს რეგიონი უკვე გახლდათ მსოფლიო მასშტაბის ნავთობმოპოვების ცენტრი და უზარმაზარ გეოსტრატეგიულ ფასეულობას წარმოადგენდა. მის დაუფლებას მრავალი სახელმწიფო ცდილობდა. მაგრამ უკვე ექსპლუატაციაში მყოფი საბადოების გარკვეულმა გამოფიტვამ და ციმბირსა და სპარსეთის ყურეში ახალი რეზერვუარების გახსნამ მიგვიყვანა იქამდე, რომ კასპიის ნავთობმა ნაწილობრივ დაკარგა თავისი მნიშვნელობა. კასპიის რეგიონისადმი ინტერესის ამჟამინდელი გამოცოცხლება პირველ რიგში, დაკავშირებულია მის გეოგრაფიულ მდებარეობასთან და მისი, როგორც სატრანზიტო კვანძის როლთან ენერგორესურსების ტრანსპორტირებისათვის. ასევე, ენერგომატარებელთა მოხმარების ზრდისა და ნავთობის მოპოვების ახალი ტექნოლოგიების გამოჩენის გამო კასპიის საბადოებმა კვლავ მნიშვნელობა შეიძინეს, ხოლო 1990-იან წლებში ასევე გახსნილ იქნა რიგი ახალი უმდიდრესი საბადოების კასპიის ზღვის ფსკერის ადრე გამოუკვლევ უბნებში.

ისტორია და გეოგრაფია მჭიდროდ უკავშირებს კასპიის რეგიონს ცენტრალურ აზიასთან, ხოლო ენერგეტიკული მდგენელი კიდევ უფრო აძლიერებს ამ კავშირს იმის გამო, რომ ცენტრალური აზიის ნახშირწყალბადის ძირითადი მარაგები მეტწილად კასპიის რაიონში იმყოფება. გეოპოლიტიკური სიტუაცია რეგიონში პირველ რიგში კასპიის ზღვასთან გასასვლელის მქონე წამყვან რეგიონულ აქტორთა, ესე იგი რუსეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის, თურქმენეთისა და ირანის ურთიერთობებით განისაზღვრება.

დღესდღეობით კასპიის აუზი არარეგიონულ სახელმწიფოთა უზარმაზარ ინტერესს იწვევს, რაც რეგიონში ნავთობის მდიდარი მარაგების შესახებ ვერსიის ფართო გავრცელებასთან და ასევე რეგიონის მნიშვნელოვან მდებარეობასთან არის დაკავშირებული. ეს ფაქტი დღეს ძირითად პრობლემას წარმოადგენს, რომელიც აღელვებს რუსეთსა და ირანს, ასევე რიგ სხვა კასპიისპირა სახელმწიფოს.

კასპიის რეგიონი რუსეთისათვის კი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან მისთვის მიუღებელი ხდება ამ რეგიონის გამოყენება მისი ინტერესების გათვალისწინების გარეშე. დღევანდელი ევროპა აღმოჩნდა ურთულეს ვითარებაში რუსულ გაზზე დამოკიდებულების გამო. ამ ფაქტორის გათვალისწინებით რუსეთი ყველაფერს გააკეთებს, რათა შუა აზიიდან წამოსულმა გაზსადენმა აზერბაიჯანის გავლით ევროპამდე მისი ინტერესების გათვალისწინების გარეშე გაიაროს.

# აშშ-ს საგარეო პოლიტიკის თავისებურებები სპარსეთის ყურის სახელმწიფოებთან

**თამილა ყურაშვილი**
დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სპარსეთის ყურის სახელმწიფოებთან დამოკიდებულების საკითხში აშშ-ის საგარეო პოლიტიკა შეიძლება დავყოთ სამ ძირითად მიმართულებად:

1. აშშ-ს საგრეო პოლიტიკური კურსი არაბულ მონარქიებთან;
2. აშშ-ს საგრეო პოლიტიკური კურსი ერაყთან;
3. აშშ-ს საგარეო პოლიტიკური კურსი ირანთან.

ამერიკის შეერთებულ შტატებს დიდი ხანია სტაბილური ურთიერთობა აქვს არაბეთის ნახევარკუნძულის მონარქიებთან. ამ სახელმწიფოებთან ერთად აშშ-მ შეიმუშავა არაერთი ერთობლივი რეგიონალური ინიციატივა, რომელთა ძირითადი ნაწილი ეხება უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობას, ასევე კონტრტერორისტულ საქმიანობას. არაბულ მონარქიებთან საერთო საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის გარდა, აშშ-მ შეძლო სპარსეთის ყურის არაბული სახელმწიფოების თანამშრომლობის საბჭოს წევრ ექვს სახელმწიფოსთან შეექმნა ორმხრივი კონსტრუქციული თანამშრომლობა.

საუდის არაბეთი ფართოდ იყენებს თავის ავტორიტეტს მთლიან ისლამურ სამყაროში, უზრუნველყოფს აშშ-სთვის ახლო-აღმოსავლური პოლიტიკის მხარდაჭერას და ამცირებს ანტიამერიკულ განწყობას რეგიონში. ამ მიზნით საუდის არაბეთის სამეფო ფართოდ იყენებს მის მიერ კონტროლირებად არაბთა შორის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, კერძოდ, ავტორიტეტულ მედიაკომპანია „ალ არაბიას“.

არაბეთის ნახევარკუნძულის არაბული მონარქიებიდან მნიშვნელობით მეორე სტრატეგიული პარტნიორი აშშ-სათვის არის უაღრესად მაღალგანვითარებული სახელწიფო ყატარი. ყატართან ბოლო წლებში ურთიერთობა დინამიურად ვითარდება, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ ყატარის საგარეო პოლიტიკა და საგარეო ეკონომიკური კავშირების ჩამონათვალში აშშ-ს წამყვანი ადგილი უჭირავს.

სპარსეთის ყურეში კიდევ ერთი სახელმწიფო, რომელიც აშშ-ს სამხედრო-პოლიტიკურ მოკავშირეს წარმოადგენს, ესაა ბაჰრეინი. აშშ ბაჰრეინს ძალზე მნიშვნელოვან სამხედრო დახმარებას უწევს.

აშშ-ის კიდევ ერთ ძირითად სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირედ რეგიონში განიხილება არაბეთის გაერთიანებული ემირატები. მასთან მოკავშირეობა აშშ-ს განსაკუთრებით სჭირდება, რათა შესუსტდეს ირანის გავლენა რეგიონში, სპარსეთის ყურეში.

რამდენადაც ირანის ბირთვული პროგრამა საფრთხეს უქმნის რეგიონალური სტაბილურობას სპარსეთის ყურეში, აშშ მაქსიმალურად ცდილობს უზრუნველყოს პარტნიორ-სახელმწიფოთა უსაფრთხოება რეგიონში, რომელთა შორის ერთ-ერთია ომანი. თუ გავითვალისწინებთ ამ სახელმწიფოს გეოგრაფიულ მდებარეობას, რომელიც სტრატეგიული თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი ორმუზის სრუტის უშუალო სიახლოვეს იმყოფება, უნდა ვივარაუდოთ, რომ აშშ-ს ინტერესი ომანის სასულთნოს მიმართ კიდევ უფრო გაიზრდება.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 2011-2019 წლებში მოახდინა ომანის სამხედრო ბაზების მოდერნიზაცია და **გაზარდა ომანში კურსანტთა** რაოდენობა აშშ-ში, სადაც ისინი სამხედრო საქმეს ეუფლებიან. 2011 წელს სასულთნოსადმი აშშ-ს დახმარებამ 13 მლნ დოლარი შეადგინა.

# აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განთავსების პოლიტიკური თავისებურებები ევროპაში

**კახა ტაბატაძე**
დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2007 წლის 10 თებერვლის მიუნხენის კონფერენციის შემდეგ, როცა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მკაცრად გააკრიტიკა ერთპოლუსიანი მსოფლიოს არსებობა აშშ-ის დომინანტობით, აშშ-ს პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ არაერთი განცხადება გააკეთა, რომ რუსეთი თანდათან მტრულ ბანაკში ინაცვლებდა და საჭირო იყო უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომების მიღება. იმ ეტაპზე საფრთხე ბევრმა ვერ შეამჩნია. საქართველოშიც კი ზოგმა პოლიტიკურმა ექსპერტებმა ზერელედ შეაფასეს რუსეთის პრეზიდენტის გამოსვლა და მას პერიოდული „ორთქლის გამოშვებაც“ კი უწოდეს, რაც უდიდესი შეცდომა იყო. ბირთვული სახელმწიფოს მეთაურის სიტყვებისადმი არასერიოზული მიდგომა ყოვლად მიუღებელი იყო, რადგან რუსეთის ფედერაციამ სიტყვას საქმე მოაყოლა და ჯერ მივიღეთ 2008 წლის აგვისტოს ომი საქართველოში, რის შედეგადაც საქართველომ სრულიად დაკარგა კონტროლი აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთზე, 2014 წელს კი უკრაინის მეორე რევოლუციის შემდეგ რუსეთმა მოახდინა ყირიმის ანექსია და სეპარატისტული კონფლიქტები გააღვივა აღმოსავლეთ უკრაინაში - დონეცკისა და ლუგანსკის რაიონებში.

2022 წლის 24 თებერვალი შექმნილი საერთაშორისო რეალობის დამაგვირგვინებელი აკორდი გახდა. რუსეთის უკრაინაზე თავდასხმამ მსოფლიო შეცვალა. მთელი ევრო-ატლანტიკური სივრცე რუსეთს დაუპირისპირდა და უკრაინას ომში ფართო მხარდაჭერა აღუთქვა. რაც მთავარია, ყველა დარწმუნდა, რომ უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომების მიღება აუცილებელი იყო.

აშშ, რომელიც დემოკრატიული სამყაროს ფლაგმანი სახელმწიფოა, ყველაზე რეალისტურად აფასებდა შექმნილ რეალობას. ამიტომაც რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის ფორმირებას, შემდეგ კი მის პრაქტიკულ რეალიზაციას ევროპული და, შეიძლება ითქვას, მსოფლიო უსაფრთხოებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. დღეს ცივილიზებული მსოფლიო დარწმუნდა, რომ თავდაცვითი საჰაერო კომპლექსების განთავსება ევროპაში სასიცოცხლოდ აუცილებელი ფაქტორია. მიუხედავად იმისა, რომ აშშ და მისი პოლიტიკური პარტნიორები სისტემატიურად აცხადებდნენ, რომ ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განთავსება რუსეთის წინააღმდეგ არ იყო მიმართული, დღეს ყველასათვის ცხადია, რომ ამ კომპლექსებმა რუსეთის შემაკავებელი ფუნქცია უნდა შეასრულოს. როგორც ჩანს, აშშ თავს იზღვევდა და ეს სავსებით ბუნებრივი იყო.

დღეისათვის საერთაშორისო არენაზე შექმნილი რეალობა გვკარნახობს, რომ აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განთავსება ევროპაში შევაფასოთ პოლიტიკური რეალიზმის პრიზმიდან, რადგან აღნიშნული კლასიკური პარადიგმის ფარგლებში საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხში ძალის გამოყენება, ან კიდევ ძალის გამოყენების მუქარა (მოცემულ შემთხვევაში, ოფიციალური ვერსიით, მესამე სამყაროს ქვეყნების მხრიდან სარაკეტო შეტევითი მუქარა) წარმოადგენს უმთავრეს არგუმენტს.

# საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის გზაზე

**ლევან კვირკვაია**
დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საკვლევის თემის აქტუალურობა განაპირობა უკრაინაში დღეს მიმდინარე პროცესებმა, რომელმაც არსებითად შეცვალა გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ვითარება ევრაზიის კონტინენტზე და მთლიანად მსოფლიოში. ეს პროცესი თვალსაჩინო მაგალითია, პირველ რიგში, პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის და მათ შორის საქართველოსთვისაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა ვიმოქმედოთ ქვეყნის ძირეული ინტერესების გააზრებით და მათ შესაბამისად. უფრო კონკრეტულად, შევიმუშაოთ საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები, რომელიც ყველაზე მეტად წაადგება ქვეყანას დასავლური ცივილიზაციისაკენ ინტეგრაციის გზაზე. აღნიშნული საკითხი ძალზე რთულია, სერიოზულ შესწავლას და გაანალიზებას საჭიროებს.

კვლევის მიზანია ქვეყნისათვის აუცილებელი საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტების განსაზღვრა და სამომავლო პერსპექტივების ჩამოყალიბება. მსოფლიოში უსაფრთხოების კუთხით შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, იმ პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიება, რაც დაკავშირებულია ეროვნული უსაფრთხოების ახალი ხედვის ჩამოყალიბებასთან.

# 1985 წლის ჟენევის რეიგან-გორბაჩოვის შეხვედრა - საწყისი მოვლენა მსოფლიო ახალი წესრიგის გზაზე

**ედიშერ გვენეტაძე**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობაში მოსულ მ. გორბაჩოვს და მის თანამოაზრეებს აუცილებლად სჭირდებოდათ ქვეყნის მოდერნიზაციისათვის პოლიტიკური ცვლილებებიც, რასაც მათ დაარქვეს ე.წ. „საჯაროობა და დემოკრატია“.

1985 წლის ზაფხულში გორბაჩოვის ბრძანებით საბჭოთა კავშირს ცალმხრივად უნდა შეეწყვიტა მიწისქვეშა ბირთვული ტესტირება. 1985 წლის შემოდგომაზე 19-20 ნოემბერს ჟენევაში დაინიშნა შეხვედრა სკკპ გენერალურ მდივანსა და შეერთებული შტატების პრეზიდენტს შორის.

1985 წლის სექტემბერში გორბაჩოვის პირადი შეტყობინება გადასცა შევარდნაძემ. პირველი შეთავაზება ითვალისწინებდა შეთანხმებულიყვნენ ერთმანეთის ტერიტორიებზე ბირთვული ქობინების რაოდენობის განახევრებას! (თითოეულს ექვსი ათასი ქობინი ჰქონდა). მეორე, გორბაჩოვმა შესთავაზა დაედოთ შეთანხმება საშუალო მანძილის რაკეტებზე, კოსმოსური და სტრატეგიული იარაღზე კავშირის გათვალისწინების გარეშე.

ამით, ფაქტობრივად, გორბაჩოვმა ჟენევის მოლაპარაკების წინ წინასწარ „გასაწირად“ დააყენა სსრკ-ის პოზიციები.

ამერიკელები ჟენევის სამიტისთვის საფუძვლიანად მოემზადნენ. ამერიკელი ანალიტიკოსების სამი დამოუკიდებელი ჯგუფი სწავლობდა კითხვებს: რა ხდება სინამდვილეში სსრკ-ში და რა სურს კრემლს? მართლა შეცვალეს საბჭოთა პოლიტიკის საფუძვლები, თუ უბრალოდ მშვიდობიანი შესვენებით სურთ მოიპოვონ ძალა და შემდეგ დაიწყონ თავდასხმა დასავლეთზე? ექსპერტების უმეტესობა მეორე ვარიანტის მომხრე იყო.

1985 წლის ნოემბრისთვის ამერიკელთა ხელმძღვანელობამ შეძლო ჟენევის მოლაპარაკებებში „რეიგან-გორბაჩოვის“ საბოლოო პოზიციის შემუშავება. რომელიც მდგომარეობდა შემდეგში-აშშ-ის ძველი პოლიტიკა უნდა გაგრძელებულიყო სტაბილურად და მტკიცედ. არავითარი დათმობა არ უნდა ყოფილიყო მოსკოვისთვის „ვარსკვლავურ ომებზე“. 1985 წლის 19 ნოემბრის გორბაჩოვი და რეიგანი ერთმანეთს შეხვდნენ ჟენევის ტბის სანაპიროზე ვილაში „წყლის ყვავილები“.

ჟენევის შეხვედრის შემდეგ რეიგანი ზეიმობდა. სახლში დაბრუნების შემდეგ იგი დაწერს: „თუ მას ნამდვილად სურს შეიარაღების კონტროლზე შეთანხმება, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მას სურს შეამციროს სამხედრო ხარჯების ტვირთი, რომელიც გუდავს საბჭოთა კავშირს ეკონომიკას. მხოლოდ ეს განსაზღვრავს მისი წინააღმდეგობას SDI-სთან. მას სურს აირიდოს ჩვენთან კონკურენციის ხარჯები“.

ნათელი იყო, რომ იწყებოდა ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში, რომელიც უნდა დამთავრებულიყო მსოფლიო ახალი წესრიგის შექმნით, რომელიც დღემდე საბოლოოდ არ დამთავრებულა.

# კოსოვოს პრობლემა და საერთაშორისო თანამეგობრობის როლი მისი სახელმწიფო მშენებლობის პროცესში

**ანი ბუკია**
დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

კოსოვო, მსოფლიოს ყველაზე პროდასავლური სახელმწიფო, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში. კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და მისი ცნობის საკითხი ჯერ კიდევ გადაუჭრელია მსოფლიო პოლიტიკურ დღის წესრიგში. მიუხედავად ამისა, აშკარაა მისი პრეცედენტული ხასიათი და მასზე აპელირებით თანამედროვე კონფლიქტების გადაჭრის მცდელობა. იმისათვის, რომ შევაფასოთ თუ რამ განაპირობა სეცესიის აღიარება დასავლური სახელმწიფოების მხრიდან, არ არის საკმარისი მივყვეთ თავდაცვითი სეცესიის მოდელს, და შემოვიფარგლოთ კოსოვოს ეროვნული მახასიათებლებისა და უნიკალურობის ანალიზით, ეროვნული იდენტობის გამოღვიძების პერიოდის დადგენით. კოსოვოს შემთხვევა სწორედ ის უპრეცენდენტო მოვლენა იყო, რომელმაც დაასრულა ცივი ომის შემდგომი „მეგობრობის“ ეპოქა, იქიდან გამომდინარე, რომ კონფლიქტი გასცდა ერი-სახელმწიფოს და უმცირესობათა ნაციონალიზმის ფარგლებს და მიიღო ორი სუპერსახელმწიფოს გავლენის სფეროების განაწილების პრობლემის სახე. კვლევაში მიმოვიხილავთ კოსოვოს ავტონომიურობისკენ სწრაფვის, სახელმწიფო მშენებლობის ხანგრძლივ პროცესს, რაც, თავის მხრივ, ცხადყოფს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობის და აქტიური მხარდაჭერის გარეშე, კოსოვო ვერ შეძლებდა სერბეთისგან გამოყოფას. აღნიშნული კი ბადებს საერთაშორისო სამართლის დარღვევის ლეგიტიმურ ეჭვს და მის პრეცენდენტად გამოყენების სერიოზულ საშიშროებას სხვა სეპარატისტულ რეგიონებთან მიმართებით.

კვლევის დროს გამოყენებული იქნა თვისებრივი კვლევის და შემთხვევის ანალიზის მეთოდები. პირველ რიგში შეფასდა კოსოვოს სახელმწიფოს მშენებლობის პროცესი ნაციონალური იდენტობის განმსაზღვრელ ისეთ ელემენტებზე ყურადღების შეჩერებით, როგორიცაა დემოგრაფიული მახასიათებლები, სახელმწიფო ენა და სხვა ენები, რომლებზეც საუბრობს მოსახლეობა, სუბიექტის ისტორიული წარსული და პოლიტიკური კონსტრუქციები, რომლების ქვეშაც იგი აქამდე არსებობდა. შემდგომ, შევისწავლეთ კოსოვოს ავტონომიურობისკენ სწრაფვის პროცესი, მის ხელისშემშლელ ფაქტორები და ჰუმანიტარული მდგომარეობა კოსოვო-სერბეთის კონფლიქტის მიმდინარეობისას, რამაც, თავის მხრივ, საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება მიიქცია.

საბოლოოდ, იქიდან გამომდინარე, რომ დღეისათვის ხშირია კოსოვოს შემთხვევაზე მითითებები პოლიტიკურ განცხადებებში, ადგილი აქვს მოსახლეობის დაცვის არგუმენტზე აგებული აგრესიულ აქტებს მესამე სახელმწიფოს მხრიდან. აქედან გამომდინარე, საჭიროა დასავლური ქვეყნების ჩართულობის როლის ანალიზი კონფლიქტის დაძლევასა და პროცესების ნორმალიზაციაში. კვლევის ძირითადი მიზანია აშშ და რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით კოსოვოს სეცესიის დანახვა და პოტენციურად ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების საფრთხის განსაზღვრა.

კოსოვოს მცირეხნიანი სახელმწიფოებრიობის ისტორიის ფონზე საერთაშორისო ურთიერთობებისთვის მნიშვნელოვან მოვლენათა შეფასებით, შეიძლება პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს - რით განსხვავდება კოსოვოს შემთხვევა სხვა სეცესიურ მისწრაფების მქონე რეგიონებისგან ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, და რა მომავალი აქვს ახალ, ხელოვნურად შექმნილ სახელმწიფოს, რომლის არსებობასაც არ ცნობს „მშობელი სახელმწიფო“ და მსოფლიო ქვეყნების 1/3-ზე მეტი.

# თანამედროვე მსოფლიოს ექსტრადიციის პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტები

**თორნიკე გვენეტაძე**
დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობისა და ურთიერთობის ინსტიტუტის საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია ექსტრადიციასთან, თანამედროვე მსოფლიოში უდავოდ აქტუალურ და მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობების ფორმატში, სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივ ორგანოებს თანამშრომლობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკანონმდებლო დონეზე საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების სფეროში განხორციელებული მოქმედებებისა და პროცედურული საკითხების სრულყოფა გამორიცხავს ექსტრადიციის საკითხისადმი ორმაგ მიდგომას, ხელს შეუწყობს მტკიცებულებათა დაკავშირებით არასწორად ჩამოყალიბებული პრაქტიკის აღმოფხვრას, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს კორუფციისა და მიკერძოების რისკის შემცირებას. ასევე ყურადღება გამახვილებული იქნება ურთიერთდახმარების ფორმატში სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივ ორგანოების შესაძლებლობებზე, როდესაც ქვეყნებს შორის არ არის დიპლომატიური ურთიერთობები. კვლევაში დიდი ადგილ ვუთმობთ ექსტრადიციის გახმაურებული ფაქტებისგან მიღებულ „გაკვეთილებს“.

# კორუფციის ტრანსნაციონალური ხასიათი - ბრძოლის სამართლებრივი და პოლიტიკური მექანიზმები

**ნოშრევან ოქროპირიძე**
დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თანამედროვე პირობებში კორუფცია უკვე გვევლინება არა ნაციონალურ, არამედ მულტინაციონალურ, გლობალურ პრობლემად. უნდა ითქვას ისიც, რომ დღევანდელი და ათეულობით წლების წინანდელი კორუფცია ძალზე განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა მისი არსი იგივე რჩება. კორუფცია იქცა რეალურ საფრთხედ კაცობრიობისათვის როგორც ერთ-ერთი ყველაზე დესტრუქციული და სახიფათო მოვლენა. კორუფცია, როგორც ტრანსნაციონალური საფრთხე სისტემატიურად განიცდის ევოლუციას და უფრო მრავალფეროვანი ხდება. სამწუხაროდ, ინფორმაციულ ეპოქაში გადასვლასთან ერთად უპრეცენდენტოდ გაფართოვდა კორუფციონერების მოქმედების არეალი და მასშტაბები. უფრო მეტიც, კორუფცია გახდა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მზარდი კრიმინალური საქმიანობა. იგი ხელყოფს საზოგადოების ფუნდამენტურ ღირებულებებს, საფრთხეს უქმნის დემოკრატიას, თავისუფალ საბაზო სისტემას, ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებას.

# ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) და უკანონო მიგრაციასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკა

**გიორგი კაკულია**
დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), უკანონო მიგრაცია და მასთან გამკლავების მეთოდებზე მსჯელობა მსოფლიოს არცერთ რეგიონში არ კარგავს აქტუალობას. მისი აღკვეთისათვის აუცილებელი პირობა არის სათანადო სახელმწიფო პოლიტიკის არსებობა. საგულისხმოა, რომ საქართველოც სერიოზული გამოწვევების წინაშეა, რაც ძირითადად გამოწვეულია სამხრეთ კავკასიაში შექმნილი ტრეფიკინგული ფონითა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან, ასევე რუსეთის ფედერაციიდან მომდინარე საფრთხეებით და უკრაინაში შექმნილი ვითარებით. ეს, რა თქმა უნდა, რეგიონის ქვეყნებში საფრთხეს უქმნის დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას. ასეთ დროს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ინსტიტუციური თანამშრომლობის მექანიზმების სრულყოფა, ვინაიდან არ არის გამორიცხული რუსეთმა საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენოს კავკასიის რეგიონის სატრანზიტო დატვირთვა, რომელიც დღეს გააჩნია რეგიონს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა ამ ქვეყნების ლიდერებმა ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებისა და ტრეფიკინგის, უკანონო მიგრაციის პრევენციის მიზნით, იფიქრონ ერთობლივი ინსტიტუტების, კერძოდ, კავკასიაში ანტიტრეფიკინგული რეგიონალური ორგანიზაციის შექმნაზე.

# ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების გავლენა დემოკრატიულ პროცედურებზე

**ანა გეთია**
დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის წინამძღოლი - ხელოვნური ინტელექტი, უკვე იქცა საუკუნის ტრენდად. დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი მასშტაბები გასცდა ტექნოლოგიური კვლევის ინტერესებს და მოიცვა აბსოლუტურად ყველა სფერო, მათ შორის სამართლებრივი და პოლიტიკურიც. ერთერთი ყველაზე აქტუალური საკითხი, რომელმაც ბოლო დროს დასავლურ სამეცნიერო წრეებში დიდი ინტერესი გამოწვია არის ხელოვნური ინტელექტის ზეგავლენა დემოკრატიაზე, რომელიც წარმოადგენს როგორც სამართლებრივ, აგრეთვე პოლიტიკურ გამოწვევას. კვლევის მიზანი არის სწორედ იმის დადგენა, თუ რა როლი შეიძლება შეასრულოს ხელოვნურმა ინტელექტმა დემოკრატიის გაძლიერების, თუ შესუსტების თვალსაზრისით. კვლევაში კონკრეტული ფაქტებისა და მასალების ანალიზის საფუძველზე წარმოჩენილ იქნება ხელოვნური ინტელექტის როგორც შესაძლებლობები დემოკრატიის გაძლიერებისთვის, მაგ. საჯარო სექტორში მისი გამოყენების გზით, აგრეთვე მისი უარყოფითი ზეგავლენა დემოკრატიაზე, რაც გამოიხატება ისეთი უმნიშვნელოვანესი დემოკრატიული პრინციპების ხელყოფის საშიშროებაში, როგორიცაა - არჩევნების თავისუფლება, აზრის თავისუფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. და ბოლოს, დასაბუთებულ იქნება ამ გამოწვევაზე საპასუხოდ სპეციალური საერთაშორისო რეგულირების მექანიზმების საჭიროება.

# სმარტ-კონტრაქტების გამოყენება შრომით ურთიერთობებში - ტექნოლოგიების განვითარებით გამოწვეული აუცილებლობა თუ კოვიდ პანდემიის გამოწვევა?

**ციალა გლოველი**
სამართლის დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
**ბესიკი ტეტელოშვილი**
კერძო სამართლის დეპარტამენტის ასისტენტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

კვლევაში განიხილება სმარტ-კონტრაქტების გამოყენების შესაძლებლობა შრომითი ურთიერთობის სფეროში.

შრომითი ურთიერთობის ხასიათი არის ერთ-ერთი ის თავისებურება, რომელიც პირდაპირ ახდენს გავლენას განსახილველ სფეროში „გონიერი" კონტრაქტების გამოყენების პერსპექტივებზე.

სმარტ-კონტრაქტი გაგებულია როგორც ვალდებულების შესრულების ავტომატიზაციის საშუალება, ელექტრონული ალგორითმი, ბლოკჩეინის ფუნქციონირების საშუალება და როგორც პროგრამირების ენაზე დაწერილი კონტრაქტი, შეთანხმება, არსებული პროგრამული კოდის ფორმაში და ა.შ.

გონიერი კონტრაქტის საგანი შეიძლება იყოს მოვალეობა, რომლის მიმართებაში პროგრამამ შეიძლება შეამოწმოს მისი შესრულება, რომელიც ავტომატიზებული საშუალებით შეიძლება იქნეს შესრულებული. გლობალური კომპანიები, რომლებიც დიდ ინდუსტრიებში ოპერირებენ, შესაბამისად იყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებს. დოკუმენტბრუნვამ, ელექტრონულმა საავადმყოფო ფურცელმა, დასაქმებულთა დისტანციურმა შრომითი საქმიანობის ექსპერიმენტებმა, ინფორმაციული ტექნოლოგიების ყველა ამ სფეროში უკვე ჰპოვა სათანადო გამოყენება.

პანდემიის პირობებში დამსაქმებლის მხრიდან კონტროლი, ერთი მხრივ, წარმოადგენს შრომის დისციპლინის დაცვის მამოტივირებელ ფაქტორს, ხოლო მეორე მხრივ, - დამსაქმებლის რისკების მინიმიზაციის საშუალებას სამუშაოს დისტანციურად შესრულებაზე პასუხისმგებლობის გამოყენებისას.

დროთა განმავლობაში ციფრული ტექნოლოგიების გავრცელების სფერო შრომით ურთიერთობაში კიდევ უფრო გაიზრდება, იმის გათვალისწინებით, რომ დასაქმებულს და დამსაქმებელს შეუძლიათ ურთიერთობა ინტერნეტის ქსელის საშუალებით, ხოლო ბევრი სამუშაო პოზიცია, არა მხოლოდ წარმოების სფეროში, არამედ ასევე ინტელექტუალურ სფეროში სულ უფრო მეტწილად იცვლება მანქანით.

ტექნოლოგიების განვითარებამ შექმნა ახალი ინოვაციები, რომლის ერთ-ერთ შედეგად ბლოკჩეინი განიხილება. ამ უკანასკნელს ისეთი შესაძლებლობები ხელეწიფება, რომლის წარმოდგენაც კი წლების წინ უბრალოდ შეუძლებელი იყო. ბლოკჩეინი - მუდმივად მზარდი ჩანაწერების სიაა, რომელიც ტრანზაქციების ჩანაწერების წინასწარ განსაზღვრული წესების ერთობლიობით ჰქმნის ბლოკების ჯაჭვს, სადაც თითოეული ასეთი ტრანზაქცია შეიძლება იყოს ფულის, სხვადასხვა საქონლის ან უსაფრთხო მონაცემების მოძრაობა.

რაც შეეხება საქართველოს, ამჟამად რთულია ვისაუბროთ შრომითი ურთიერთობის სფეროში სმარტ-კონტრაქტების დანერგვის რეალური პერსპექტივების შესახებ. თუმცა, როგორც ჩანს, ჭკვიან კონტრაქტებს შეუძლია დაიცვას დასაქმებულის, როგორც შრომითსამართლებრივი ურთიერთობის სუსტი მხარის ინტერესები.

დასაქმებულის დისტანციურობა დამსაქმებლისგან არ უნდა გახდეს დაუძლეველი დაბრკოლება ზემოაღნიშნული კონტროლის განხორციელებისათვის. სმარტ-კონტრაქტები დასაქმებულის და დამსაქმებლის ურთიერთობას ამსუბუქებს, ამარტივებს კონტროლის მექანიზმს.

# ნოტარიუსად გამწესების წინაპირობა

**ნანა როსეფაშვილი**
სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
**მათე ჭანტურია**
კერძო სამართლის დეპარტამენტის ასისტენტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

კვლევაში განხილულია ნოტარიუსად დანიშვნის პირობები, რომლებიც შედარებულია მოსამართლედ და პროკურორად დანიშვნის პირობებთან და გაკეთებულია სამართლებრივი ანალიზი.

დასახელებული ყველა თანამდებობა უაღრესად მნიშვნელოვანია საზოგადოებაში სამართლიანობის დასამკვიდრებლად. ნოტარიუსები ასრულებენ უაღრესად სასარგებლო როლს ნებისმიერ თანამედროვე სახელმწიფოში. თავისი სანოტარო საქმიანობით ისინი უზრუნველყოფენ გარიგებათა მუდმივ ხასიათს, არიან რა სპეციალისტები იურიდიულ საკითხებში, მხარეებს განუმარტავენ მათ უფლებებსა და მოვალეობებს. მათი მიუკერძოებლობა არის სახელმწიფოთა დაბალანსების გარანტია. ნოტარიუსები საკუთარი შრომით ხელს უწყობენ სოციალური მშვიდობის შენარჩუნებას, ხოლო როგორც გამაფრთხილებელი მართლმსაჯულების წარმომადგენლები ამსუბუქებენ იმ ფინანსურ ტვირთს, რასაც ატარებენ მართლმსაჯულების ორგანოები. საქართველოს კანონი ნოტარიატის შესახებ განსაზღვრავს საქართველოში ნოტარიატის მოწყობისა და ნოტარიუსის სამსახურებრივი საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს, აგრეთვე სანოტარო და სხვა, მასთან დაკავშირებულ მოქმედებათა შესრულების ძირითად მოთხოვნებს.

ნოტარიუსის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს საქართველოს ქმედუნარიანმა მოქალაქემ, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, გავლილი აქვს სტაჟირება ან აქვს ნოტარიუსად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი ან საჯარო სამსახურში სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი და ჩაბარებული აქვს ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

საზოგადოებაში სამართლიანობის დასამკვიდრებლად მოსამართლის როლი განუზომელია. მოსამართლის კეთილსინდისიერება და პროფესიული კომპეტენცია უნდა იყოს გარანტი იმისა, რომ მას შეეძლება სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება. მოსამართლედ გამწესების კრიტერიუმები ისტორიის მანძილზე მუდმივად ცვალებადია. მოქმედი ქართული კანონმდებლობის მიხედვით მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს (აირჩეს) საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხით/უმაღლესი განათლების დიპლომით, სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება, ფლობს სახელმწიფო ენას, ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, გავლილი აქვს იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული სასწავლო კურსი და შეყვანილია იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში.

რაც შეეხება პროკურორს, შევეხებით გენერალური პროკურორის დანიშვნის წესს, რადგან სწორედ იგი ხელმძღვანელობს საქართველოს პროკურატურას.

გენერალურ პროკურორად შეიძლება არჩეულ იქნეს ნასამართლობის არმქონე, უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელიც ზნეობისა და პროფესიული თვისებების გამო სარგებლობს მაღალი ავტორიტეტით და რომელსაც აქვს სისხლის სამართლის საქმეების განმხილველ მოსამართლედ ან პროკურორად ან სისხლის სამართლის საქმეებზე ადვოკატად მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება ან აქვს იურისტის პროფესიით მუშაობის

არანაკლებ 10 წლის გამოცდილება და იმავდროულად არის სისხლის სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტი უმაღლესი აკადემიური წრეებიდან ან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციიდან.

ჩამოთვლილი თანამდებობებიდან პირის მოსამართლედ, გენერალურ პროკურორად, ან ნოტარიუსად დანიშვნისათვის აუცილებელია იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის სულ მცირე 5 წლიანი სტაჟი. მაგრამ მხოლოდ ნოტარიუსს მოეთხოვება საჯარო სამსახურში მუშაობის სტაჟი, რაც კანონმდებლის არასამართლიანი მიდგომაა.

# COVID 19, როგორც ვალდებულების შესრულების გართულებისა და შეუძლებლობის გამომწვევი გარემოება

**ლევან დუნდუა**
სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

კორონავირუსის (COVID-19) გლობალურმა გავრცელებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიოს სხვა ქვეყნების ეკონომიკაზე და სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობებზე. სახელმწიფოების მხრიდან დაწესდა არაერთი შემზღუდავი რეგულაცია, რომელმაც მნიშვნელოვნად გაართულა თუ შეუძლებელი გახადა ცალკეული სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება.

პანდემიისგან გამოწვეულმა ნეგატიურმა შედეგებმა ბიზნესის სხვადასხვა სფერო მნიშვნელოვნად დააზარალა. გამომდინარე იქედან, რომ სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილე მხარეები უჩვეულო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ხშირად მათი ქმედებები სამართლებრივი ჩარჩოებიდან გადიოდა. ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტების, როგორიცაა ვალდებულების შესრულების გართულება და შეუძლებლობა, რიგ შემთხვევებში გამოუყენებლობა, რიგ შემთხვევებში კი არასწორი ინტერპრეტაცია და კვალიფიკაცია ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფ კერძო სამართალურთიერთობის მონაწილე მხარეებს სამართლებრივ და ეკონომიურ მდგომარეობას უფრო უმძიმებდა. წარმოდგენილ კვლევაში მიმოხილულია რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულება, რომლებზეც განსაკუთრებული გავლენა იქონია კორონავირუსმა. საინტერესოა მათი განხილვა ზემოაღნიშნული ინსტიტუტების ჭრილში. ასევე, კვლევა განხორციელებულია სამართლებრივი მსჯელობა საკანონმდებლო და სასამართლო პრაქტიკის ბაზაზე, რათა ის ხარვეზები, რომლებიც კერძო ხასიათის სამართლებრივ ურთიერთობებში არსებობდა გამოვლენილი და სათანადოდ გაანალიზებული იქნას. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია ისეთი რეკომენდაციები, რომლებიც მსგავს ვითარებებში კერძო სამართლის სუბიექტებს მიაწვდის გონივრულ ალტერნატივას სამართლებრივად დასაბუთებული ქმედებების განსახორციელებლად. ამ კუთხით ნაშრომში განხილულია COVID-19-ის გავლენა სასესხო/საკრედიტო ვალდებულებებზე, შრომით ურთიერთობებზე, ქირავნობასა და საიჯარო ურთიერთობებზე და ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებაზე.

სახელმწიფოების მხრიდან სამართლებრივი რეგულაციების საფუძველზე არაერთი შეზღუდვა დაწესდა, მათ შორის: ჩაიკეტა საჰაერო და სახმელეთო საზღვრები, დაიკეტა კაფე-ბარები, რესტორნები, საჯარო და კერძო დაწესებულებები. ასეთ სირთულეებს მხოლოდ კერძო სექტორი ვერ დაძლევდა, სახელმწიფოს მხრიდან საჭირო ღონისძიებები რომ არ განხორციელებულიყო. სახელმწიფოს მიერ პირდაპირი თუ ირიბი ქმედებების საფუძველზე გამოსაყოფია ისეთი ღონისძიებები, რომლებმაც სახელშეკრულებო ურთიერთობები მთელ რიგ შემთხვევებში მტკივნეულად დასრულებას გადაარჩინეს. ასეთ ღონისძიებებს შორისაა: სესხების რესტრუქტურიზაცია, ტურიზმის სფეროში მომუშავე კომპანიებისთვის დაწესებული შეღავათები გადასახადების გადახდის გადავადებაზე და სასტუმროებისთვის შემუშავებული მხარდასაჭერი პროექტები. ნაშრომში განხორციელებულია მსგავსი ღონისძიებების შეფასება ვალდებულების შესრულების გართულებისა და შეუძლებლობის დროს.

# ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აქტუალური პრობლემები

**ეკატერინე ნინუა**
სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეიტი

კვლევის თემის აქტუალურობა განაპირობა ქვეყანაში მომხდარმა სოციალურ-ეკონომიკურმა, კულტურულმა და პოლიტიკურმა ცვლილებებმა, რამაც შესაბამის სფეროებში თავისთავად გამოიწვია მოქმედი საკანონმდებლო ბაზის მნიშვნელოვანი შეცვლის აუცილებლობა. წარმოიშვა და აუცილებელი გახდა იმ ურთიერთობების მოწესრიგება, რომლებიც არ არსებობდა წარსულში. ახალი სახე მიიღო მრავალბინიან სახლებში საერთო ქონების სარგებლობის, მოვლა-პატრონობისა და მართვასთან დაკავშირებულმა საკითხებმა. მრავალბინიან სახლებში კი აღნიშნული საკითხების მოწესრიგება შესაძლებელია ამხანაგობის დაარსებით. თუმცა, ბინათმესაკუთრეთა წინაშე ხშირად წარმოიშობა, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ხასიათის უამრავი პრობლემა. მაგალითად, საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული ხარჯების განაწილება, საერთო ქონების სარგებლობა და ა.შ.

ბინათმესაკუთრეთა ინტერესებიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება მეტად აქტუალურია და სერიოზულ შესწავლასა და გაანალიზებას საჭიროებს.

კვლევის მიზანია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განხილვა სანივთო სამართლებრივ ურთიერთობებში, ამხანაგობის სუბიექტების, საკანონმდებლო რეგულაციებზე ყურადღების გამახვილება და არსებული პრობლემების გადაჭრის მიზნით საკუთარი მოსაზრებების ჩამოყალიბება. ამასთან, ბინათმესაკუთრეთა შორის საერთო ქონებაზე უფლებების განხორციელებისა და სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი ზომების მიღების სავალდებულო მომენტებზე საუბარი.

**შინაარსი**

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა წარმოადგენს მრავალბინიან სახლში მდებარე საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი, მათ შორის, კომერციული მიზნებისათვის გამოყენებული ფართობის მესაკუთრეთა გაერთიანებას. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრად ითვლება თითოეული მესაკუთრე, რომელსაც გააჩნია საკუთრების უფლება და მათ მიზანს წარმოადგენს საერთო ქონების მოვლა-პატრონობა, ექსპლუატაცია და განვითარება. აღნიშნული ამხანაგობის თავისებურებას სხვა ამხნაგობისაგან განსხვავებით წარმოადგენს ის, რომ ისინი ამ საერთო მიზნის მიღწევას უზრუნველყოფენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანადაფინანსებით.

აღსანიშნავია, რომ ბინათმესაკუთრეთა შორის ურთიერთობები თავის დროზე რეგულირდებოდა სამოქალაქო კოდექსით, დღეს კი იგი რეგულირდება საქართველოს კანონით ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ", რომელიც მიღებულ იქნა 2007 წლის 11 ივლისს. ამდენად, მნიშვნელოვანია ამხანაგობის როლი სანივთო-სამართლებრივ ურთიერთობებში, რადგან საერთო მიზნის მისაღწევად ერთიანდებიან მრავალბინიანი სახლების მესაკუთრეები.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მობინადრეებს შორის ამხანაგობის ინსტიტუტი ბევრი გამოწვევის წინაშე დგას. მიუხედავად იმისა, რომ ამხანაგობის თითოეულ წევრს ეკისრება საერთო ქონების მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული ხარჯების გაღება, ხშირად ეს საკითხი სადავოა მობინადრეებს შორის, ამასთან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან მეტი მხარდაჭერაა საჭირო მნიშვნელოვანი პრობლემების ერთობლივად მოსაგვარებლად. ვფიქრობთ, საზოგადოებაში მწირია ინფორმაცია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ფუნქციისა და მისი როლის შესახებ, რაც არაერთხელ ყოფილა მესაკუთრეების მხრიდანაც ამხანაგობის საერთო კრებაზე გამოუცხადებლობის შედეგიც.

# დაზღვევის განსხვავებული საფუძვლებით კლასიფიკაციის სამართლებრივი რეგულირების ცალკეული ასპექტები

*თეა კვაბზირიძე*
სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დაზღვევა საზოგადოების სოციალური თუ ეკონომიკური ურთიერთობების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. მისი მნიშვნელობა ყოველდღიურად იზრდება. თანამედროვე ცხოვრების რითმის გათვალისწინებით, ფიზიკური თუ იურიდიული პირები საჭიროებენ გარანტიას, რომ ცალკეული შემთხვევის დადგომის შედეგად მათთვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება. დაზღვევა წარმოადგენს რისკის განაწილების საშუალებას და მიზნად ისახავს დაიცვას პირი მისთვის უარყოფითი მოვლენის საფუძველზე მიყენებული ზარალისაგან, აღადგინოს ზიანის გამომწვევ ქმედებამდე არსებული მდგომარეობა.

დაზღვევის ისტორია უძველესი დროიდან იღებს სათავეს, რაც გასაკვირი არაა, ვინაიდან ადამიანს ყოველთვის გააჩნდა სურვილი წინასწარ განეჭვრიტა მისთვის ზიანის მიმყენებელი მოვლენის დადგომის ალბათობა და ასეთ შემთხვევას მომზადებული შეხვედროდა. დაზღვევა საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა პირთა მოთხოვნილებების, პრაქტიკაში წამოჭრილი პრობლემებისა და ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა ძირითადი მიზნის - რისკის შემცირების - გათვალისწინებით. დაზღვევა სამართლის ერთ-ერთი ყველაზე სპეციფიკური დარგია, რაც განაპირობებს კიდეც მისი დანიშნულების, განხორციელების საშუალებების, მიზნების, სამართლებრივი რეგულირების თავისებურებას.

,,დაზღვევა უზრუნველყოფს ცალკეულ პირთა მდგომარეობის მნიშვნელოვან მდგრადობას: ნაწილდება რა ბევრ ადამიანს შორის ის ზარალები, რომლებიც გააკოტრებდნენ ცალკეულ პირს, ზარალის ოდენობა მსუბუქდება მთელი საზოგადოებისთვის.“ /ადამ სმიტი/ ამდენად, დაზღვევა იძლევა რისკის გადანაწილების საშუალებას დროსა და დაზღვეულთა დიდ რაოდენობაზე.

დღეის მდგომარეობით, დაზღვევა ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური სამართლებრივი ურთიერთობაა. სულ უფრო იზრდება ბაზარზე სადაზღვევო კომპანიათა რიცხვი, კონკურენცია მათ შორის და დაზღვევის მსურველ პირთა ოდენობა. ამიტომ, დაზღვევის თავისებურებების შესწავლა მეტად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. დაზღვევის მრავალფეროვნება წარმოშობს დაზღვევის სახეებად დაყოფის აუცილებლობას, რაც ხელს უწყობს, რომ გავაერთიანოთ დაზღვევის მსგავსი სახეები, ვიპოვოთ მათი დამახასიათებელი ნიშან-თვისებები და დაზღვევის სხვა სახეებისგან განსხვავების ანალიზის პროცესში უკეთ შევისწავლოთ დაზღვევის სამართლებრივი ბუნება. დაზღვევის სახეებად დაყოფის გარეშე შეუძლებელი იქნება მისი სრულყოფილი შესწავლა, პრობლემური საკითხების გამოვლენა და მათი გადაჭრის გზების ძიება. ნებისმიერი დარგის უკეთ შესწავლა, მისი მახასიათებლების გამოვლენა, პრობლემის დადგენა და მისი გადაჭრის გზის ძიება შესაძლებელია კლასიფიკაციის მეშვეობით. ამდენად, დაზღვევის სახეებად დაყოფას გააჩნია არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც, მით უფრო, რომ დაზღვევა გამოირჩევა თავისი მრავალფეროვნებით და მისი სხვადასხვა საფუძვლით კლასიფიკაციაა შესაძლებელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომი ეხება დაზღვევის სამართლის მეტად მნიშვნელოვან საკითხს - დაზღვევის განსხვავებული საფუძვლებით კლასიფიკაციას. დაზღვევის მრავალფეროვნება განაპირობებს მისი მრავალი სახით არსებობას. თითოეული სახე აერთიანებს ერთი სახეობის, ერთგვაროვან რისკებს. ამასთან, დაზღვევის გარკვეული ნიშნით დაჯგუფება ხელს უწყობს დაზღვევის კონკრეტული სახის დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა უკეთ შესწავლას, პრობლემური საკითხების გამოვლენასა და მათი გადაჭრის გზების პოვნას.

# EPO-ს და მსოფლიოს საპატენტო სისტემის ურთიერთთავსებადობასთან დაკავშირებული აქტუალური პრობლემები

**მირანდა გურგენიძე**
სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
**თამაზი ურთმელიძე**
ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2019 წლის 30 ოქტომბერს ქ. მიუნხენში ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველოს მთავრობასა და ევროპის საპატენტო ორგანიზაციას (EPO) შორის ევროპული პატენტების ვალიდაციის შესახებ.[1]

აღნიშნული შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ, ერთიანი ევროპული საპატენტო განაცხადის საფუძველზე, შესაძლებელი გახდება მასზე გაცემული ევროპული პატენტის საქართველოს ტერიტორიაზე ვალიდირება, რაც საერთაშორისო განმცხადებლებს გაუმარტივებს საქართველოში გამოგონებების დაპატენტების პროცედურას. აღნიშნული შეთანხმება, კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ევროპული საპატენტო სისტემის მიმზიდველობასა და გეოგრაფიულ ფარგლებს. მისი მეშვეობით, გამარტივდება წვდომა საპატენტო დაცვაზე საქართველოში, რის შედეგადაც ევროპელ განმცხადებლებსა და პატენტების მფლობელებს შესაძლებლობა მიეცემათ, განახორციელონ თავიანთი პატენტების ვალიდაცია საქართველოში. ამავე დროს, იგი ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას და ევროპული კომპანიებისათვის შექმნის ახალ ბიზნეს შესაძლებლობებს.

აღსანიშნავია, რომ ვალიდაციის შეთანხმების ხელმოწერა მნიშვნელოვანი ნაბიჯია საქართველოსათვის[2], იგი ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის შემდგომ ინტეგრაციას ევროპულ ბაზართან, ასევე გაამარტივებს მოლაპარაკებებს საქართველოს ევროპის საპატენტო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. ევროპის საპატენტო ორგანიზაციის წევრობა კიდევ უფრო განამტკიცებს სამრეწველო საკუთრების დაცვას საქართველოში და ამგვარად ხელს შეუწყობს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების მიზნების განხორციელებას.

როგორც ცნობილია, სამომავლოდ საქართველო მიზნად ისახავს EPO-ში გაწევრიანებას, რაც ინვესტორებისთვის იქნება გზავნილი, რომ ჩვენი ქვეყანა ევროპული საპატენტო ოჯახის წევრია და რომ საქართველოში საპატენტო უფლებები დაცულია ევროპის ქვეყნებში არსებული დაცვის ხარისხის შესაბამისად.

ამ ფონზე არსებითია გავაანალიზოთ ევროპის საპატენტო ორგანიზაციის ადგილი, როლი და მნიშვნელობა მსოფლიო საპატენტო სისტემაში.

---

[1] ამჟამად, საქართველოში გამოგონებაზე პატენტის მიღება შესაძლებელია, როგორც საქპატენტში განაცხადის პირდაპირი წარდგენით, ასევე საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების (PCT) შესაბამისად შეტანილი საერთაშორისო განაცხადის გზით. მესამე გზით, ევროპული პატენტის საქართველოს ტერიტორიაზე ვალიდაციის მეშვეობით საპატენტო დაცვის მიღება, საკანონმდებლო პროცესის დასრულების შემდგომ იქნება შესაძლებელი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2022 წლის 30 მაისს, მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს საპატენტო კანონში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე იმსჯელეს, ხოლო მანამდე, პროექტი იურიდიულ საკითხთა კომიტეტზე პირველი მოსმენისთვის ამა წლის 20 მაისს განიხილეს. (იხ. https://www.sakpatenti.gov.ge/ka/news_and_events/438)

[2] ევროპის საპატენტო ორგანიზაციასა (EPO) და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს - „საქპატენტს" შორის მოლაპარაკებები ევროპული პატენტების ვალიდაციის შესახებ შეთანხმებაზე 2012 წლიდან მიმდინარეობდა, რის შედეგად მხარეთა მიერ გამოხატულ იქნა ინტერესი აღნიშნული შეთანხმების ხელმოწერასთან დაკავშირებით.

# შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას „სხვა ობიექტური გარემოების“ გამოყენების თავისებურება

**ანა ტაკაშვილი**
სამართლის მაგისტრი, უფროსი მასწავლებელი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მსოფლიომ განვითარების საკმაოდ დიდი გზა გაიარა და აღსანიშნავია, რომ ყოველ ეტაპზე ადამიანები თანხმდებოდნენ, საკითხებზე, რომლებიც მათ უფლებებს და მოვალეობებს განსაზღვრავდა. ცხადია, აღნიშნულმა ვითარებამ ფორმა მრავალჯერ იცვალა, თუმცა საინტერესოა, რომ დამოკიდებულებებმა - სულაც არა. საბედნიეროდ, დღეს კაცობრიობა იმ ეტაპზე იმყოფება, როდესაც ნებისმიერი სამართლებრივი ურთიერთობა მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენის საფუძველზე წარმოიშობა და, შესაბამისად, მაქსიმალურად დაცულია ინტერესთა შორის ბალანსი.

შრომითი ურთიერთობები ანტიკური ხანიდან იღებს სათავეს, თუმცა, თუ მაშინ ექსპლუატაცია ნორმად ითვლებოდა, დღეს ეს არაკანონიერი ქმედებაა, რაც ნამდვილად მიუთითებს საზოგადოების განვითარებაზე. შრომით ურთიერთობები თითოეული ადამიანის ცხოვრებაში რაღაც დოზით აუცილებლად შემოდის და მნიშვნელოვანია ყველას გაანალიზებული ჰქონდეს, რომ მათ შრომით უფლებებს კანონი იცავს. სამწუხაროა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ეს საკმარისი მაინც არ არის. ხშირად დამსაქმებელი მის ხელთ არსებულ უპირატეს მდგომარეობას ბოროტად იყენებს და კანონით დადგენილი ბალანსიც ირღვევა. როგორც აღვნიშნეთ, დროსთან ერთად იცვლება და იხვეწება სამართლებრივი რეგულირებაც, მათ შორის საერთაშორისო თუ ეროვნულ დონეზე. ამას კი პრაქტიკაში არსებული  გარემოებები განაპირობებს. მაგრამ იქნებ არც ეს არის საკმარისი? საქართველოს შრომის კოდექსი შესული ცვლილებებისა და დამატებების შედეგად ბევრი პრობლემური საკითხი გადაიჭრა, თუმცა რიგი ასპექტების სრულყოფა მაინც ვერ მოხერხდა. მაგალითად, შრომითი ურთიერთობების შეწყვეტა კვლავაც მნიშვნელოვან გამოწვევად დარჩა, რადგან დამსაქმებელი სწორედ ამ ეტაპზე იყენებს მის ხელთ არსებულ უპირატეს მდგომარეობას.

დღეს მოქმედი საქართველოს შრომის კოდექსის 47-ე მუხლში ჩამოთვლილია ის გარემოებები, რომელთა გამოც შეიძლება დასაქმებულთან შეწყდეს შრომითი ურთიერთობა, თუმცა კითხვას აჩენს ერთი პატარა ჩანაწერი მუხლის ბოლოს, საიდანაც ვადგენთ, რომ შესაძლოა დასაქმებულის გასათავისუფლებლად საკმარისი გახდეს სხვა ობიექტური გარემოება“, თუმცა რას გულისხმობს იგი და როგორ ხდება მისი დადგენა ამაზე არაფერია მინიშნებული.

ვინაიდან საკითხი ცხადად აქტუალური და მნიშვნელოვანია, მივიჩნევთ, რომ საჭიროა სათანადო ყურადღება დაეთმოს მის ანალიზს. გამოიკვეთოს პრაქტიკაში არსებული პრობლემები და დამუშავდეს თეორიულ დონეზე, რათა დასაქმებულის უფლებების დარღვევა არ მოხდეს. თემა გამოირჩევა იმ მხრივაც, რომ მისი სიღრმისეულად გაგება მოგვცემს საშუალებას თავიდან ავირიდოთ 47-ე მუხლის ,,ო“ ქვეპუნქტში არსებული ჩანაწერის ინტერპრეტაციის საკითხი, რომელიც დამსაქმებლისთვის შესაძლოა ერთგვარ იარაღად იქცეს, რითაც თავს აარიდებს პასუხისმგებლობას და მარტივად შეძლებს შრომითი ურთიერთობის თვითნებურად შეწყვეტას.

ამრიგად, კვლევის მიზანია დამსაქმებლისა და დასაქმებულისთვის ნათელი გახდეს, რას მოიცავს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ,,სხვა ობიექტური გარემოების“ ნაწილი, რომელიც ხარვეზების წარმოშობას უწყობს ხელს და სხვადასხვა წყაროების ანალიზისა და სინთეზის შედეგად განსაზღვროს მისი დეფინიცია.

# მშობლებისა და შვილების პირადი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულაციების აქტუალური ასპექტები

**მარიამ მამულაშვილი**
სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბავშვის მიმართ მშობლების უფლებების და ვალდებულებების სწორად გაგებისათვის აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს უმთავრესად, რომ მნიშვნელოვანია მშობლის უფლებები, მაგრამ აღმატებულია ბავშვის ინტერესების უპირატესი გათვალისწინების უფლება. აღნიშნული, შეიძლება ითქვას, წარმოადგენს მთავარ ღერძს მშობლების უფლებებისა და მოვალეობების მიმართ. იმ დროს როცა მშობლის უფლებები შეიძლება „დაჩრდილოს" ბავშვის უპირატესმა უფლებებმა, მშობლის „ვალდებულებები" ბავშვის მიმართ განაგრძობს არსებობას. ჩვენს რეალობაში ხშირია შემთხვევები ბავშვთა უფლებების დარღვევებისა, როგორც მშობლების, ასევე სოციუმის მხრიდან. შესაბამისად საჭიროა, როდესაც ბავშვზე ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობა ხდება, მშობლების მხრიდან შესაბამისად მოხდეს აღკვეთა, ხოლო როდესაც მოძალადე თავად მშობელია, აქ უკვე სახელმწიფო თავისი პოზიტიური ვალდებულებიდან გამომდინარე, ახორციელებს ჩარევას.

ბოლო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბავშვების სამართლებრივ საკითხს. დაუშვებელია არასრულწლოვანი ბავშვის აღზრდისას მშობლის მიერ ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც მის ფიზიკურ ან ფსიქიკურ ტანჯვას იწვევს. ჩვენს რეალობაში აქტუალურია ბავშვთა დაცვის საკითხი ნებისმიერი და მათ შორის საოჯახო ძალადობისაგან. ვინაიდან კანონი, ბავშვის ინტერესების დაცვას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, იგი ითვალისწინებს გარკვეულ ზომებს იმ მშობლების წინააღმდეგ რომლებიც სათანადოდ არ ზრუნავენ ბავშვის რჩენასა და აღზრდაზე. მაშინ როდესაც, მშობელი უკვე ვეღარ ან აღარ ასრულებს მის ჭეშმარიტ მოვალეობას აღზარდოს შვილი და იზრუნოს მისი ინტერესებისათვის.

კვლევაში წარმოდგენილია მშობლისა და შვილების ურთიერთობის როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული პრობლემები, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების როლი ამ პრობლემების მოგვარებაში. ნორმატიული ბაზის ხარვეზები, საჭიროებს გამოსწორებას, დახვეწას და დეტალიზებას. უმნიშვნელოვანესია სწორედ ის, თუ როგორ რეალიზდება ნორმატიული დანაწესი პრაქტიკაში, სწორად აანალიზებენ თუ არა მშობლები თავიანთ ვალდებულებებს შვილების მიმართ და პირიქით, სად გადის ზღვარი მშობლის მოვალეობებსა და უფლებაზე შვილების მიმართ, მშობლის უფლებების და ბავშვთა უფლებების შეპირისპირებისას რომელია უპირატესი. სწორედ ამ და სხვა კითხვებზე პასუხით მივალთ შედეგამდე. თითოეულ აღნიშნულ კითხვაზე დასაბუთებული პასუხის მოძიება, მოგვცემს შანსს ჩამოვაყალიბოთ მშობლისა და შვილების ურთიერთობასთან დაკავშირებული, არსებულისგან განსხვავებული, გაუმჯობესებული პრაქტიკული რეგულირების სასურველი ვარიანტი.

საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ როდესაც მშობლებს შორის კონფლიქტი მიმდინარეობს, შვილების ინტერესები უკანა ხაზზე ინაცვლებს, შესაბამისად არ ხდება ბავშვის ინტერესების გათვალისწინება, რაც, რა თქმა უნდა, შეიძლება მივიდეს იმ ფატალურ შედეგამდე რასაც ბავშვის, როგორც ინდივიდის აღქმა არ მოხდეს, რაც საგულისხმოა, რომ ცუდად იქნება ასახული ბავშვის ფსიქიკასა და შემდეგ უკვე მის მომავალ ცხოვრებაზე. სამწუხაროა, რომ სასამართლოების განხილვის საგანი, ხშირად არის მსგავსი საკითხი. ამგვარად სასამართლომდე საკითხის მიტანის ფარგლებში, ცალსახაა, რომ ამ დროს მშობლები ვერ ასრულებენ უმნიშვნელოვანეს ვალდებულებას, შვილების სწორად აღზრდასა და მათი უპირატესი ინტერესის გათვალისწინებას. ასეთ შემთხვევაში ბავშვი, როგორც უმნიშვნელოვანესი ფენომენი, უკანა ხაზზე გადადის, რა დროსაც ბავშვის პირადი ინტერესების გათვალისწინება არ ხერხდება, სწორედ ამიტომაცაა, რომ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას სასამართლოების როლი უმნიშვნელოვანესია.

# სამედიცინო პერსონალის პროფესიული პასუხისმგებლობის სამართლებრივი რეგულირება

**მზია დუნდუა**
მოწვეული ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ჯანმრთელობის დაცვის უფლება კონსტიტუციური უფლებაა. იგი განმტკიცებულია საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის 28-ე მუხლით: „მოქალაქის უფლება ხელმისაწვდომ და ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე უზრუნველყოფილია კანონით“. ეს უფლება, ასევე, უზრუნველყოფილია სამედიცინო კანონმდებლობის სფეროში არსებული სხვადასხვა ნორმატიული აქტით. ამ აქტებით მოწესრიგებულია ექიმებისა და პაციენტების უფლებები და მოვალეობები. ნაშრომის მიზანია სამედიცინო პერსონალის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი, იმ პასუხისმგებლობისა, რომელსაც ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან პროფესიული განვითარების საბჭო, რომლის დებულება დამტკიცებულ იქნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 16 მაისის #122/ნ ბრძანებით. ჩინური ანდაზა ამბობს: „მედიცინას მხოლოდ განკურნებადი დაავადებების განკურნება შეუძლია“. მართალია, ანდაზა სამართლის წყარო არ არის, მაგრამ ხალხური სიბრძნე უთუოდ არის და მიანიშნებს იმაზე, რომ ყოველთვის არ არის ექიმი ბრალეული იმაში, რომ სასურველი შედეგი არ დადგა. ამიტომ საკითხის კარგად შესწავლის მიზნით პროფესიული განვითარების საბჭო „განიხილავს სამედიცინო პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებულ განცხადება-საჩივრებს, სააგენტოს მიერ შესწავლილი მასალების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული პასუხისმგებლობის თაობაზე“. სახელმწიფოს უფლება და ამავე დროს, მოვალეობაა, აკონტროლოს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულება და სამედიცინო მომსახურების ხარისხი. ნაშრომში განხილულია სახელმწიფოს მხრიდან თუ როგორ ხდება კონტროლის განხორციელება სამედიცინო საქმიანობაზე, ამ კონტროლის მეთოდები და საშუალებები; ასევე, განხილულია როგორ რეგულირდება ეს საკითხი სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმებით, რა სახის ზიანის მიყენება არის შესაძლებელი სამედიცინო ქმედებით და რა შემთხვევაში ხდება პროფესიული პასუხისმგებლობის დაკისრება პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ.

# ნების ავტონომია საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართალში

**მარიამ ღაჭავა**
დოქტორანტი
კავკასიის უნივერსიტეტი

წარმოდგენილ კვლევაში განხილულია საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის - მხარეთა ნების ავტონომიის ცალკეული კოლიზიური საკითხები. სახელშეკრულებო ურთიერთობებში ყველაზე მეტად ვლინდება მხარეთა ნების თავისუფლება, რომელსაც სამართალში „ნების ავტონომიას“ უწოდებენ. ნების ავტონომია წარმოადგენს საერთაშორისო კერძო სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს და ითვალისწინებს სამართლებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად მის მონაწილე სუბიექტების მიერ სხვა ქვეყნის სამართლებრივი სისტემის არჩევის შესაძლებლობას. ამასთანავე, კერძო ნების ავტონომიას არ გააჩნია უნივერსალური ხასიათი და იგი მოქმედებს კანონით გათვალისწინებულ მხოლოდ იმ ურთიერთობებში, რომელთა მიმართაც არ გამოიყენება იმპერატიული ნორმები. საქართველოს სამართალი მართალია აღიარებს მხარეთა მიერ სამართლის არჩევის შესაძლებლობას, მაგრამ არ განსაზღვრავს მის არჩევის ფორმას - არჩევანი პირდაპირ მითითებული უნდა იყოს, გონივრულ კავშირში იყოს კონტრაქტთან. ჩვენ შემთხვევაში, დავის განხილვის დროს აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს შეხედულებაზე შეიძლება იყოს დამოკიდებული. აღნიშნული მიდგომა შესაძლებელია კიდეც ხელს უწყობდეს „სამოსამართლო სამართლის“ განვითარებას, თუმცა უკეთესი იქნებოდა ჩვენი კანონი სხვა განვითარებული ქვეყნების კოდიფიკაციების მსგავსად აფიქსირებდეს თავის პრიორიტეტს სამართლის არჩევის ფორმის საკითხთან მიმართებაში. იმ შემთხვევაში კი, როდესაც მხარეები კანონში მითითებული ფორმით სამართლის არჩევას არ დააფიქსირებენ, მაშინ ეს საკითხი სასამართლოს განმარტების საგანი უნდა გახდეს. საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ სამართლის არჩევის საკითხში საერთოდ არ აკონკრეტებს, თუ რომელი ქვეყნის სამართალი შეიძლება აირჩიონ მხარეებმა. ამასთანავე, ნებისმიერი ქვეყნის სამართლის არჩევისას აუცილებელია, რომ მხარეთა არჩეული სამართალი არ უგულებელყოფდეს ხელშეკრულებასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართლის იმპერატიულ ნორმებს. ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ განახორციელონ სამართლის კუმულაციური არჩევანიც, მაგრამ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მათ არ შეუძლიათ აირჩიონ უცხო ქვეყნის საჯარო სამართალი, რადგან საჯარო სამართლებრივი ნორმები ატარებენ იმპერატიულ ხასიათს და მათი მოქმედება არ შეიძლება გამოირიცხოს მხარეთა შეთანხმებით. რაც შეეხება კერძო ნების ავტონომიის მიმართ სავაჭრო ჩვეულებების გამოყენებას, ჩვენი კანონმდებლობის დამოკიდებულება არ არის ერთგვაროვანი. საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ მას არ აღიარებს, ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აღიარებს ჩვეულებას, როგორც სამართლის წყაროს. დროთა განმავლობაში საქართველოსთვის Lex mercatoria-ს გამოყენება შესაძლებელია უფრო მნიშვნელოვანი გახდეს (საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად).

# „ნულოვანი ტოლერანტობა", როგორც სისხლის სამართლის პოლიტიკა და მისი უარყოფითი გავლენა სისხლის სამართალწარმობის პროცესზე

**მიხეილ მამნიაშვილი**
სამართლის დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

კვლევაში ისტორიულ-სამართლებრივ ჭრილში გადმოცემულია წინა ხელისუფლების მიერ განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკა, რომელიც „ნულოვანი ტოლერანტობით" არის ცნობილი.

ახსნილია ის ფაქტორები, რამაც უარყოფითად იმოქმედა სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის ევოლუციურად განვითარების მიმართულებით და ახლად მოსულ ხელისუფლებას რა ძალისხმევა დასჭირდა ნაკლოვანებების, თუნდაც ნაწილობრივ გამოსასწორებლად.

ქვეყანაში არსებულმა კრიმინოლოგიურმა და სისხლის სამართლის პოლიტიკამ დაგვანახა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და სასჯელაღსრულების კანონმდებლობის ერთ-ერთი უარყოფითი დამახასიათებელი ნიშანი მათი არასტაბილურობაა, რაც განპირობებულია ქვეყანაში მომხდარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამართლებრივი ცვლილებებით და ყოველთვის ახლად არჩეული კანონმდებელი მის მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებს აქცევს იმ ჩარჩოებში, როგორ კრიმინოლოგიურ და სისხლისსამართლებრივ პოლიტიკასაც მმართველი ხელისუფლება ახორციელებს. სწორედ ქვეყანაში მომხდარმა ცვლილებებმა განაპირობა წინა სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და სასჯელაღსრულების კანონმდებლობისათვის არა მხოლოდ სახის შეცვლა, არამედ „დამახინჯებაც", **რამაც ბუნებრივია, უარყოფითი გავლენა მოახდინა მისი ევოლუციურად დახვეწისა და გაუმჯობესების საქმეში,** რადგან ე.წ. **„ვარდების რევოლუციით"** ხელისუფლებაში მოსულმა ძალამ, მოქმედი კანონმდებლობის თითქმის ყველა ძირითადი დებულება სწრაფად და მყისიერად შეცვალა, რითაც შეამზადა წინაპირობა ქვეყანაში მისთვის სასურველი კრიმინოლოგიური და სისხლის სამართლის პოლიტიკის დასამკვიდრებლად.

კრიმინოლოგიური და სისხლის სამართლის პოლიტიკის მკვეთრმა ცვლილებამ, თავის მხრივ, გამოიწვია პროკურორის ფუნქციების დაუსაბუთებელი ზრდა იმ დონემდე, რომ გადააჭარბა საბჭოთა პერიოდის საპროკურორო ზედამხედველობას, ხოლო ამის პარალელურად სულ უფრო მცირდებოდა გამომძიებლისა და ოპერატიული მუშაკის ფუნქცია სისხლის სამართალწარმოების პროცესში.

არსებული ვითარებისადმი პოლიციური ძალების არაადექვატურმა ქმედებებმა განაპირობა ქალაქის პოლიციის რეფორმირების აუცილებლობა, რა დროსაც შემუშავდა პოლიციისთვის ახალი სტრატეგია, რომლის ფარგლებშიც პოლიციის მიერ შემდეგი ღონისძიებები გატარდა:

1. დაიწყო გაძლიერებული მუშაობა ქუჩის პროსტიტუციის აღსაკვეთად; აიკრძალა განსაკუთრებით ხმაურიანი მოტოციკლებითა და ავტომობილებით მოძრაობა; საბავშვო სათამაშო მოედნები და პარკები, კალათბურთის მოედნები ღამით დაექვემდებარა დახურვას, ხოლო დღის განმავლობაში ხდებოდა მათი მუდმივი პატრულირება; გააქტიურდა ბრძოლა ნარკო-დილერებთან;

2. გაძლიერდა და გახშირდა პოლიციური რეიდები, ხოლო მრავალი ისეთი მოქმედება, რომელიც ადრე აკრძალული არ იყო, მაგრამ არ ითვლებოდა საზოგადოებისათვის მისაღებად, კანონის ძალით აიკრძალა, ნებისმიერი მართლწინააღმდეგობის გამოვლენაზე პოლიციას მიეცა უფლება დაედგინა ამ ქმედების ჩამდენი პირი და გადაემოწმებინა, ხომ არ იყო რაიმე და-ნაშაულისთვის ძებნილი, ფაქტობრივად დასაშვები გახდა ჩხრეკის ჩატარება არაოფიციალურად;

პირისთვის იარაღის ან/და ნარკოტიკის აღმოჩენის შემთხვევაში დაკავებულები ექვედებარებოდნენ განსაკუთრებით ინტენსიურ და სრულ დაკითხვას, იგივე წესი მოქმედებდა ცეცხლსასროლი იარაღის მეპატრონეებზე და ა.შ.;

3. პოლიციის ყურადღების ქვეშ მოექცა ერთი შეხედვით სრულიად უწყინარი სხვა ქმედებებიც, კერძოდ: სკოლის გამცდენ ბავშვებს აკავებდნენ ქუჩაში და მიჰყავდათ სკოლაში; აგრესიულ მათხოვრებს მიეთითათ "ჩარჩოებზე"; აიკრძალა ფეხით მოსიარულეთა ზონაში და ტროტუარებზე ველოსიპედით სიარული და გააქტიურდა იმ პირებზე მუშაობა, ვინც სიმპათიით უყურებდა კრიმინალურ კარიერას, ამ ყოველივემ კი, რეალურად შეამცირა დანაშაული.

# არასრულწლოვანთა დანაშაულობის კრიმინოლოგიური ასპექტები

**ოთარ ხინიკაძე**
სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
**ნატალია მაისურაძე**
დოქტორანტი

არასრულწლოვანთა დანაშაულობა, რთული სამართლებრივი და სოციალური მოვლენაა საზოგადოებისთვის. წარმოდგენილ კვლევაში განხილულია ის სახასიათო ნიშნები, რომელიც მოზრდის დანაშაულებრივი ქმედების ჩადენას უსწრებს წინ.

გამოკვეთილია დანაშაულის შედეგების გავლენა, როგორც მოზარდის, ასევე, მათი მშობლების შემდგომ ცხოვრებაზე და წარმოჩენილია სოციალურ-კოგნიტური თეორიის არსი სამართლებრივ ჭრილში.მოზარდის სწრაფვა იურთიერთობოს დანაშაულებრივ ქმედებებში შემჩნეულ თანატოლებთან, განპირობებულია რამდენიმე ფსიქოლოგიური ფაქტორით. პირველ რიგში, დანაშაულებრივი კატეგორიის თანატოლები, მეგობრების წრეში სარგებლობენ „გმირის“, „ლიდერის“ და სხვა მსგავსი სტატუსებით, რაც გარკვეულწილად მათ პოპულარულს ხდის. შესაბამისად, მოზარდი, რომელსაც დაბალი თვითშეფასება, ნაკლებად გამოხატული ლიდერული თვისებები აქვს, ფიქრობს, რომ თუ ისიც ჩაიდენს მსგავს „გაბედულ ქცევას“ -ან საზოგადოებაში დამკვიდრებული სამართლებრივი წესის წინააღმდეგ წავა, ეს მასაც „გმირად“ აქცევს თანატოლების წრეში. მეორე ფაქტორი შეიძლება იყოს მოზარდის დაუოკებელი სწრაფვა გახდეს გარშემომყოფებზე უფრო მამაცი, მათზე უფრო ძლიერი და მიღწეული შედეგის შესაბამისად იბატონოს თავისზე სუსტ თანატოლებზე.

კვლევაში ასევე, ჩამოყალიბებულია ის კრიმინოლოგიური ასპექტები, რომელიც მოზარდის დანაშაულებრივ ქცევას აპროვოცირებს და ხელს უშლის მის სრულფასოვან სამართლებრივ განვითარებას.

მოზარდის კანონმორჩილ პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესი, პირველ რიგში, მის სამართლებრივ სოციალიზაციას გულისხმობს. პრაქტიკული გამოცდილების შეძენით, სხვა ადამიანებთან ურთიერთობების დამყარებით, საკუთარი პოზიციის გამოხატვით, სხვებთან დაპირისპირებით, დამოუკიდებლობის გამოვლენით, საკუთარი თავის „შემოწმებით“, შემდგომი საქმიანობის პერსპექტივების დასახვით, ბავშვი ზრდასრულ პიროვნებად ყალიბდება. ბავშვობიდან მოზრდილობაში გადასვლის პროცესი, როგორც წესი, მძაფრად და ზოგჯერ დრამატულადაც მიმდინარეობს. მასში სოციალური განვითარების ურთიერთსაპირისპირო ტენდენციებია გადახლართული. ერთი მხრივ, ამ რთული პერიოდისათვის დამახასიათებელია ნეგატიური გამოვლინებები, – პიროვნების დისჰარმონია, უკვე ჩამოყალიბებული ინტერესების შეცვლა, მოზრდილებთან მიმართებაში პროტესტის გამომხატველი ქცევა და სხვა. მეორე მხრივ, აღსანიშნავია უამრავი დადებითი ფაქტორი – მზარდი დამოუკიდებლობა, ურთიერთობათა მრავალფეროვნება, საქმიანობის სფეროს შეცვლა და გაფართოება, საკუთარი თავისა და სხვების მიმართ პასუხისმგებლობის განვითარება და სხვა.

არასრულწლოვანთა დანაშაულობის კრიმინოლოგიურ ასპექტებზე საუბრისას, აუცილებლად უნდა შევეხოთ მიმბაძველობის როლს მოზარდის მიერ დანაშაულის ჩადენაში. ამისათვის, განვიხილოთ სოციალურ - კოგნიტური თეორია, რომელიც დამყარებულია რწმენებზე, მოლოდინებზე, მოტივაციასა და რაც ყველაზე მთავარია მე - კონცეფციაზე.

ავტორთა მიერ, საკითხის კვლევისას, შემუშავებული იქნა რეკომენდაციები, რომლებიც ღირებული იქნება არა მარტო თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი იურისტებისთვის, ასევე, თანამედროვე მშობლებისთვისაც შვლის აღზრდის პროცესში.

# უკანონო შემოსავლის ლეგალიზების წინააღმდეგ ბრძოლის თანამედროვე გამოწვევები

**იოსებ ხუციშვილის**
სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მსოფლიო მასშტაბით ფულის გათეთრების აღკვეთის პრობლემა აქტუალური გახდა გასული საუკუნის 80-90-იანი წლებიდან და დღემდე არ კარგავს აქტუალობას, რადგან დღითიდღე იხვეწება ამ დანაშაულის ჩადენის გზები და საშუალებები. ფულის გათეთრება 21-ე საუკუნის ერთ-ერთი ფუნდამენტური მოვლენაა. ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თანამედროვე გამოწვევების წინაშე დგას როგორც საქართველო, ისე მსოფლიო. სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობა არასაკმარისად მჭიდროა, რისი მიზეზიც შესაძლოა იყოს როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე, ისე ქვეყანაში არსებული კორუფციის დონე თუ პოლიტიკური ნება. ქვეყნები განსხვავებულად უდგებიან ამ პრობლემურ საკითხს, თუმცა ზოგჯერ თავად ეს გზა შესაძლოა არ იყოს კანონის ფარგლებში სრულად მოქცეული (მაგალითად არალეგალური კაპიტალის მიზიდვისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა).

ვინაიდან ფულის გათეთრების სქემები ძირითადად ტრანსნაციონალური ხასიათისაა და, შესაბამისად, არსებობს ამ სქემებში ქართული ეკონომიკის ჩართვის საფრთხე, სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია სწრაფი და გააზრებული რეაგირება. საჭიროა საქართველოშიც მოხდეს ახალი მიდგომების შემუშავება და საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზებისა და მისი ეფექტურობის ამაღლების მიზნით.

ქართული სასამართლო პრაქტიკა ამ დანაშაულთან დაკავშირებით საკმაოდ მკაცრია. უახლესი პრაქტიკის გათვალისწინებით უკანონო ქონების აზარტულ თამაშში ბრუნვის შედეგად მიღებული მოგება სასამართლომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზებად დააკვალიფიცირა, რასაც სრულად ვიზიარებ.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურად განხორციელებისა მიზნით, ამ საკითხთან დაკავშირებული თანამედროვე სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ უნდა განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება, რომლის შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის შენიშვნის პირველ ნაწილს უნდა დაემატოს სიტყვები: „აგრეთვე, უკანონო ქონების აზარტულ თამაშში ბრუნვის შედეგად მიღებული მოგება“ და შესაბამისად, უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ამ მუხლის მიზნებისათვის უკანონო ქონებად ითვლება ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), აგრეთვე, უკანონო ქონების აზარტულ თამაშში ბრუნვის შედეგად მიღებული მოგება, რომელიც/რომლებიც პირს, მისი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს ან დაკავშირებულ პირს მოპოვებული აქვთ კანონის მოთხოვნათა დარღვევით.“

# ექსპერტიზის მნიშვნელობა და როლი მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში

**კობა ჩიხლაძე**
სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მოგეხსენებათ, რომ მართლმსაჯულების განხორციელება როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო საქმეთა წარმოებისას, ხშირ შემთხვევაში სამედიცინო მუშაკთა კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, რადგან ამ კატეგორიის დავები აუცილებლად მოითხოვს კონკრეტული სპეციალიზაციის, ცოდნისა და გამოცდილების ექსპერტის მიერ შემუშავებულ დასკვნას, ამ პოზიციას ასევე ამყარებს სამედიცინო ექსპერტიზასთან დაკავშირებით არსებული სამართლებრივი რეგულაციები და დამკვიდრებული პრაქტიკა. კვლევა მიზნად ისახავს ექსპერტიზისა და ზოგადად ექსპერტების მიერ მომზადებული დასკვნის მნიშვნელობის ხაზგასმას მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. კვლევის მიზანია მაქსიმალურად გამოირიცხოს ვარაუდზე აგებული სტანდარტი ექსპერტიზის ჩატარების დროს ვინაიდან ეს ვარაუდზე დამყარებული მტკიცებულება არ აკმაყოფილებს გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ მაღალ სამართლებრივ სტანდარტს და წარმოადგენს მხოლოდ ვარაუდს, ის ვერ გახდება გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის საფუძველი.

# გადასახადის თავის არიდების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებანი საქართველოში (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)

**ელენე ჩალაძე**
დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საგადასახადო კანონმდებლობა ყოველი სახელმწიფოსათვის ერთ-ერთი რთული და უმნიშვნელოვანესი ფენომენია. მის სრულყოფილებაზე, სწორ და გამართულ ფუნქციონირებასა და მუდმივ ლიბერალიზაციაზე ბევრადაა დამოკიდებული: სახელმწიფოს ეკონომიკური სიძლიერე, შესაბამისად კი - მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება, ინვესტიციების მოზიდვა და რაც არსებითია, ბიზნესის განვითარებისათვის ხელშეწყობა. ამიტომაცაა, რომ გადასახადის გადახდისაგან თავის არიდება ერთ-ერთ სოციალურად საშიშ დანაშაულს წარმოადგენს. მისი ჩადენით დამნაშავე ხელყოფს ქვეყნის საფინანსო სისტემას, აფერხებს სახელმწიფოს ბიუჯეტის შევსებას, რაც შემდგომში ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერესა და მოსახლეობის ცხოვრების დონეზე უკიდურესად უარყოფითად აისახება. თითოეული სახელმწიფოს კანონმდებელი, საგადასახადო სფეროში ჩადენილი დანაშაულებისა და სამართალდარღვევების მიმართ აწესებს სისხლისსამართლებრივ და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, ამასთანავე, მათი მიდგომა ამ მიმართებით ინდივიდუალურია და მთელი რიგი სპეციფიურობით ხასიათდება.

გადასახადებისაგან თავის არიდების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემატიკასა და მის სოციალურ საშიშროებაში სრულყოფილად რომ გავერკვიოთ აუცილებელია განვიხილოთ ის ძირითადი სპეციფიკა და თავისებურებები, რომლებიც ამ მიმართულებით ცალკეულ უცხოეთის სახელმწიფოებს ახასიათებს, ეს განპირობებულია თვით ამ დანაშაულებრივი ქმედების სოციალური საშიშროებით, რომელიც არსებით ზიანს აყენებს ნებისმიერი ქვეყნის საგადასახადო სისტემას. ამასთან ერთად, საგულისხმოა ისიც რომ უცხოეთის ქვეყნების სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა, ამ კატეგორიის სამართალდარღვევების მიმართ მათი სოციალური საშიშროების ხარისხიდან გამომდინარე, არ არის ერთგვაროვანი, რაც აისახება ცალკეული ქვეყნების კანონმდებლობაში.

საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის პასუხისმგებლობის სრულყოფას აქვს თავისი ისტორია. ის ჯეროვნად არის შესწავლილი უამრავი სამეცნიერო ნაშრომში. გადასახადის გადახდისაგან თავის არიდება გულისხმობს მას, როგორც საგანგებო მოვლენას. იგი გადასახადით დაბეგვრასთან ერთად წარმოიქმნება. რამდენადაც გადასახადის გადამხდელთა უმრავლესობას იმანენტურად აქვს სურვილი, არაფრის დიდებით არ დაემშვიდობოს თავისი ქონების ნაწილს და სხვადასხვა ხერხით შეამციროს სახელმწიფოს კუთვნილი სავალდებულო გადასახადის ოდენობა. გადასახადით დაბეგვრის ისტორიამ იცის ბევრი მაგალითი, როცა გადასახადის ამოღება ხორციელდებოდა მხოლოდ მკაცრი სახელმწიფო იძულების ზომების გზით. ყველაზე ხშირად აღშფოთება გადასახადების ამოღებასთან დაკავშირებით წარმოიქმნებოდა მაღალი საგადასახადო განაკვეთის გამო და ასევე იმ არამიზნობრიობის შედეგად, რომლებზეც გაიხარჯა ამოღებული გადასახადები (მაგალითად, ომების წარმოება, სასახლეების მშენებლობა, ფუფუნების საგნების შეძენა და ა.შ.).

# ,,უდანაშაულობისა და თავისუფლების პრეზუმცია“ და დამნაშავის გადაცემასთან დაკავშირებული აქტუალური პრობლემები

**გიორგი ტაკაშვილი**
სისხლის სამართლის დეპარტამენტის ასისტენტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

კვლევა ეხება დამნაშავის ექსტრადაციის პრობლემატიკას. კერძოდ, განხილულია უდანაშაულობისა და თავისუფლების პრეზუმციიდან გამომდინარე დამნაშავის გადაცემასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები. მიუხედავად, იმისა რომ ინტეგრაციული პროცესების განვითარებასთან ერთად სახელმწიფოები მიდიან იმის აუცილებლობამდე, რომ მკაცრად დაიცვან ექსტრადაციის დროს მათ მიერ დადგენილი წესები. სამწუხაროდ, დღემდე არ არის ერთიანი პოზიცია ექსტრადაციის ტერმინებთან დაკავშირებით. იურისტთა ერთ ნაწილს მიაჩნდა და დღესაც მიაჩნია, რომ ექსტრადაცია მოიაზრება, როგორც ,,დამნაშავის გადაცემა“, მეორე ნაწილი კი ამ უკანასკნელის ქვეშ გულისხმობს ბრალდებულის და მსჯავრდებულის გადაცემას. საერთაშორისო კანონმდებლობაში კი საუბარია ,,დამნაშავის გადაცემაზე“, ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა. მიმაჩნია, რომ ტერმინი ,,დამნაშავის გადაცემა'', რომელსაც ვიყენებთ ექსტრადაციის საკითხის გადაწყვეტისას წინააღმდეგობაში მოდის ქვეყნის კონსტიტუციასთან და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებთან. სწორედ ამაზე იქნება გამახვილებული ყურადღება ნაშრომში და ასევე იქნება შემოთავაზებული ავტორისეული ხედვა აღნიშნულთან დაკავშირებით. მიმაჩნია, რომ ექსტრადაციის საკითხის შემდგომი სრულყოფა მეტად აქტუალურია და სერიოზულ კვლევას საჭიროებს.

კვლევის მიზანია, ექსტრადაციისა და დამნაშავის გადაცემის ტერმინების განხილვა ისტორიულ ჭრილში ე.ი. კონკრეტულად საუბარია ექსტრადაციისა და დამნაშავის გადაცემის ტერმინების დამუშავებაზე კლასიკური გაგებით. აღსანიშნავია, რომ ისტორიული წყაროების მიხედვით საკითხით დაინტერესება იწყება მე-19 საუკუნეში, როცა საერთაშორისო მასშტაბით ადამიანის უფლებების დაცვაზე ნაკლებად საუბრობდნენ. პოსტ საბჭოთა და ზოგიერთი განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობაშიც კი დღემდე შეხვდებით მუხლებს ,,დამნაშავის გადაცემის'' სახელწოდებით. ქართული კანონმდებლობაშიც ასეთივე ჩანაწერს ვხვდებით. აღნიშნული კი აშკარა წინააღმდეგობაში მოდის ქვეყნის ძირითად კანონთან და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან. კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დანაშაული არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლი ასევე ეთმობა ,,უდანაშაულობისა და თავისუფლების პრეზუმციას'', რომელშიც აღნიშნულია, რომ პირი უდანაშაულოდ ითვლება მანამ სანამ მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით გათვალისწინებული კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განჩინებით.

კვლევის შედეგად გამოიკვეთება, რომ ექსტრადაციის ინსტიტუტი გამოწვევის წინაშე დგას. მიუხედავად იმისა, რომ ექსტრადაციასთან დაკავშირებით საკითხები კანონმდებლობით არის დარეგულირებული, მთელი რიგ შემთხვევებში ,,დამნაშავის გადაცემა'' დავის საგანია სახელმწიფოთა შორის. უდანაშაულობის პრეზუმციის გათვალისწინებით კი მივიჩნევთ, რომ ტერმინი ,,დამნაშავის გადაცემა'' უნდა შეიცვალოს და მას ეწოდოს ,,მსჯავრდებულის გადაცემა'' ვინაიდან ასე ბევრად უფრო იქნება დაცული პირის უფლებები.

# აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებისას სავალდებულო დაცვის მნიშვნელობა

**ხატია ხერხეულიძე**
ასისტენტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან პატიმრობით უზრუნველყოფილი გირაოს გამოყენებისას ბრალდებულს შეზღუდული აქვს პარალელური გამოძიების ჩატარების უფლება, რაც იწვევს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევას და რის გამოც საჭიროა განხორციელდეს ცვლილებები კანონმდებლობაში.

საქართველოს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით ადვოკატის პროცესში მონაწილეობა ყოველთვის არ არის სავალდებულო. მიგვაჩნია, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან პატიმრობით უზრუნველყოფილი გირაოს გამოყენებისას, მხარეების თანასწორობა შესაძლოა მიღწეულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულს ეყოლება ადვოკატი. აღნიშნულ სიტუაციაში ცხადია, რომ ბრალდებულისთვის გამოძიების დამოუკიდებლად წარმოების უფლება შეზღუდულია, მას არ ეძლევა ადეკვატური დრო და საშუალება დამოუკიდებლად ჩაატაროს პარალელური გამოძიება, რითაც ირღვევა მისი უფლებები და მცირდება საკუთარი სიმართლის დამტკიცების შანსები, რადგან სისხლის სამართლის პროცესი მკაცრად გაწერილი ნორმებისგან შედგება, რომელთა შესრულება პროცესის ყველა მონაწილისთვის სავალდებულოა, ხოლო ნებისმიერი მიზეზით მათი არ ან ვერ შესრულება კონკრეტულ ნეგატიურ შედეგებს იწვევს მხარისთვის.

პრაქტიკაში მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპები მხოლოდ მაშინ იმუშავებენ, თუ თითოეული პატიმრობაში მყოფი ბრალდებულისათვის დადგენილი იქნება სავალდებულო დაცვა. თეორიულად გამოძიების სტადიაზე ბრალდების და დაცვის მხარეს უნდა გააჩნდეთ თანაბარი პროცესუალური შესაძლებლობები მტკიცებულებათა მოსაპოვებლად. თუმცა, მიგვაჩნია, რომ ხსენებული შესაძლებლობები არ არის თანაბრად გადანაწილებული მხარეებს შორის. საქმე კიდევ უფრო რთულდება და ზემოაღნიშნული პროცესუალური შესაძლებლობების განხორციელება ფაქტიურად შეუძლებელია, როდესაც ბრალდებულს თავისუფლად გადაადგილების უფლება აქვს შეზღუდული. ასეთ დროს, ბრალდებული ნამდვილად მოკლებულია შესაძლებლობას, რომ ბრალდების მხარის თანასწორ მდგომარეობაში მოიპოვოს მტკიცებულებები, აწარმოოს გამოძიება და საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებები გამოიყენოს საჭიროებისამებრ.

ჩვენი რეკომენდაციაა, რომ განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის შესაბამისად, პატიმრობაში მყოფი ბრალდებულებისათვის სავალდებულო დაცვა განხორციელდება. მიგვაჩნია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 45-ე მუხლის დღეს მოქმედი „ლ“ ქვეპუნქტი უნდა გახდეს „მ“ ქვეპუნქტი, ხოლო „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „თუ გამოტანილია განჩინება პატიმრობის ან პატიმრობით უზრუნველყოფილი გირაოს გამოყენების შესახებ“.

ჩვენ გვესმის ის სირთულეები, რაც უკავშირდება დიდი რაოდენობით არსებულ საქმეებში ადვოკატების ჩართულობის პროცესებს. ამ საკითხთან დაკავშირებული ხარჯების მინიმიზირება შესაძლებელი იქნება იურიდიულ პროფესიაში „სტაჟიორ-ადვოკატის“ ინსტიტუტის ეფექტური იმპლემენტაციით, სადაც მათ ექნებათ ადვოკატის უფლებამოსილებების სრულად განხორციელების შესაძლებლობა.

# მცენარე კანაფის ან მარიხუანის უკანონო შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, ან/და გადაგზავნისათვის სისხლისსამართლებრივი ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის განხილვის თავისებურებები

**ანა კუჭუხიძე**
მაგისტრანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სახელმწიფოთა შიდა კანონმდებლობებში ნარკოტიკულ დანაშაულს ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ის შედის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში. უნდა აღინიშნოს, რომ ნარკოტიკული დანაშაული არ არის მარტივი, ის არის რთული, კომპლექსური, გამოვლენითი დანაშაული. გაეროს კონვენციები, როგორებიცაა 1961, 1971 და 1988 წლის „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეკურსორების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, ყურადღებას ამახვილებენ ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის პრობლემებზე.

ნარკოტიკულ დანაშაულთა თავში მნიშვნელოვანია გამოვყოთ და გამოვარჩიოთ 273[1] მუხლი, რომელიც განსხვავებით დანარჩენი მუხლებისგან, მოიცავს ათ ნაწილსა და შენიშვნებს. მცენარე კანაფის ან კანაბისის უკანონო შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და გასაღება.

მუხლის ნაწილები თავის მხრივ მოიცავს ისეთ დამამძიმებელ გარემოებებს, როგორებიცაა: ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ; ბ) არაერთგზის; გ) იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული.

აქვე, მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ იმასაც, რომ 273 მუხლი მე-6 ნაწილამდე, რაც გულისხმობს მცენარე კანაფის ან კანაბისის უკანონო შეძენას, შენახვას, გადაზიდვა ან გადაგზავნას ჩადენილ განსაკუთრებით დიდი ოდენობით, არ იყენებს სასჯელის ფორმად თავისუფლების აღკვეთას, რომელიც მხოლოდ ბოლო 5 პუნქტში გვხვდება.

აღნიშნულ მუხლთან მიმართებით პრაქტიკაშიც არაერთი გადაწყვეტილებას ვაწყდებით საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულს, სადაც საკონსტიტუციო გადაწყვეტილებები ძირითადად აპელირებს ოდენობებზე, რომელიც მხოლოდ ერთპიროვნულად შეუძლია მოიხმაროს ადამიანმა და არ გაასხვისო, ამით საფრთხე არ შეუქმნას სხვის ჯანმრთელობას.

შესაბამისად, დასჯადობის თვალსაზრისით გასათვალისწინებელია კანაბისის ოდენობა, მისი მავნებლობა საზოგადოებისათვის, მაგალითად კანაბისის სისტემატურმა მოხმარებამ შეიძლება გამოიწვიოს პიროვნების დეგრადაცია, ინტელექტუალური ფუნქციების დაქვეითება, ქრონიკული შიზოფრენია, რაც შეესაბამება სრულ ქმედუუნარობას და თუ მისი მოხმარებით ზიანდება მხოლოდ მომხმარებელი და არა სხვა სამართლებრივი სიკეთე, ასეთ შემთხვევაში კანონი უნდა იყოს ლოიალური.

საბოლოოდ მოგახსენებთ, რომ საქართველოს სსკ-ის 2731-ე მუხლით 2021 წელს ნასამართლევია -161 მოქალაქე, ხოლო 2022 წელს - დღეის მდგომარეობით 95 მოქალაქე.

# პოლიტიკური ლიდერის როლი პოსტმოდერნის ეპოქაში

**კარლო კოპალიანი**
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ერი-სახელმწიფოს ჩამოყალიბების ეპოქიდან პოლიტიკური ლიდერის როლი განსაკუთრებული იყო. რაც ყველაზე მთავარია იგი იყო ავტორიტეტი, რომლის ირგვლივაც თავს იყრიდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები. პოლიტიკური ლიდერის ავტორიტეტულობა განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ - მოდერნის ეპოქის ზეობაში. არ ყოფილა არცერთი მეტ ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრებაში, პოლიტიკური ლიდერის აქტიური მონაწილეობის გარეშე. პოლიტიკურ ლიდერთა ზეობის ეპოქა იყო თითქმის მთელი XX საუკუნე. ჩერჩილი, რუზველტი, სტალინი, დე გოლი - ამ სახელების ხსენებაც კი საკმარისია, რომ დავრწმუნდეთ თუ რა როლს თამაშობდნენ ისინი საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე. მაგრამ XX საუკუნის მიწურულს სიტუაცია სრულიად შეიცვალა და პოსტმოდერნის ეპოქამ თითქოს გვიჩვენა, რომ ავტორიტეტების ეპოქა წარსულს ჩაბარდა. ევროატლანტიკურ სივრცეში მართლაც შეინიშნებოდა ძლიერ პოლიტიკოსთა დეფიციტი. ეს ვითარება დღემდე გრძელდება.

პოსტმოდერნი, რომელიც ყველაფრის ნულიდან დაწყებას აანონსებდა და სოციალური კონსტრუქციის სრულიად ახალ სურათს გვთავაზობდა აბსურდამდეც კი მივიდა და პოლიტიკური ლიდერის როლი უმნიშვნელო თამაშამდეც კი დაიყვანა. უნდა ვაღიაროთ, რომ პოსტმოდერნისტთა გავლენა XX საუკუნის მიწურულსა და XXI საუკუნის პირველ ათწლეულში საკმაოდ ძლიერი იყო დასავლურ სივრცეზე, რამაც აშშ და ევროპა მნიშვნელოვნად დააზარალა. დღეს დასავლეთი რწმუნდება პოლიტიკური ლიდერის დაბრუნების აუცილებლობაში.

ლიდერის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გადაწყვეტილებათა რეალიზება დამოუკიდებლად, მისი მომხრეების მეშვეობით და დელეგირების გზით. გადაწყვეტილება არის ალტერნატივის არჩევა. მმართველობითი გადაწყვეტილება არჩევანია, რომელიც უნდა გააკეთოს ხელმძღვანელმა, რათა შეასრულოს მის მიერ დაკავებული თანამდებობით განპირობებული ვალდებულებები. ლიდერის გადაწყვეტილება არჩევანია, რომელიც დაკავშირებულია დამდგარ შედეგებზე პასუხისმგებლობის აღებასთან, (მათ შორის ჯგუფის წევრთათვის. არსებობს გადაწყვეტილების ორი კატეგორია: 1) დაპროგრამებული გადაწყვეტილებები – ნაბიჯების, ქმედებების გარკვეული თანმიმდევრობით რეალიზების შედეგი. პროცედურა ერთხელ მუშავდება და ყოველთვის მეორდება მსგავსი სიტუაციის წარმოშობისას. ხელმძღვანელის პირადი ინიციატივა დაბალია, ზოგჯერ კი მთლიანად გამორიცხულია; 2) დაუპროგრამებელი გადაწყვეტილებები – გადაწყვეტილებები ახალ, არასტანდარტულ, შინაგანად არასტრუქტურირებულ სიტუაციებში, რომლებიც დაკავშირებულია უცნობ ან გაუზომავ ფაქტორებთან. ასეთი გადაწყვეტილებებისთვის შეუძლებელია შემუშავდეს ერთიანი სტანდარტული პროცედურა, ამიტომაც საჭიროა ლიდერი, რომელიც საკუთარ თავზე აიღებს პასუხისმგებლობას საკუთარი ინიციატივის რეალიზებაზე.

ლიდერის მნიშვნელობა, ფუნქციები და სტილი პირდაპირაა დაკავშირებული, პირველ ყოვლისა, პოლიტიკური წყობის თავისებურებებთან. ჭეშმარიტი დემოკრატია შეუთავსებელია ისეთ პოლიტიკურ ლიდერობასთან, რომელიც ერთი პირის ხელმძღვანელობას გულისხმობს. თუმცა არც პოსტმოდერნისტული ნიველირებული ლიდერობაა, ჩვენი აზრით, მისაღები.

პოლიტიკური ლიდერობა, როგორც განსაკუთრებული სახის გავლენა, მოიცავს ხელმძღვანელობის ზეგავლენის არა მარტო სახელისუფლებო სახეობებს, არამედ ისეთსაც, რომელიც ემყარება ავტორიტეტს, დარწმუნებას და არ გულისხმობს ისეთ ხისტ, ერთპიროვნულ ზეგავლენას, როგორიც ძალაუფლებაა.

# პოლიტიკური რეალიზმი და XVI-XVIII საუკუნეების საერთაშორისო ურთიერთობების „კლასიკური“ მიდგომები

**თამარ კიკნაძე**
პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მოხსენებაში გაანალიზებულია „კლასიკური“ მიდგომები XVI-XVIII საუკუნეების საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლაში, რომელიც, თავის მხრივ, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ჩამოყალიბებული „პოლიტიკური რეალიზმის“ სკოლის წინამორბედად გვევლინება. მასში გადმოცემულია ჟან ბოდენის თომას ჰობსის, ლორდ ბოლინბროკის, ემერიკ დე ვატელის, დევიდ იუმის და ჟან–ჟაკ რუსოს ნააზრევი და შეხედულებანი საერთაშორისო ურთიერთობებსა და საერთაშორისო წესრიგზე.

მეცნიერებაში საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ ამა თუ იმ თეორიული ტრადიციის ჩამოყალიბება დაკავშირებულია გარკვეულ მოვლენაზე ან მოვლენებზე  დაკვირვების და შესწავლის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე და ამ ინფორმაციის ანალიზზე. ასეთი ტრადიცია ყალიბდებოდა ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილების პროცესში, რომლის დროსაც ხდებოდა პრინციპულად მნიშვნელოვანი პრობლემების გამოყოფა და მათი გადაჭრის გზების ძიება.

თავის დროზე ფუკიდიდეს მიერ ობიექტურად აღწერილმა და სიღრმისეულად გაანალიზებულმა მოვლენებმა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის მთელი რიგი დებულებების შემდგომი განვითარება. სწორედ ფუკიდიდე გახდა თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკური მეცნიერების ერთერთი ყველაზე უფრო გავლინიანი ტრდიციის ფუძემდებელი, რომელმაც შემდგომი განვითარება XVI-XVIII საუკუნეების ევროპის პოლიტიკურ–სამართლებრივ აზროვნებაში ჰპოვა და ამ ტრადიციას სამეცნიერო ლიტერატურაში „კლასიკური“ უწოდეს.

„კლასიკური“ მიდგომის თანახმად, საერთაშორისო ურთიერთობებში მთავარი მახასიათებელი სახელმწიფოთა შორის არსებული წინააღმდეგობები და ამ წინააღმდეგობებით გამოწვეული ქმედებებია, ხოლო გადამწყვეტ ფაქტორად . ეროვნული ინტერესები და ძალა მიიჩნევა. თავის მხრივ, აღნიშნული მიდგომა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ჩამოყალიბებული „პოლიტიკური რეალიზმის“ სკოლის წინამორბედად გვევლინება.

# პუტინიზმის პოლიტიკური ანატომია

**ქეთი ჯიჯეიშვილი**
პოლიტიკის დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თემაში წარმოჩენილი პრობლემა საერთაშორისო პოლიტიკის დღის წესრიგის აქტუალურ პრობლემათა რიგს განეკუთვნება, რამდენადაც პუტინიზმი არის სერიოზული გამოწვევა არა მხოლოდ რუსეთისა და პოსტსოციალისტური ქვეყნებისათვის, არამედ, ზოგადად, ლიბერალური საერთაშორისო წესრიგისათვის.

მართალია, თავად ტერმინი "პუტინიზმი" რუსულ პრესაში 2000 წლის 11 იანვარს გაჩნდა, როდესაც ვლადიმირ ვლადიმირის ძე პუტინს ქვეყნის მეთაურის მოვალეობის შესრულება რამდენიმე დღის დაწყებული ჰქონდა, მაგრამ თავად პრობლემა, პუტინიზმი, ფართო გაგებით, სათავეს წარსულიდან იღებს. ის დაკავშირებულია რუსეთის გეოპოლიტიკასა და ისტორიის განვითარების თავისებურებეთან და ასოცირდება რუსულ ისტორიულ იმპერიულ ხედვასთან, სლავიანოფილობასთან, საკუთარ განსაკუთრებულობასთან და მისიაზე აქცენტთან და საბჭოთა ტოტალიტარიზმთან - თავისი ჩაკეტილობითა და დასავლეთისადმი ზიზღით. თანამედროვე ეტაპზე ამას ემატება რუსული მართლმადიდებლობის ზნეობრივი დოქტრინის სახით გამოყენება და ზემოქმედების გეოპოლიტიკური ელემენტები, პირველ რიგში ენერგომატარებლები.

ორი ცვლადის - პუტინიზმსა და სტალინიზმის არსისა და მათგან წარმოშობილი საფრთხეების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, ნაჩვენებია, რომ პუტინიზმი არის სტალინიზმის რეინკარნაციის სუსტი მცდელობა, რაც გამოიხატება რევიზიონიზმში, ტერიტორიულ ექსპანსიონიზმში, კლანურ მმართველობაში, კანონის უზენაესობის არარსებობაში, ოპონენტების დევნაში და ა.შ.

მოხსენებაში აქცენტირებულია და სადისკუსიოდაა გამოტანილი პუტინიზმის შექმნასა და მხარდაჭერაში რუსეთის მოქალაქეების პასუხისმგებლობისა და, შესაბამისად, იმპერიალისტური ცნობიერების დაძლევის აუცილებლობის საკითხები, ისევე როგორც ეს მოხდა გერმანიაში ფაშიზმის დამხობის შემდეგ. ამ პრობლემის შემდგომი კვლევა, სწორი გააზრება და ანალიზი, როგორც გლობალურ დონეზე, ასევე რუსეთისა და საქართველოსთვისაც, შეიძლება გახდეს ბევრი შემდგომი პოლიტიკური პროცესის განმსაზღვრელი.

# ევროსკეპტიციზმი საქართველოში და რელიგია, როგორც ულტრამემარჯვენეების პოლიტიკური იარაღი

**აბესაძე გვანცა**
საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, ასისტენტი
ახალი უმაღლესი სასწავლებელი „new uni“

უკანასკნელ პერიოდში ევროპული სახელმწიფოების დიდ ნაწილში ულტრამემარჯვენეების გაძლიერებამ და მათმა აგრესიულმა რიტორიკამ პოლიტიკურ დღის წესრიგში დააყენა საკითხი რამდენად მყარია ამ ქვეყნებში ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებები. აღნიშნული დამოკიდებულებები ხშირად გამომდინარეობს ერთის მხრივ ევროკავშირის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან, ხოლო მეორე მხრივ არაწევრ სახელმწიფოებში ევროინტეგრაციისადმი სკეპტიციზმით.

საქართველოში, სწრაფვა შენარჩუნებულიყო ეროვნული თვითმყოფადობა ნელნელა გადაიქცა ეთნო-რელიგიურ ნაციონალიზმად, რამაც გამოიწვია სხვადასხვა ექსტრემისტული და ულტრანაციონალისტური პარტიების ჩამოყალიბება, რომლებმაც საკუთარ სამოქმედო დღის წესრიგში რელიგიის საკითხის გააქტიურება და მისი ინსტუმენტალიზაცია დაიწყეს, ისინი თავს აიგივებენ მემარჯვენე კონსერვატიულ იდეოლოგიასთან და საფრთხეს უქმნიან ქვეყნის ევროპულ პერსპექტივას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გავარკვიოთ რამდენად დიდია ულტრამემარჯვენე შეხედულებების მქონე პარტიების გავლენა საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესზე და აგრეთვე, რამდენად კეთილსინდისიერია მათ მიერ რელიგიის ფაქტორის გამოყენება პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

ზემოთხსენებული საკითხის გასაანალიზებლად ძირითადი აქცენტი იქნება გაკეთებული აღნიშნული ულტრამემარჯვენე ჯგუფებისა და პარტიების (მაგ. „კონსერვატიული მოძრაობა“ „პატრიოტთა ალიანსი“, „ქართული მარში“ და აშ) მესიჯებზე, რელიგიური საკითხის გამოყენების კონტექსტსა და მოტივებზე, აგრეთვე თუ რას ფიქრობენ ისინი ადამიანის უფლებებსა და იმ დემოკრატიულ ღირებულებებზე, რასაც საბოლოოდ ევროპული მომავალი გვთავაზობს. გაკეთებული განცხადებები აჩვენებს რომ განსხვავებულია მათი ხედვა ევროინტეგრაციასა და ევროპულ სტრუქტურებში გაწევრიანებაზე, იგი განსხვავებულია როგორც დისკურსულ ნაწილში, აგრეთვე სკეპტიციზმის დოზითა და პოლიტიკური მისწრაფებებით, საიდანაც ისინი შეიძლება გავაერთიანოთ პირობით, მყარ და რბილ ევროსკეპტიციზმის ბანაკებში, ერთმანეთისგან განსხვავდება მათი პოლიტიკური რიტორიკა და გავლენა ელექტორატზე.

საბოლოო ჯამში, აღნიშნულ ულტრამემარჯვენე ძალების მიერ პოლიტიკური განცხადებებსა და სამოქმედო გეგმებში წინა პლანზე რელიგიისა და ტრადიციების გადმონაცვლება ემსახურება ერთ მიზანს კიდევ უფრო გაამყაროს მოქალაქეებში ევროპული ღირებულებებისადმი ნეგატიური დამოკიდებულება და წარმოაჩინოს მეორე მხარე როგორც მტერი, რომელიც მოტივირებულია საქართველოსათვის ძირითადი ფასეულობების წართმევისათვის. თუმცა, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ამ ჯგუფებისადმი სანდოობისა და ელექტორატის სიმცირე გამოწვეულია სწორედ მათი პოზიციონირებით ევროსკეპტიციზმთან მიმართებაში.

# ელიტების რეკრუტირების ინსტიტუციონალური პრობლემატიკა

**დავით ხუფენია**
საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საზოგადოება არასოდეს განიცდის ელიტური პოზიციების დაკავების მსურველთა ნაკლებობას, რაც განპირობებულია აღნიშნული საქმიანობის მაღალი სტატუსით, პრესტიჟით და რიგი პრივილეგიების მოპოვების შესაძლებლობით (მათ შორის მატერიალურის). სხვა საკითხია, რამდენად კვალიფიციური აღმოჩნდებიან ახალი ელიტები თავის პოზიციებზე და როგორია მათი მორალური და პროფესიული ნიშანთვისებები. დაკომპლექტების ელიტარულ სისტემას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური სისტემისათვის: მას შეუძლია უზრუნველყოს ძალაუფლების წვდომის მეტ-ნაკლებად თანაბარი შესაძლებლობა ყველა მოქალაქისთვის, ან შეზღუდოს ეს შესაძლებლობები, ან თუნდაც საერთოდ წაართვას ისინი. ჭეშმარიტად დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი არის თითოეული მოქალაქისთვის პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტებისადმი თავისუფალი წვდომის უზრუნველყოფას, რისი უფლებაც მას კონსტიტუციურად გააჩნია.

პოლიტიკური ელიტის რეკრუტირების პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტებია სოციალური ბაზის სიდიდე - პირთა წრე, რომლებიც ირჩევენ ელიტას (სელექტორი) და თვითონ პროცედურა, ანუ შერჩევის მექანიზმი. ბოლო ორი-სამი ათასწლეულის გამოცდილება, განსაკუთრებით პოსტ-საბჭოთა სივრცის სახელმწიფოების მაგალითი მიგვითითებს იმაზე, რომ დახურული ელიტა, რომელიც კომპლექტდება ვიწრო, პრივილეგირებული ფენის წარმომადგენლებისაგან და მხოლოდ საკუთარ შეზღუდულ ბაზაზეა ორიენტირებული - აუცილებლად დეგრადირდება და დაიშლება, რის შედეგადაც, ადრე თუ გვიან, ადგილს დაუთმობს უფრო რადიკალურად, ხშირად პოპულისტურად, განწყობის ჯგუფებს. რაც უფრო დახურულია ელიტა, მით უფრო ვიწროა მისი სოციალური ბაზა, მით ნაკლები შანსი აქვს გააგრძელოს თავისი ბატონობა და გადარჩეს სხვა სოციალურ-პოლიტიკურ სისტემებთან კონკურენციის პირობებში. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული თეორია მოქმედებს მით უფრო, რაც უფრო განვითარებულია სოციალური კომუნიკაციების სისტემა, მათ შორის ურთიერთობები ქვეყნებს, კულტურებსა და ცივილიზაციებს შორის.

თუ გავითვალისწინებთ, რომ არსებობს ელიტის სამი ძირითადი ტიპი - სისხლის ელიტა (არისტოკრატია); სიმდიდრის ელიტა (ბურჟუაზია); უნარის ელიტა (მერიტოკრატია), მაშინ შეგვიძლია განვასხვავოთ ელიტის რეკრუტირების სამი ძირითადი ტიპი: კეთილშობილების, სიმდიდრისა და უნარის კრიტერიუმის მიხედვით. ყველაზე ხშირად, ეს კრიტერიუმები შერეულია, მაგრამ როდესაც პოსტ-ინდუსტრიულ საზოგადოებას ვუახლოვდებით, ეს კრიტერიუმები მით უფრო ორიენტირებულია ნიჭისა და შესაძლებლობების (პროფესიონალიზმის) ირგვლივ. ყველა შემთხვევაში, ეს კრიტერიუმები მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ საზოგადოების ტიპებთან, რომელშიც ხდება რეკრუტირება. ზოგადად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ელიტის ხარისხი დამოკიდებულია მისი დაქირავების მეთოდებზე, იმაზე, თუ რამდენად „გამჭვირვალეა“ ელიტა, რამდენად ღიაა ყველაზე პოლიტიკურად აქტიური ადამიანებისათვის, რამდენად ღიაა ინოვაციებისთვის და ყველა კლასისა და ფენის წარმომადგენლებისთვის.

# სამხედრო ძალა, როგორც სახელმწიფო ძლიერების უმთავრესი კომპონენტი

**ირაკლი ნინუა**
დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ეროვნული სახელმწიფოს ძალაუფლება გამომდინარეობს მისი პოლიტიკური, დიპლომატიური, საინფორმაციო და სამხედრო ძლიერებიდან, მაგრამ ყოველივე ეს გარკვეულწილად ცვალებადია, თუმცა სიმბიოზური ურთიერთობა არმიასა და სხვა ინსტრუმენტებს შორის შესასწავლად ნამდვილად ღირს, რადგან ის ასახავს მთლიან ეროვნულ შესაძლებლობებს. ზოგადი აღქმა, რომ სამხედრო ძალა მხოლოდ ომისთვის არის - ბევრ პატარა სახელმწიფოში დიქტატორული რეჟიმების მიერ მის ბოროტად გამოყენებასთან ერთად, ხელს უშლის სამხედრო ძალაუფლების ზრდას სწორი მიმართულებით. საბოლოოდ, იგი მაინც არის განადგურების, მოკვლის, ან ოკუპაციისა და კონტროლის - იძულების მექანიზმი. საერთაშორისო სისტემაში „სამხედრო ძალა“, ისევე როგორც გავლენის სხვა ფორმები - წარმოადგენს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობას, რომელიც საშუალებას აძლევს ერთ მთავრობას აიძულოს მეორე მოიქცეს ისე, როგორც ეს უკანასკნელი თავისი ნება სურვილის საფუძველზე არ აირჩევდა, შესაბამისად, ის გარემოზე კონტროლის შესაძლებლობას იძლევა.

# ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის მოდელირებაში

**ირაკლი ბენაშვილი**
დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თანამედროვე ტექნოლოგიური ინდუსტრია ხელოვნურ ინტელექტთან კავშირის გარეშე წარმოუდგენელია. მეტიც, ამ მიმართულების განვითარება სრულად ხელოვნურ ინტელექტს და ავტომატურ მომსახურებას ემყარება. თითქმის ყველა სფეროში იცვლება, როგორც მარტივი საწარმოო თუ სამარი დავალებების შესრულების ფორმა, ისე რთული ამოცანების გადაწყვეტის გზები. ეს ყველაფერი კი, ხელოვნურ ინტელექტის გარეშე, ადამიანური ძალისთვის გადაუჭრელი პრობლემა იქნებოდა. საერთაშორისო ასპარეზზე მკვეთრად გამოხატულია ხელოვნური ინტელექტის როლი და აქტიური ჩართულობა, საბრძოლო და სამხედრო საქმეში.. სწორედ ამ განვითარებასთან ერთად ჩნდება უამრავი თითქოსდა პასუხგაუცემელი კითხვა: რა გველის ინოვაციებთან ერთად თანაცხოვრების გზაზე? რა საკანონმდებლო რეგულაციებში უნდა მოვაქციოთ აღნიშნული, რათა თავიდან იქნეს აცილებული ლეტალური შემთხვევები. აქვთ თუ არა განვითარებულ ქვეყნებს უკვე შემუშავებული სამართლებრივი ჩარჩოები? რა დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია ხელოვნურ ინტელექტს და როგორ შეუწყობს მისი დადებითი მხარეების გამოყენება ხელს მსოფლიოს განვითარებაში?

კვლევაში განხილულია ხელოვნური ინტელექტის როლი საერთაშორისო ტერორიზმში და მისი მნიშვნელობა საქართველოსთვის, გარედან მომავალი საფრთხეების მნიშვნელოვანი შემცირება და ქვეყანაში არსებული ხელოვნური ინტელექტის ახალი, გაუმჯობესებული ვერსიებით ჩანაცვლება, რომელიც მნიშვნელოვანი წინაპირობაა ქვეყნის საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენის და შესაძლებლობა ქვეყნის იმიჯის გასაუმჯობესებლად. გაანალიზებულია თვითმმართვადი აპარატების და საბრძოლო იარაღების გამოყენების შედეგები და მათ აქტიურად დანერგვის შესაძლებლობა საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებაში. არის თუ არა ზიანის მომტანი მათი დანერგვა და იმპლემენტაცია საქართველოში და რომელ სფეროებს ჭირდება განსაკუთრებულად მისი აქტიური ჩართულობა. ხელოვნური ინტელექტის სისტემების გამოყენებასთან დაკავშირებით შემდეგი გამოწვევები შეიძლება გამოიყოს:

- ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების, კანონის უზენაესობის, სამართლიანობისა და დემოკრატიული, კარგი მმართველობის პრინციპების დაცვა;
- ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ალგორითმების სანდოობა, პასუხისმგებლობა, უსაფრთხოება, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება;
- ხელოვნური ინტელექტის გამოყენება თაღლითობის, კორუფციის და სხვა გავრცელებული „მავნე პრაქტიკის“ წინააღმდეგ.

ციფრული ტრანსფორმაცია არ არის არჩევანი, არამედ ეს არის გარდაუვალი გზა თანამედროვე განვითარებული ქვეყნების წინსვლისა და წარმატებისთვის. თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ხელოვნური ინტელექტი ვერ გახდება დადებითი გავლენის მომხდენი და საზოგადოებრივი კეთილდღეობის წინაპირობა, თუკი სახელმწიფო მაღალეთიკური პრინციპებით, კონფლიქტურ ინტერესთა ბალანსის დაცვით, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით, საუკეთესო პრაქტიკისა და საერთაშორისო მარეგულირებელი სტანდარტების გათვალისწინებით, გამჭვირვალე პროცედურებითა და ტრანსპარენტული მართვის სისტემით არ უზრუნველყოფს ციფრული ტრანსფორმაციის რეფორმების განხორციელებას.

# პოსტმოდერნიზმი და ეროვნული იდენტობა

**თამარ ზირაქაშვილი**
დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დისკურსები ნაციონალიზმის ირგვლივ ყოველთვის ცხოველი ინტერესით გამოირჩეოდა. გლობალიზაციისა ეპოქაში კი მან ახალი იმპულსი შეიძინა. საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საერთაშორისო ცხოვრების სტრუქტურულმა ცვლილებებმა ნაციონალიზმის ახალი ფორმების წარმოქმნას შეუწყო ხელი.

ახალი ეპოქის დამახასიათებელ ერთ-ერთ თავისებურებად იქცა ტრადიციული, სისტემური ცოდნის, იდეოლოგიის, სოციოკულტურული მიკროსისტემის მნიშვნელოვანი ელემენტების მოშლა, თუმცა აქ საუბარია არა ტოტალურ დაცემასა და განადგურებაზე, არამედ ელემენტთა კონფიგურაციის ცვლილებასა თუ დეკონსტრუქციაზე.

შესაბამისად ეჭვის ქვეშ დადგა (ყოველგვარი მასობრივი ძალადობის გარეშე) ძველი ტიპის მსხვილმასშტაბიან პოლიტიკურ თანამეგობრობათა არსებობა, რომელსაც კლასიკური ნაციონალური (ეროვნული) სახელმწიფოც მიეკუთვნება. პოსტმოდერნის ფორმირებად გლობალურ კულტურას ძალზე ცოტა აქვს საერთო ნებისმიერ ტრადიციულ, ეროვნულ კულტურასთან. ამ თვალსაზრისით იგი ხელს უწყობს ამ ტრადიციული ფორმების მოშლას და წინააღმდეგობაში მოდის მასთან. ამ ფაქტის გასააზრებლად შეიძლება მოვუხმოთ კულტურის „ამერიკანიზაციის“ ირგვლივ ატეხილ ვნებათაღელვას ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში (ამ მხრივ გამოირჩევა საფრანგეთი). ამგვარი წყვეტა თუ კულტურის დაცემა კი ნიშნავს თავად კლასიკური ეროვნული სახელმწიფოს ფუნდამენტის მოშლას. არადა სწორედ კულტურული ერთობა, ამა თუ იმ ხალხის ისტორიულ-ტრადიციული სიახლოვე წარმოადგენდა თავის დროზე შესაბამისი ეროვნული ელიტების პოლიტიკური პრეტენზიების ლეგიტიმაციის უმთავრეს არგუმენტს, რაც ერი-სახელმწიფოს შენებას და განმტკიცებას ემსახურებოდა. შესაბამისად პოსტმოდერნისტული კულტურისა და გლობალიზაციის პირობებში, ფორმალურად შენარჩუნებული ერი-სახელმწიფო თანდათან კარგავს თავის ძირითად რესურსს საკუთარი ხელისუფლების ლეგიტიმაციის გზაზე.

პოსტმოდერნისტულმა მიმართულებამ საერთაშორისო - პოლიტიკური კომბინაციების ახალი რეალობა წარმოაჩინა. თავის დროზე ჟან ფრანსუა ლიოტარი წერდა: „მოდერნის სეტყვით დაზიანებული მსხვილი ტოტალიტარული რეჟიმების შიგნიდან აფეთქება ნოსტალგიას იწვევს ისეთ ბუნებრივ თანამეგობრობებში, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან სისხლით, ენით, მიწით, ტრადიციები... მაგრამ გარეგნული ხედვის მიღმა შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ერთიანი ევროპის კონცეფციის რეალიზაცია ადვილად მისაღწევი შეიძლება გახდეს უფრო „ბუნებრივ თანამეგობრობათა“ (რეგიონები ბავარიის, შოტლანდიის, ფლანდრიის, კატალონიის და ა.შ.) ფედერაციის საშუალებით, ვიდრე სუვერენულ სახელმწიფოთა მეშვეობით, - იმ საფრთხეების გათვალისწინებით თუ რა საფრთხე მოდის თითოეულ ამ გაერთიანებათა დომინირებული დემისიიდან“.

ამგვარად, დასავლეთ ევროპაში (აღმოსავლეთ ევროპაში სრულიად სხვა ვითარებაა) ძველი სახის ნაციონალიზმი, რომელიც ეფუძნებოდა ფრანგების, გერმანელების და იტალიელების გრძნობებს, ადგილს უთმობს ახალი ტიპის ბავარიულ, ბასკურ, ლომბარდიულ, კორსიკულ ნაციონალიზმს. პირობითად შეიძლება პირველი განისაზღვროს, როგორც მაკრონაციონალიზმი, ხოლო მეორე, როგორც მიკრონაციონალიზმი,

# ინტერვენციის აღკვეთის მექანიზმები საერთაშორისო სამართალში (თანამედროვე გამოწვევები)

**რუსლან აბაშიძე**
დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

XXI საუკუნის დასაწყისში, საერთაშორისო სამართლისა და რეალ პოლიტიკას შორის არსებული ხელოვნური შეუთავსებლობა, რომელიც ძირითადში დიდი სახელმწიფოების მიერ პროვოცირებულია. კვლავ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება. სამწუხაროდ რეალურ პოლიტიკაში საერთაშორისო სამართლის პრინციპებით მანიპულირება ან მათი იგნორირება ხშირად სახეზეა.

სეპარატისტი ლიდერები ხშირად საკუთარი პოლიტიკური ამბიციების რეალიზებას, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შიგნით, სუვერენიტეტისა და ერთა თვითგამორკვევის უფლების დაცვის სპეკულირებით ახდენენ. სიტუაციის დრამატიზებას ისიც ახდენს, რომ არც თუ ისე იშვიათად, სეპარატისტების ზურგს უკან დიდი სახელმწიფოები დგას. საქართველოსა და უკრაინაში განვითარებული პროცესები შიდა მოვლენების გარედან ინსცენირების კლასიკური მაგალითია. სუვერენიტეტის, ინტერვენციისა და საერთაშორისო სამართალში ინტერვენციის პრობლემატიკის განხილვის მიზნით, მივმართავთ ისტორიას.

ვესტფალიის ზავის შემდეგ ჩამოყალიბებული სუვერენული სახელმწიფო, საშინაო საქმეებში ერთადერთი ძალა და გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტია. საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით. ყოველივ ეს გარკვევით გამოხატავს საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპს.

თუმცა პრაქტიკაში აღმოჩნდა, რომ ყველა სუვერენულ, დემოკრატიულ სახელმწიფო ერთნაირად ვერ ასრულებდა ჩვეულებებსა და ვალდებულებებს. შეეხება ეს სამხედრო ძალის გამოყენების საკითხებს, შიდა საქმეების მოსაგვარებლად, თუ ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. ამიტომ შეიქმნა იმის საჭიროება, რომ საერთაშორისო საზოგადოება, ზოგ შემთხვევაში ჩართულიყო სხვა სუვერენული სახელმწიფოს შიდა საქმეებში და ასე მოეგვარებინა პრობლემა. თუმცა, ყოველთვის არის კამათი იმის თაობაზე, არსებობს თუ არა ინტერვენციის უფლება და თუ არსებობს, როგორ და როდის უნდა გამოვიყენოთ და ვისი ავტორიზაციით.

# კულტურა და რუსეთ-უკრაინის ომის რეციდივები

**რევაზ მიშველაძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რუსეთ-უკრაინის ომმა ოცდამეერთე საუკუნის მსოფლიო წესრიგი შეცვალა.

სანამ პუტინი უკრაინის საზღვრებთან, აქაოდა მანევრებს ვატარებო, ჯარებს აგროვებდა, საერთაშორისო ინსტიტუტების პოლიტიკურ-დიპლომატიური აზრი ორად იყო გაყოფილი: ერთნი ამტკიცებდნენ, რომ ომი მოახლოებული იყო და რუსის ჯარის მიერ უკრაინის საზღვრების გადალახვამდე საათები რჩებოდა; მეორენი კი კატეგორიულად აცხადებდნენ: ყოველგვარი შიში ამაოა, ახლა XX საუკუნის ორმოციანი წლები არ არის და რუსეთი მსოფლიოს თვალწინ ასეთ ყაჩაღობას ვერ გაბედავსო.

თვით რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა გულდასმით არწმუნებდა მსოფლიოს, ომზე არც მიფიქრია, მხოლოდ და მხოლოდ ჩემი არმიის გეგმიურ წვრთნას ვახორციელებო.

მალე, ერთბაშად, ღიად, საერთაშორისო მასმედიის თვალწინ პუტინმა თავისი გენერალიტეტის თათბირი ჩაატარა და სამხედრო ხროვის დასტურით უკრაინისთვის ,,ჭკუის სწავლების" მომიზეზებით სპეცოპერაცია დააანონსა.

პროგრესული საზოგადოებრივი აზრი, მორალურ-ფსიქოლოგიური კულტურა ერთბაშად შოკში ჩავარდა.

გონებამ ვერ დაიჯერა, რომ მსოფლიო კულტურის მუხლჩაუხრელი რუდუნება, მეორე მსოფლიო ომის გაკვეთილებზე დაწერილი მილიონობით თხზულება, ფილმები და სპექტაკლები, ისტორიკოსთა სამი თაობის მიერ ერთსულოვნად უარყოფითად შეფასებული კაცთაკვლის არნახული გაკვეთილები ასე სავალალოდ გაითელებოდა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოს მიერ; რომ რუსეთი ნეოფაშისტის ჩაფხუტს მოირგებდა და ტანკებს დაძრავდა მოძმე ხალხის წინააღმდეგ, იმ ერის წინააღმდეგ, ვისთანაც მრავალსაუკუნოვანი კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა, სადაც ჩაისახა და განვითარდა პირველი რუსული სახელმწიფო (,,კიევის სამთავრო") და ვისთანაც ერთად რუსეთი ერთ სახელმწიფოდ იყო გაერთიანებული მსოფლიოს ყველაზე დიდი იმპერიის – საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.

სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა ძირითადად ორი არხით მიმდინარეობს. ერთი გახლავთ ეკონომიური ურთიერთობა და მეორე — კულტურული ურთიერთობა. ომის შედეგად, მოგეხსენებათ, ერთბაშად დაინგრა უკრაინასა და რუსეთს შორის ეკონომიკურ-სამრეწველო ურთიერთობა. ოკუპანტის შეტევებისგან მიწასთან გასწორდა ორმოცამდე ქალაქი და ათასამდე სოფელი, დაილეწა ფაბრიკა-ქარხნები, შეწყდა საბაზრო ურთიერთობა და განადგურდა სამხედრო ინფრასტრუქტურა. ათეული წლები დასჭირდება ომით მიყენებული ზარალის გამოსწორებას, ხოლო ის, რაც აღდგენას არ ექვემდებარება, მოგეხსენებათ ათასობით ადამიანის ფიზიკური მოსპობა გახლავთ.

რაც შეეხება ორივე მხარეს კულტურისთვის მიყენებულ დანაშაულებრივ ქმედებებს, არანაკლებ ცხადი და საგულისხმოა.

უპირველესად ეს გახლავთ მორალურ-ფსიქოლოგიური ტრავმა. ადამიანებმა არა მარტო რუსეთსა და უკრაინაში, ლამის მთელ მსოფლიოში რწმენა დაკარგეს კეთილი ნების, ხალხთა შორის მშვიდობის მიმართ; რწმენა დაკარგეს ერებს შორის ჰედონიზმისა და მეგობრული დამოკიდებულების მიმართ, რასაც კულტურა საუკუნეთა განმავლობაში ნაბიჯ-ნაბიჯ აშენებდა.

მილიონებმა ირწმუნეს, რომ თურმე კაცობრიობა დღესაც დაუცველია.

თურმე შუასაუკუნეობრივი თავდასხმებისა და მეკობრეობისგან შორს არ წავსულვართ.

თურმე ამდენი დავიდარაბისა და მსოფლიო გლობუსის წაღმა-უკუღმა ტრიალის, სახელმწიფოთა საზღვრების წარამარა ცვლის და ადამიანთა განადგურების საშუალებების (გილიოტინიდან, კოცონზე დაწვიდან ატომურ იარაღამდე...) ფეიერვერკის შემდეგ ჯერ კიდევ შესაძლებელი ყოფილა წამოუაროს სატანის ქარბორიამ რომელიმე მეზობელს და ცეცხლითა და მახვილით მოგადგეს გასანადგურებლად.

,,რომელი აღმაღლდეს მახვილითა, მახვილითავე წარხდეს იგი" — თურმე ამაოდ მოსძახოდა 21 საუკუნის განმავლობაში ქრისტე კაცობრიობას და ეს ჭეშმარიტება პირველს იმას დავიწყებია, რომლის ტერიტორიაზე უხვადაა მართლმადიდებელი სარწმუნოების ერთგულების დამადასტურებელი სალოცავები.

ამ ომმა თანამედროვე მოქალაქის სულს არნახული ვნება მიაყენა. ყველა ჩვენგანის სულში რაღაც ჩაწყდა. თურმე არც 21-ე საუკუნე ყოფილა უდანაშაულო კაცობრიობის მშვიდობიანი თავშესაფარი.

ასე რომ, ამ ომისგან მიყენებული მორალური ზარალი არანაკლებია, ვიდრე ეკონომიკური.

მახსენდება გერმანელი მწერლის თედორ ადორნოს სიტყვები, რომელიც მან ოსვენციმის დათვალიერების შემდეგ წარმოთქვა: ,,ოსვენციმის შედეგ ლექსები საერთოდ არ უნდა დაიწეროს".

მიუხედავად იმისა, რომ ლამის მთელი მსოფლიო გაერთიანდა რუსეთის წინააღმდეგ, ახლაც, ამ წუთშიც, პუტინის გამანადგურებელი მანქანა უმოწყალოდ სპობს უკრაინის სამხედრო და მშვიდობიან ინფრასტრუქტურას. ოც მილიონამდე მშვიდობიანმა მოქალაქემ თავისი სამშობლო დატოვა. ოკუპანტი არ ინდობს ლტოლვილთა კოლონებსაც კი. დღემდე დაღუპულია 10 ათასამდე უკრაინელი ჯარისკაცი, რვა ათასამდე მშვიდობიანი მოქალაქე და მათ შორის — ოთხასზე მეტი ბავშვი.

ზემოთ მოგახსენეთ, ლამის მსოფლიო გაერთიანდა-მეთქი უკრაინის დასაცავად, მაგრამ ვისღა დავუმალოთ, ეს გაერთიანება დღემდე არაქმედითია. უკრაინას ევროპული სახელმწიფოები და ამერიკა აწვდიან იარაღს, მაგრამ აწვდიან არასაკმარისი რაოდენობით. ეს სამხედრო დახმარება მაძღრის მიერ მშიერისათვის პურის წვრილად დაფშვნის ანდაზას მაგონებს. ესეც არ იყოს, უკრაინას არ აძლევენ სამხედრო თვითმფრინავებს, შორი მოქმედების რაკეტმტყორცნებსა და ლაზერულ იარაღს რუსული სამხედრო ტექნიკის ეფექტიანად გასანადგურებლად. შთაბეჭდილება ისეთი რჩება, რომ აშშ, ევროკავშირი და ნატო თითქოსდა არ არიან დაინტერესებული ომის სწრაფად, დროულად დამთავრებით. არადა, დრო არ იცდის.

ამერიკის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ისიც კი განაცხადა: ჩვენ უკრაინას იარაღს ვაძლევთ მხოლოდ თავდაცვისთვის, თანაც მკაცრად ვაფრთხილებთ, რომ ეს იარაღი რუსეთის ტერიტორიის დასაბომბად არ გამოიყენოსო. პოლიტიკური სიბეცე უფრო შორს ვეღარ წავა.

ომი განურჩევლად ანგრევს უკრაინის სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლებს.

ფრთოსანი რაკეტების იერიშის შედეგად დაინგრა ეკლესია-მონასტრები მარიუპოლში, სევეროდონეცკში, ხარკოვში, ხერსონსა და ბუჩაში; მიწასთან გასწორდა ასობით თეატრი და მუზეუმი, დაიბომბა კინოთეატრები და სამხატვრო გალერეები; ყუმბარის ნამსხვრევები მოხვდა ტარას შევჩენკოსა და ლესია უკრაინკას ძეგლებს; დაილეწა სკოლები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები და უმაღლესი სასწავლებლები. 4 მაისს რუსეთმა დაბომბა მარიუპოლის თეატრი. ამ დროს დაიღუპა 120-მდე თეატრის შენობას შეფარებული მოქალაქე, მიუხედავად იმისა, რომ თეატრს ეწერა ,,ბავშვები".

ერთბაშად მოიშალა კულტურული კავშირები.

გაუქმდა სპორტული ღონისძიებანი. საერთაშორისო სპორტულმა უწყებებმა – უეფამ და ფიფამ — რუს სპორტსმენებს აუკრძალეს საერთაშორისო შეხვედრებსა და ოლიმპიადებში მონაწილეობა.

შეჩერდა მხატვრულ კოლექტივთა გასტროლები.

აიკრძალა კონცერტები.

გაუქმდა მთარგმნელობითი ბიუროები.

უკრაინისთვის დაიხურა კულტურის დიდი მექა – მოსკოვი.

შეჩერდა უკრაინაში რუსული და რუსეთში უკრაინული წიგნების გამოცემა.

შეწყდა სწავლა უმაღლეს სასწავლებლებში თითქმის მთელი უკრაინის ტერიტორიაზე.

მთელ მსოფლიოს მოედო უკრაინელთა გოდება.

ყოველ ქალაქში შეხვდებით ქერათმიან, თვალცრემლიან, ულამაზეს უკრაინელ ლტოლვილებს.

აქვე სიამაყით უნდა დავსძინო, რომ საქართველოში ლტოლვილი უკრაინელი მოსწავლეებისთვის გაიხსნა სკოლები მათს მშობლიურ უკრაინულ ენაზე, რაც, ჩვენი ქვეყნის გარდა, არც ერთ სხვა სახელმწიფოს არ გაუკეთებია. მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთში 5 მილიონი ლტოლვილია, ხოლო მოლდოვაში — 1,5 მილიონი.

გარდა ზემოჩამოთვლილისა, რაც თვალშისაცემია და ცხადლივ ამაზრზენი გახლავთ, არანაკლებ დამაფიქრებელია მომავლის სურათი: რუსეთ-უკრაინის ომს უსათუოდ მოჰყვება კულტურულ-შემოქმედებით ფასეულობათა წყება ხელოვნების სხვადასხვა სფეროში. რუსეთის დანაშაულზე სულ მცირე 50 წელი მაინც იმსჯელებენ, ჩატარდება სასამართლოები და რუსეთი კარგა ხანს ვერ მოიშორებს მსოფლიო დამნაშავის მეტსახელს.

... და, რაც არანაკლებ სავალალოა, შეიქმნება ესთეტიკური სკოლები და გაერთიანებანი. ამ კულტურულ მიმართულებათა კვლევის საგანი სწორედ ის მსოფლიო სევდის ფენომენი იქნება, რაც ისტორიაში უკვე შევიდა რუსეთ-უკრაინის ომის სახით.

ომის დაწყებისთანავე უკრაინის მწერალთა კავშირმა ორი საერთაშორისო მასშტაბის განცხადება გააკეთა: ერთი განცხადებით ამხილა რუსეთის აგრესიული გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა უკრაინის, როგორც დამოუკიდებელი, სუვერენული ქვეყნის, სრულ ანექსია-ოკუპაციას და მოუწოდა მსოფლიოს პროგრესულ საზოგადოებას, დაუყოვნებლივ მიეღო ზომები აგრესორის ასალაგმავად. მეორე განცხადებით მან მიმართა რუს მწერლებს, გამოეხატათ თავიანთი დამოკიდებულება მომხდარი ფაქტისადმი, ხმა ამოეღოთ დიქტატორ პუტინის წინააღმდეგ.

სამწუხაროდ, ამჯერადაც, ისე როგორ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის დროს, იმუშავა რუსულმა დესპოტურმა, დემოკრატიის დამთრგუნველმა მანქანამ და შიშით გატრუნულმა რუსმა მწერლებმა პირში წყალი ჩაიგუბეს. პუტინს საწინააღმდეგო ერთი სიტყვაც არ აკადრა რუსულმა მხატვრულმა ინტელიგენციამ. ჩეხოვისა და ტოლსტოის შთამომავლებმა მსოფლიოს წინაშე თავი შეირცხვინეს. მარტოოდენ ,,გოგოლეველებმა" გამოხატეს პროტესტი. დუმს უკრაინის მწერალთა კავშირის რუსული ფრაქციაც.

პოლიცია ცეცხლითა და მახვილით არბევს ომისსაწინააღმდეგო მიტინგებს მოსკოვსა და პეტერბურგში. აპატიმრებენ მშვიდობიან დემონსტრანტებს. მოსკოვის ცენტრალური ტელევიზიის ერთ-ერთმა თანამშრომელმა ვერ მოითმინა და საჯაროდ განაცხადა, რომ ემიჯნება რუსეთის სამხედრო პოლიტიკას, რისთვისაც იგი სასწრაფოდ გააძევეს სამსახურიდან და სამშობლოდანაც გაასახლეს.

საქართველოს მწერალთა კავშირმა მარტის დასაწყისში დეპეშა-განცხადება აფრინა კიევში, ჭირში გაძლება უსურვა გმირ უკრაინელ ხალხს და ქართველი ხალხის სახელით მორალურ-ფიზიკური დახმარება აღუთქვა. იმავე დღეს ქართველმა მწერლებმა რუსეთის აგრესიის საწინააღმდეგო მიტინგი გამართეს ტარას შევჩენკოს ძეგლთან და მსოფლიოს აუწყეს, რომ ის, რაც ახლა უკრაინაში ხდება, უკვე გამოსცადა საქართველომ 2008 წელს და, იმ დროს რომ მსოფლიო არ გაჩუმებულიყო და მსოფლიოს პოლიტიკურ-დიპლომატიური ინსტიტუტები ,,სხვისი ჭირი

ღობეს ჩხირის" ანდაზის ერთგულების გზას არ დასდგომოდნენ, შეიძლება პუტინს 2022 წელს ეს საშინელი, მსოფლიო მასშტაბის ვანდალიზმი ვერ გაებედა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტმა დეკანის პროფესორ ირაკლი გაბისონიას ინიციატივით გამართა სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის გამოფენა-გაყიდვა. დახლებთან იდგნენ და წიგნებს სათანადო ავტოგრაფებით ყიდდნენ თვით ავტორები. ამ ღონისძიებას მებრძოლი უკრაინელი მოქალაქეების დახმარების კეთილშობილური მისია ჰქონდა. შემოსული თანხა უკლებლივ გადაირიცხა უკრაინის დახმარების ფონდში.

მაისის დასაწყისში ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი დავით გურგენიძე კიევს გაემგზავრა და ქალაქში დარჩენილ, უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილ მოქალაქეებს დახმარება ჩაუტანა. ამ ვიზიტის დროს კიევის ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე პროფ. დავით გურგენიძე უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად აირჩიეს.

... უთანასწორო, ძმათამკვლელი ომი დღესაც გრძელდება. კიევში მწერალთა კავშირის შენობის ახლომახლო ფრთოსანი რაკეტის ჭურვი დაეცა. მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა საველე მდგომარეობაზე გადასულიყო. უკრაინის მწერალთა კავშირის წევრთა ერთი ნაწილი ემიგრაციაში წავიდა, ახალგაზრდა მწერლებმა ჯარისკაცის ფარაჯა მოირგეს და სამშობლოს დაცვის სამსახურში ჩადგნენ, ხოლო უკრაინის მწერალთა კავშირის ერთადერთი ქართველი წევრი ხანდაზმული პოეტი (75 წლისაა) რაულ ჩილაჩავა ახლახან სამშობლოში დაბრუნდა.

# ქართული ნოველის კულტუროლოგიური ასპექტები

**თამარ ბლიაძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქართულ ნოველას ქართული ლიტერატურის ისტორიაში უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მიუხედავად იმისა, რომ ნოველა ფრანგულად ამბავს ნიშნავს და ნოველის შექმნის ადგილად ლიტერატურის ისტორიკოსებს საფრანგეთი მიაჩნიათ, ქართულმა სიტყვიერმა კულტურამ ნოველა უფრო ადრე იცოდა, ვიდრე რომანი და მოთხრობა. ჯერ კიდევ ქართული დამწერლობის შექმნამდე ზეპირსიტყვიერებაში არსებობდა ხალხური ნოველა, რომელიც ამ კლასიკური ჟანრის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდა. ნოველის ჟანრის არარსებობის გამო, რაკი ეს ტერმინი მაშინ არ იცოდა ლიტერატურის ისტორიამ, უპირველეს ხალხურ ნოველებს ზღაპრებს ეძახდნენ. ქართული ფოლკლორული ნოველებია: ,,სამი ყრუ", ,,ღარიბი და ქილა ერბო", ,,მძინარე მზეთუნახავი" და სხვ. ქართული ხალხური ნოველა თავის დროზე საფუძვლიანად შეისწავლეს პროფ. ქსენია სიხარულიძემ, მიხეილ ჩიქოვანმა, ბეჟან ბარდაველიძემ, ალექსანდრე ღლონტმა და სხვებმა. რაც შეეხება ქართულ კლასიკურ ნოველას, მას სათავე დაუდო სულხან-საბა ორბელიანმა და ეს უაღრესად პოპულარული, მოდური ჟანრი ახალ სიმაღლეზე აიყვანეს ვაჟა-ფშაველამ, დ. კლდიაშვილმა, ეგნატე ნინოშვილმა, შიო არაგვისპირელმა, ნიკო ლორთქიფანიძემ და სხვებმა.

მე-20 საუკუნეში ნოველას ახალი სული შთაბერეს და ჟანრულ-სტილურად გაამრავალფეროვნეს მიხ. ჯავახიშვილმა, კ. გამსახურდიამ, რეზო ინანიშვილმა, ოტია იოსელიანმა, რეზო ჭეიშვილმა, რევაზ მიშველაძემ, ნუგზარ შატაიძემ, ჯემალ ქარჩხაძემ და სხვებმა.

თანამედროვე ქართული ნოველის განვითარების გზის შესწავლას დიდი ამაგი დასდეს მკვლევრებმა: სოსო სიგუამ, მურმან თავდიშვილმა, მანანა გვეტაძემ, თამარ ბლიაძემ, ეკა ცხადაძემ, გურამ გვერდწითელმა, გურამ ასათიანმა, გურამ ბენაშვილმა და სხვებმა.

ზემოთ ჩამოთვლილ კრიტიკოსთა ნააზრევში ქართული ნოველა შესწავლილია მხოლოდ და მხოლოდ ქართული ლიტერატურის ლოკალურ საზღვრებში, ნაკლებადაა შედარებული ქართული ნოველის მხატვრული ხარისხი მსოფლიო ნოველისტიკის მიღწევებთან. ამიტომაცაა თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის ამოცანა, ქართული ნოველა შევისწავლოთ ფართო კულტუროლოგიურ ჭრილში, გავაანალიზოთ, რა აიღო მან მსოფლიო ლიტერატურის არსენალიდან და, თავის მხრივ, რას სთავაზობს იგი მსოფლიო ნოველისტიკას. ამისათვის საჭიროა, რათა ქართული ნოველის უკეთესი ნიმუშები ითარგმნოს მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე, რათა მისი გაცნობის შესაძლებლობა ჰქონდეს უცხოელ მკითხველს. ამ მხრივ შედარებით უკეთ გამოიყურება რუსთაველის პრემიის ლაურეატ რევაზ მიშველაძის ნოველისტიკა. მისი ნოველები თარგმნილია და ცალკე წიგნებადაა გამოცემული ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, იაპონურ, რუსულ, სომხურ, ბულგარულ, ესპანურ, იტალიურ, უკრაინულ, აზერბაიჯანულ და სხვა ენებზე, ასევე ცნობილია უცხოური მკითხველისათვის კ. გამსახურდიასა და ოტია იოსელიანის ნოველები. ასე რომ, ქართული ნოველისტიკის ფართო სპექტრი, მცირე გამონაკლისის გარდა, ჯერჯერობით მსოფლიოსათვის თითქმის უცნობია. ამ მიმართულებით სიტყვა მთარგმნელებზეა. მე ვფიქრობ, ქართული ნოველის სრულფასოვანი და პროდუქტიული თარგმნით მსოფლიო მკითხველი ეზიარება ქართული ნოველის უაღრესად რთულ და საინტერესო ფენომენს.

უკანასკნელ წლებში ქართულ ნოველაში რამდენიმე ჟანრული სიახლე შეინიშნება. უპირველესი ის გახლავთ, რომ ნოველის დიდოსტატმა რევაზ მიშველაძემ (როგორც მას შოთა

ნიშნიანიძემ უწოდა) დაამკვიდრა ჩვენს მწერლობაში სრულიად ახალი ჟანრი – დოკუმენტური ნოველა. ამ მიმართულებით მან უკვე გამოსცა საკმაოდ მოცულობითი კრებული ,,დოკუმენტური ნოველების" სახელწოდებით (გამომცემლობა ,,უნივერსალი", 2007 წ., 542 გვ.). წიგნმა კრიტიკის მაღალი შეფასება (პროფ. მურმან თავდიშვილი) დაიმსახურა. ჟანრის გამარჯვება ქართულ ლიტერატურულ სინამდვილეში, უპირველეს ყოვლისა, იმან განაპირობა, რომ მკითხველს ამ ბოლო დროს უმთავრესად შეთხზულ, გამოგონილ სიუჟეტებზე უფრო მეტად დოკუმენტური ამბები იზიდავს. ეს ტენდენცია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში იგრძნობა. მკითხველი დოკუმენტურ თხზულებებს უფრო ეტანება.

ზემოხსენებულ წიგნში შესულია დოკუმენტური ნოველები: ,,გალაკტიონის სიკვდილი", ,,სავალალო ამბავი", „გადავრჩით", „საკვირაო სკოლა თურქეთში", ,,რეპორტაჟი შიმშილის ველიდან", ,,ენგურის ხიდთან", ,,ნათლისღება საინგილოში" და სხვ. ამ ნოველების უმთავრესი ღირსება ის გახლავთ, რომ მათში დოკუმენტური სიზუსტით მაღალმხატვრულადაა მოთხრობილი სოციალურად ღირებული ამბები. თანაც დაცულია ნოველის ჟანრული კანონიკა – ფინალში მოულოდნელობის ეფექტი.

ქართულ ნოველაში ცოცხლდება ნიკო ლორთქიფანიძის მიერ დამკვიდრებული ,,ისტორიული ნოველის" ტრადიცია. ჟურნალ ,,პარალელის" მე-13 ნომერში ახლახან, 2022 წელს, დაიბეჭდა რევაზ მიშველაძის ნოველა ,,ექვთიმე", რომელიც უკვდავი ექვთიმე თაყაიშვილის მოწამებრივი ცხოვრების შესახებ გვიამბობს. ავტორი ცხადად გვიჩვენებს, რა ფათერაკებიანი გზა გაიარა უცხოეთში ბატონმა ექვთიმემ, რათა ქართული ისტორიული განძი გადაერჩინა და სამშობლოში უკლებლივ დაებრუნებინა.

ნოველის კულტუროლოგიური არეალის გაფართოებაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ქართველი ნოველისტები აფართოებენ ამ ჟანრის გეოგრაფიულ გარემოს და ასახავენ სხვა ქვეყნების ცხოვრებისეულ მოვლენებსაც. ამ მხრივ აღსანიშნავია რეზო ჭეიშვილის ,,ლურჯი მონტევიდეო", რეზო ინანიშვილის ,,ზღვისფერი გორგალი", რევაზ მიშველაძის ,,გურჯი გენერალი" და ,,გარანტია – სისხლის ყივილი".

ამ მიმართულების დამაგვირგვინებელია სულ რაღაც ერთი თვის წინათ ,,მწერლის გაზეთში" (#3, 2022 წ.) გამოქვეყნებული ნოველა ,,ბიბი". იგი რუსეთ-უკრაინის ომზე დაწერილი პირველი ქართული მხატვრული ნაწარმოებია.

# კულტურის როლი აღზრდის პროცესში

**სოსო სიგუა**
ფილოლოგიის მეცნეირებათა დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

კულტურა ინსტინქტურ ლტოლვათა მოწესრიგება და ადამიანის ჰუმანიზმის შედეგია. ამიტომ პიროვნების აღზრდის პროცესში ერთ-ერთი უმთავრესი და გადამწყვეტი ფაქტორია. აღზრდა კი მომავლის პერსპექტივაა – როგორი იქნება ქვეყანა, საზოგადოება, პროგრესი, ინდივიდი.

სახელმწიფო ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევს აღზრდის პროცესს და შესაბამისად იყენებს კულტურის ცალკეულ დარგებს, რომელთაგან როგორც ძველად, ისე ახლაც ლიტერატურას ენიჭება უპირველესი როლი.

მონოთეისტური რელიგიები (მაგ. იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი) ემყარება წიგნიერებას. ამიტომ არის მათი უმთავრესი სახელმძღვანელოები თალმუდი, ბიბლია, ყურანი. მათი მეშვეობით ხდებოდა პიროვნების ჩამოყალიბება.

ცხადია, ისინი განსხვავებული ხედვის წიგნებია. მაგრამ კულტურა მრავალფეროვანი მოვლენაა და აღზრდის პროცესიც მრავალსახოვანია.

რელიგია, სახელმწიფოს იდეოლოგია ყოველთვის ცდილობს კულტურის ძეგლების განსხვავებულ წაკითხვას თავის მოთხოვნათა შესაბამისად, რაც სპეციფიკურად აღიბეჭდება აღზრდის პროცესში.

მაგ. ჰიტლერული გერმანია ქმნიდა ტევტონთა შთამომავლობის უძლეველობის მითს. ამ მიზნით ტენდენციურად კითხულობდა ძველ კულტურასა და ლიტერატურას. შემდეგ ეს კორექტირებული წარმოდგენები გადაეცემოდა სკოლას, უნივერსიტეტებს, მასმედიას, კულტურის დარგებს და ყალიბდებოდა ახალი იდეოლოგია.

ასეთი იდეოლოგიის აღზრდილ თაობებს უნდა ებრძოლათ გერმანიის ათასწლოვანი იმპერიის შესაქმნელად.

გერმანია იყო ნაციონალისტური სახელმწიფო, სსრკ – ინტერნაციონალური. აქაც ბოლშევიკები ტენდენციურად იყენებდნენ კულტურის ფენომენს, რათა აღეზარდათ კომუნიზმის მშენებელი ახალი თაობა. ოქტომბრელი, პიონერი, კომკავშირელი, პარტიული იყო მისი საფეხურები, რომლებიც აყალიბებდნენ ბოლშევიკურ მსოფლმხედველობას, ინტერნაციონალურ სულისკვეთებას.

აღზრდის პროცესს წარმართავდა მრავალდარგოვანი, მრავალსაუკუნოვანი მარქსისტულ-ლენინურად გაფილტრული და მოდელირებული კულტურა.

წარმმართველი ძალა იყო ბოლშევიკური პარტია, ლენინისა და სტალინის იდეები.

მაგრამ ყველა ერს აქვს, ფარულად თუ აშკარად, თავისი ინტერესები, რომელთა დაცვა და განვითარება ვლინდება აღზრდის პროცესში. ყველა ნაციონალური სახელმწიფო იცავს თავის ტერიტორიას, ენას, ცნობიერებას, იცავს კულტურით, პოლიტიკით, სამხედრო ძალით და ამ სულისკვეთებით ზრდის ახალ თაობას.

კულტურის ნიმუშები კი ქმნის საამისო მტკიცე ბაზას. მაგ. ქართულ ცნობიერებას აყალიბებდნენ ბიბლია, ჰაგიოგრაფია, ,,ვეფხისტყაოსანი", ეკლესია, ,,ქართლის ცხოვრება".

ახალი თაობისათვის სანიმუშო იყო ქრისტეს, წმ. გიორგის, წმ. ნინოს სახელები, მხატვრული ლიტერატურიდან ნესტანი და თინათინი, ტარიელი და ავთანდილი...

გმირული სული, რომელსაც ამკვიდრებდნენ მეომარი მეფეები, მოდიოდა ლიტერატურიდანაც. სამშობლო და რწმენა ერთად მოიაზრებოდა და მათ ერთ მთლიანობად გარდასახავდა კულტურა, კერძოდ – ლიტერატურა.

ასე იყო XIX და XX საუკუნეებში, როცა აღზრდის პროცესი იდეოლოგიას ემორჩილებოდა. მაგრამ ფარულად ცოცხლობდა ნაციონალური სული და ტენდენციები. ამიტომ გალაკტიონისა და გ. ლეონიძის პოეზია, კ. გამსახურდიას რომანები უფრო განამტკიცებდა ქართულ სულისკვეთებას, ვიდრე ხელისუფლების დადგენილებები.

დღეს ჩვენ ვცხოვრობთ გლობალიზაციის ეპოქაში, როცა მცირდება ნაციონალური ტენდენციების მნიშვნელობა. მაგრამ კულტურის ახალი ნიმუშები ისევ აგრძელებენ ძველ ტენდენციებს. ეს არის აღზრდის პროცესში ისტორიულ გმირთა მნიშვნელობა, ენის ფენომენის დაცვა, ადათ-წესების შენარჩუნება.

ამ თვალსაზრისით, კულტურის როლის წარმოსაჩენად უაღრესად აქტუალურია რევაზ მიშველაძის რომანი ,,წამება".

სიმბოლურია სახელწოდება, რადგან ჩვენი ისტორია წამების მატიანეა. სიმბოლურია, რომ მთავარი პერსონაჟი არის უნივერსიტეტიდან გაძევებული ღვაწლმოსილი პროფესორი, ისტორიკოსი.

წიგნი სამ ნაწილად იყოფა - ,,არჩევანი", ,,ბელურა გემის ანძაზე" და ,,შიში".

რომანი არაერთ ისტორიულ ფაქტს გვამცნობს, რომელთაც აერთიანებს პროფესორი ლევან კაკაბაძე. ნაწარმოები ნოველისტიკის პრინციპზეა აგებული და ყოველი ნოველა ისტორიულ მასალაზე დაყრდნობით ემსახურება ნაციონალური სულისკვეთების გამძაფრებას აღზრდის პროცესში.

რომანის მთავარი ხაზია რუსული გზის უარყოფა, რაც ესოდენ აქტუალური გახდა ამ დღეებში. აქტუალურია პაატა ბატონიშვილის სიტყვებიც: ,,რუს ხელმწიფეზე უფრო უპიროს, უნდოს, სიტყვის გამტეხს მთელ დუნიაზე ვერ ნახავ".

ახალი თაობის აღზრდისათვის მნიშვნელოვანია აკაკი ელიავასა და გოჩა ესებუას ეპიზოდები, ზვიად გამსახურდიას მონოლოგი; მაგრამ, რომანული თვალსაზრისით, მთავარია ლევან კაკაბაძის – ახალი თაობის აღმზრდელის — ფიგურა, რომელიც ლამის თვითმკვლელობით ასრულებს ცხოვრებას. იგი მაინც განმდგარია ამ ცხოვრებისაგან და შიო მღვიმის მონასტერში ბერად შედგება.

აქამდე მიიყვანა იგი ინერტულმა საზოგადოებამ.

ერთი გმირი ვერ დაუპირისპირდება კონფორმისტულ საზოგადოებას, მაგრამ იდეალის მატარებლები ერთეულები არიან, რომელთა თავგანწირვის მაგალითი ზრდის ახალ თაობას.

მთავარი პერსონაჟის პროტოტიპი ისტორიკოსი გივი ჟორდანიაა, მაგრამ ასევე შეიძლება ზვიად გამსახურდიაც მოვინიშნოთ.

გლობალიზაციის დროს იცვლება აღზრდის პროცესი, იცვლება კულტურის როლი და ფუნქციაც. მაგრამ მეტი ფასი და მნიშვნელობა ეძლევა პირად მაგალითს, მოღვაწეობას და თავგანწირვას. ამიტომ არის ამ თვალსაზრისით აქტუალური და საჭირო რევაზ მიშველაძის ეს რომანი. შდრ. სოციალისტური თვალსაზრისით, თავისი დროისათვის აქტუალური კონსტანტინე ლორთქიფანიძის ,,კოლხეთის ცისკარი" და მექი ვაშაკიძე, როგორც ალტერნატივა.

# კვდომადი და აღდგომადი ღვთაების სახისმეტყველება ქართულ პროზაში

**ეკა ცხადაძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

XX-XXI საუკუნეების ქართულ მწერლობაში კვდომადი და აღდგომადი ღვდაებების მხატვრულმა ინტერპრეტაციამ შთამბეჭდავი სახე მიიღო. XX საუკუნის პირველ ნახევარში ქართულ მოდერნისტულ პროზას განსაკუთრებული სტილი შესძინა ნიცშესეულმა აპოლონურმა და დიონისურმა ჰიერატებმა. გრიგოლ რობაქიძემ და კონსტანტინე გამსახურდიამ ორიგინალურად წარმოგვიდგინეს პოლითეისტური და მონოთეისტური სახე-სიმბოლოების სიმბიოზი თავიანთ ტექსტებში („გველის პერანგი“, „მალშტრემ“, „ფალესტრა“, „დიონისოს ღიმილი“, „ზარები გრიგალში“, „ქოსა გახუ“ და სხვ.). ხოლო XXI საუკუნის დასაწყისში რევაზ მიშველაძემ რეალისტური მანერით დაწერილ რომანში „ქრისტე“, სრულიად სხვაგვარად წარმოაჩინა კვდომადი და აღდგომადი ღვთაების - იესო ნაზარეველის მხატვრული სახე.

გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სული“ გერმანულ ენაზე დაიწერა XX საუკუნის 30-იან წლებში და ქართულად საუკუნის ბოლოს ითარგმნა და გამოიცა. გრიგოლ რობაქიძეს სწამდა, რომ „ქართულმა ქრისტიანობამ წარმართობა კი არ მოსპო, არამედ შინაგანად შეიზარდა“ და სწორედ ამ მოსაზრებით იხელმძღვანელა, როცა ერთ სივრცეში მოიაზრა თამაზ-დუმუზ-თამუსი და იესო ნაზარეველი.

„ჩაკლულ სულში “მთავარი გმირი მოქცეულია მისთვის უჩვეულო გარემოში, როცა ხდება საყოველთაო თვალთვალი, მოსმენა და დასჯა. ეს ტოტალური ზეწოლა აიძულებს თამაზ ენგურს სინამდვილიდან გაქცევასა და დისტანცირებას. იგი ამაოდ ცდილობს ნიღაბს ამოეფაროს და საკუთარი მრწამსი გადაარჩინოს.

თამაზ ენგური იძულებულია „ახალი ღმერთი“ ეძიოს, „ტომობრივი ინსტინქტები“ უარყოს და უღმერთო გარემოსთან შეგუება სცადოს. გრიგოლ რობაქიძის ნარატივში ქრისტე-დუმუზი-თამუსი მზესთან იგივდება, ხოლო ყოველი კაცი მზის ნაწილად მიიჩნევს თავს და ეს “უღმერთობა“ და „უმზეობა“ იმდენად აუტანელია, რომ გარდაუვალი კრახისთვის არის განწირული.

გრიგოლ რობაქიძესთან კვდომადი და აღდგომადი ღვთაება თუ ღვთაებები კაცობრიობის მარადიული მცველები და თანამდევები არიან. რამდენჯერაც მოკლავენ, იმდენჯერ ცოცხლდებიან და არსებობენ ადამიანთა გულებში. თამაზ ენგური სწორედ ამიტომაც მიდის იმ დასკვნამდე, რომ ადამიანებში „ გული არის განწვალული და მოკლული ღმერთის ხორცად ქცეული ნაწილი“.

ანუ, კვდომადი და აღდგომადი ღმერთების სახისმეტყველება „მარადიულ მცველთან“, „მარადიულ თანამდევ ნაწილად“ კლასიციფირდება „ჩაკლულ სულში“.

გრიგოლ რობაქიძე ვაჟა -ფშაველას დიდი თაყვანისმცემელი იყო და მის პოეზიას „უძველეს დანაშრევად“ მიიჩნევდა, ყველა გამოსვლაში იმოწმებდა და აღიარებდა როგორც ქართული გენიის სიტყვიერ გამცხადებელს. გრ. რობაქიძე „მარადიული დაბრუნების იდეას“ ვაჟასთან წარმატებით აკავშირებდა და გამუდმებით იძლეოდა სხვადასხვა ვარიაციებს. ხოლო ვაჟა ყოველგვარი ყოყმანის გარეშე იჯერებდა, რომ სული უკვდავია და მარადიულად არსებული. ამისთვის მას არანაირი ინტერპრეტაციები არ სჭირდებოდა, ერთხელ და სამუდამოდ ჰქონდა გულში ამოჭრილი:

„მრწამს, მარად მიწამებია
მუდმივ სიცოცხლე სულისა,
კარგისა, ქვეყნის მოყვარის,
ქვეყნის ბედისგან წყლულისა.

მრწამს, ფერფლნი კარგის გულისა
ქარმ რო გაფანტოს ხმელადა,
თითოში მაინც ენთება
ტიალ-სურვილი ცხელადა, -
ავის მჩაგრავად, კეთილის
მუდამ იქნება მცველადა;
ბეჩავის, გაჭირებულის
მომხმარედ, მეშვლად, მხსნელადა.
კარგს გულს არა ჰკლავს ბუნება,
თან დააქვს ძველის-ძველადა!“

გრ. რობაქიძე, მიუხედავას მოდერნისტული იდეების და სახე-სიმბოლოების ერთგულებისა, ყოველთვის იზიარებდა დიდი ეროვნული მწერლობის სულისკვეთებასა და ფილოსოფიურ მრწამსს.

„უღმერთოდ ყოფნის სევდა“ მწვავედ დგას კონსტანტინე გამსახურდიას მოთხრობაში „ქოსა გახუ“. აქაც ზუსტად ის პრობლემა დგას, როგორც გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლულ სულში“, სადაც დაკარგული ღმერთის ძიების პროცესი სასტიკ განცდათა კვალდაკვალ მიმდინარეობს .

კ. გამსახურდია ნიცშესადმი მიძღვნილ პოეტურ ტექსტში აღნიშნავდა:

„შენ ამ სამყაროს უდუელოდ ვერ შეეთვისე,

წახვედი სოფლის ვარამისგან გულგამეხილი

წმინდა ფრიდრიჰი და ჯვარცმული ხარ დიონისე,

ჭაბუკი მუხა, გრიგალისგან გადატეხილი...“

საინტერესოა ფრიდრიხ ნიცშეს, როგორც გრიგალისაგან გადატეხილი „ჭაბუკი მუხის“ და ჯვარცმული დიონისეს ერთ განზომილებაში მოქცევა. „წმინდა ფრიდრიხი“ ისეთივე ვნებული და ჯვარცმულია, როგორც დიონისე - ბერძნული მითოლოგიის თრობის ღვთაება. დიონისეს ჯვარცმულად დანახვა იმთავითვე შეიცავს კვდომადი და აღდგომადი ღვთაებების რკალში ქრისტეს მოქცევას, რომელსაც ბევრი მსგავსი წინამორბედი და კიდევ უფრო მეტი ტანჯული და ჯვარცმული მიმდევრები ჰყავდა.

აქაც, ისევე როგორც გრ. რობაქიძისეულ კვდომადი და აღდგომადი ღვთაებების სახისმეტყველებაში იგულისხმება მუდმივი დუელი ცხოვრებასთან, კ. გამსახურდიასთვისაც მუდმივად დგას მორალური და ზნეობრივი დილემა: სინამდვილის მიღებისა და ვერმიღებისა.

„ქოსა გახუში“ მწვავედ დგას სიყვარულისა და სიკვდილის, წინაპართა ცოდვის, ამ ცოდვის გამოსყიდვის პრობლემა. „ჯვარცმული დიონისე“ ცხადყოფს მოდერნისტული მსოფლხედვის ფილოსოფიურ ძირებს, რომელიც ანტიკურობას და ქრისტიანობას საერთო ძირებიდან მოიაზრებს.

„ქოსა გახუში“ ბოლშევიკების ეპოქაა ასახული, როდესაც ისპობა სოციალური უთანასწორება, უარყოფილია წინაპართა ადათები, დაგმობილია რელიგიური რწმენა-წარმოდგენები და გაბატონებულია რაციონალური მიდგომა ყოფიერებისადმი.

დადიანების ნაშიერი სიგიჟეს იგონებს, რომ თავისი ერთადერთი შვილის გადარჩენა შეძლოს. ქოსა გახუს ეძლევა ეპითეტები: შეთე, ჩიჩიე, გლახაკი. თანასოფლელთა თვალში მას „წინაპართა ცოდვებმა უწია“. არის ტანმორჩილი, მკერდჩავარდნილი, წელში მოხრილი. ანუ ადამიანი საკუთარი წარსულის სრულიად საპირისპირო მდგომარეობაშია, ნებაყოფლობით იჩიავებს თავს და წამების გზას გადის. ქოსა გახუ კარგად თამაშობს „ღვთის გლახის“ როლს, მას ჯერ კიდევ აქვს

რწმენა და იმედი. ანუ ქოსა გახუ „სხვად გადაიქცა“, მოკვდა ერთ ცხოვრებაში და აღსდგა გლახაკის სახით სხვა ფორმაციაში, სხვა ცხოვრებაში. იგი ღრმად მორწმუნე ადამიანია და უდრტვინველად იღებს თავის ხვედრს. ქოსა გახუს სწამს და უყვარს ჯვარცმული ღმერთი, მაგრამ თემრას (შვილის) სიკვდილი უკანასკნელ იმედს მოუშლის და ღვთისმგმობელ პიროვნებად იქცევა- სიცოცხლეს მოისწრაფებს. დადიანების შთამომავლისთვის არსებული რეალობა „უღმერთო“ ყოფის მაუწყებელია( „ის აღარაა, ვისთვისაც ვეწამე“ ).

მიუხედავად იმისა, რომ „ქოსა გახუ კ. გამსახურდიას რეალისტურ ნაწარმოებად ითვლება, მასში მოდერნისტული პროზისათვის დამახასიათებელი სახეები და პასაჟები მრავლად გვხვდება. ჯვარცმული ღმერთის სახე ყველა გადამწყვეტ მომენტში იჩენს თავს.

ანუ, გრიგოლ რობაქიძემ და კონსტანტინე გამსახურდიამ თავიანთ ნაწარმოებებში ჯვარცმული ღმერთის გავლენის კლება და „უღმერთობის“ ეპოქის მიწიერი ტანჯვა ასახეს, რომელსაც გამუდმებით აკლია სულიერება და ეს ცხოვრებას ურთულებს ღვთის უარმყოფელებს.

XX საუკუნის დასაწყისში ჯვარზე ვნებული ღმერთის სახე კვლავ აქტუალურია. რევაზ მიშველაძემ იესო ნაზარეველზე შექმნა რომანი „ქრისტე“, სადაც ჯვარცმული უფლის სიცოცხლის ბოლო დღეებია ასახული. რევაზ მიშველაძეს ადრე არასოდეს მიუმართავს რელიგიური მისტერიებისთვის, ამიტომაც საინტერესოა ცივილიზაციის უმთავრესი სახე-სიმბოლოს მისეული გააზრება.

რ. მიშველაძემ რიგითი ადამიანის ნიღაბი მოარგო თავის პროტაგონისტს და ასე მოავლინა ჩვენს წინაშე. „ ღმერთი - კაცი - ხალხი “ არის ის ტრიადა, რომელიც მთავარ სააზროვნო წრეს მოხაზავს და კანონიკური ჩარჩოდან მნიშვნელოვნად დაშორებულია.

უფალს დასჭირდა ადამიანებისთვის შეეხსენებინა ჰუმანური საწყისები და კაცის სახით მოევლინა მათ. ამიტომ არის ასე მიწიერი იესო რევაზ მიშველაძის რომანში. გარემო გაჯერებულია ყოველდღიური რეალიებით, უბირი და ხარბი ადამიანებით, ძალაუფლების მოყვარული და ფარისეველი მღვდელმსახურებით, სასტიკი და დაუნახავი დამპყრობლებით, უმწეო და ამ უმწეობით გაბოროტებული ადგილობრივი მმართველობით.

„ქრისტეში“ მთავარი გმირი განსხვავდება კანონიკური სახისაგან, რადგან ის მშობლიურ კუთხეში, თავის მეზობლებში სამკურნალო უნარებს საერთოდ ვერ ავლენს და მათთვის ხელმოცარულ თვითმარქვიად რჩება. „აქ მე მხოლოდ კაცი ვარო“ - ამბობს იესო ნაზარეველი ერთგან და ეს „მხოლოდ კაცებრივი“ იმ მომენტშიც ცხადდება, როცა მიმტევებლობისას გამონაკლისს დაუშვებს.

რ. მიშველაძის გმირი ხალხს უქადაგებს საყოველთაო მიტევებას, პატიებასა და სიყვარულს, მაგრამ რელიგიური ელიტისათვის ანუ სინედრიონისათვის ნაზარეველი სახიფათო პიროვნებაა. მრევლს უყვარს იესო, სწამს მისი და უჯერებს. სინედრიონისათვის მრევლი ძალაუფლების წყაროა, უზრუნველი ცხოვრების გარანტი. რ. მიშველაძემ მათი სახით დაგვიხატა კონფორმისტული საზოგადოება, რომელიც შეშფოთებულია საკუთარი კეთილდღეობის დაკარგვით, ვერ ელევა ძალაუფლებას და ლოიალურია უცხოელი დამპყრობლისადმი. ეს საზოგადოება აღშფოთებულია წმინდა შაბათისადმი იესოს დამოკიდებულებით, რომელიც ამბობს: „შაბათს კეთილი საქმეების კეთებას უფალი როდი კრძალავს. თუ საქმე არ ითმენს, თუ გადადება არ შეიძლება, აუცილებელი სიკეთის ჩადენას შაბათ დღეს ღმერთი გაპატიებს“ (გვ.90).

მწერლისეული ინტერპრეტაციით იესო ნაზარეველი თავად იტანჯება საკუთარი გამორჩეულობით, უჩვეულო უნარებითა და ყველა ადამიანისადმი დახმარების სურვილით. მას არ შეუძლია გულგრილი იყოს ცოდვილი კაცობრიობისადმი; შეუძლია განიცადოს, გადაიტანოს და მოითმინოს ყველანაირი მარცხი და უმადურობა, დაუმსახურებელი სასჯელიც უდრტვინველად მიიღოს, მაგრამ მაინც უცხოდ რჩება იმ ადამიანებისათვის, ვისაც თავს შესწირავს.

კაცობრიობა „ბნელით მოსილი“, „ყურმძიმე“, „ცოდვილიანი“ და „უმადურია“, ხოლო იესო და მისი მიმდევრები ცდილობენ ჰუმანური საწყისები გაუღვიძონ ამ „მთვლემარე კაცობრიობას“.

იესოს უფალი კაცობრიობის სამსჯავროზე უშვებს და ეუბნება: „რაც შეეხება ჩათვლემას, სხვათა სენის გულგრილად ცქერასა და შეგუებას მოყვასის მძიმე ხვედრისადმი, ეს ყველაზე აუცილებელი ნიშანია, ადამის ძეთ რომ დავანათლე და ვუგულისყურე. ადამიანს რომ ეს თვისება არ ჰქონდეს, დაიღუპებოდა კაცობრიობა“...(გვ.151) ადამის მოდგმა რომ უსამართლო, სხვათა განმკითხავი, ბნელით მოცული და გონზე მოსაყვანია, იმითაც მტკიცდება, რომ მას არ გააჩნია „ღვთიური სიმწყობრე“ და მოყვასისადმი „თავგამოდება“. რევაზ მიშველაძე ჭიანჭველებზე დაკვირვებისას წერს:

„რა ღვთიური სიმწყობრეა, ყველამ თავისი ადგილი , თავისი გზა-სავალი იცის.

რა ერთგულად მიჰყვებიან ერთმანეთს. რა ტვირთმძიმენი, ფეხისცეცებით შედიან ჭინჭველური სასახლის ერთ კარებში და რა მხნედ გამოდიან მეორე კარიდან.

რა მოწიწებით ხვდებიან და ცხვირის ცხვირზე მიდებით ესალმებიან ერთმანეთს, რათა გზააბნეულს გზა მიასწავლონ და მერე ისევ გულასმითა და თავგამოდებით წავიდნენ თავიანთ ჭინჭველურ საქმეზე.

რა კეთილად ეხმარებიან თანამოძმეს, რომელსაც იმოდენა ტვირთი აუკიდებია, მის ძალას რომ აღემატება“...(გვ.99)

მწერალმა საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება ჭიანჭველებზე, რომ მკითხველისთვის ეჩვენებინა პატარა და შეუმჩნეველი მწერების ის თვისებები, რომელიც ადამიანებსაც აქვთ, მაგრამ არ იყენებენ: არ ესალმებიან ერთმანეთს გულითადად, ვერ მიჰყვებიან თავიანთ გზას ერთგულად, მოწიწებისა და პატივისცემის გრძნობა დაკარგული აქვთ, არ ეხმარებიან თანამოძმეებს და ა.შ.

„ქრისტეში“ იესო ერთგან ამბობს: „სანამ აქა ვარ, კაცი ვარ და სხვა არაფერი“. იესო კაცობრიობის მხსნელია, უფლის სახესხვაობაა, მაგრამ სანამ დედამიწაზე ადამის სახით დააბიჯებს, მისი მოკვლაც შეიძლება. ზოგჯერ მარცხსაც განიცდის და მშობლიურ სოფელში ხალხს ვერ შველის, არაფერი გამოსდის. რევაზ მიშველაძე გვეუბნება, რომ განკაცებულ უფალს მორწმუნე და მიმდობი მრევლი თუ არ ყავს, სასწაულებრივად ვერავის განკურნავს, უძლური ხდება.

ისევე როგორც სახარებისეულუ იესო, რევაზ მიშველაძის პროტაგონისტიც ყრუ-მუნჯებს აალაპარაკებს, კეთროვნებს განწმენდს, ბნედიანებს არჩენს, ხეიბრებს კურნავს, სისხლდენას აჩერებს, მტერთათვის ლოცვას ასწავლის.

მაგრამ არის ერთი ძალიან საინტერესო და საჩოთირო მომენტი და ეს ასეა ფორმულირებული: „სამშობლოს მტერი ოდენ შენი პირადი მტერი კი არ არის, არამედ მთელი ხალხის, შენი მოდგმის მტერია და მას ვერ შეიყვარებ და შენს მიწაზე ცეცხლითა და მახვილით მოსულს ვერ შეუნდობ“.

თანამედროვე კულტუროლოგიაში კვლავ აქტუალურია ნიცშესეული ხელოვნების ორი ერთიმეორის გამომრიცხველი საწყისი: დიონისური და აპოლონური. დიონისურისათვის დამახასიათებელია დროსტარება, თრობა, ცეკვა-თამაში, შვება და ტანჯვა, რითაც ადამიანი უერთდება პირველქმნილ ბუნებას; ხოლო აპოლონური საწყისის თვისებაა რაციონალიზმი, სიდინჯე, ჰარმონია. ნიცშე ეყრდნობოდა სამყაროს ელინურ გაგებას, რომლის მიხედვით ადამიანურისა და ღვთაებრივის შერწყმა შობს ხელოვნებას, რომელიც „შექმნისა და ამაღლების საღი სულია“.

XX - XXI საუკუნეების ქართულ პროზაში შთამბეჭდავად განივრცო და ინტერპრეტირდა ჯვარცმული ტანჯული ღვთაების სახე, ნაირგვარი ფილოსოფიური განჭვრეტითა და მხატვრული ალუზიებით, რაც ჩვენი მწერლობის უდაოდ მაღალი დონის დასტურია.

ასეთია მოკლედ კვდომადი და აღდგომადი ღვთაების მისია და დანიშნულება უახლეს ქართულ პროზაულ ტექსტში.

# ქართული ენა და თანამედროვე მწერლობა

**მურმან თავდიშვილი**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

1. თანამედროვე მწერლობის მებალავრენი და დედაენის აქტიური დამცველები იყვნენ მიხეილ ჯავახიშვილი და კონსტანტინე გამსახურდია. კლასიკოსები ენას მწერლის უპირველეს იარაღად მიიჩნევდნენ. ისინი ენის შემქმნელად და განმავითარებლად მწერალს სახავდნენ, ხოლო დამცველებად და დარაჯ-ებგურებად — ენათმეცნიერებს. ამ ორი ძალის ერთიანი ძალისხმევით უნდა გაძლიერებულიყო და განვითარებულიყო დედაენა. ,,ჯაყოს ხიზნების" ავტორი, კერძოდ, ბრძანებდა:

„ენა მწერლის ბალავარია, მისი უმთავრესი იარაღი. ენის უცოდინარი მწერალი სამფეხა ცხენსა ჰგავს".

სხვა შემთხვევაში პროზაიკოსი ნაპოლეონის სიტყვების პერიფრაზით გვემეტყველებოდა:

სალიტერატურო გამარჯვებისათვის ჯერ კარგი ქართულია საჭირო, მერე კარგი ქართული და ბოლოს კარგი ქართული".

შეისწავლა რა XX საუკუნის დამდეგის შემოქმედთა ენა, ,,კვაჭი კვაჭანტირაძის" შემთხზველმა მწუხარებით გვაუწყა: ,,ქართველმა მწერალმა არ იცის ქართული ენა".

ამას ჯავახიშვილი აცხადებდა 1925 წელს.

მას შემდეგ გავიდა მთელი საუკუნე და ახლაც სამწუხარო სინამდვილის წინაშე ვდგავართ, რადგან ამ მხრივ არაფერი შეცვლილა: არც თანამედროვე მწერალმა იცის ქართული ენა.

თავისი რვატომეულის ბოლოსიტყვაობაში კ. გამსახურდია ბრძანებდა: ,,მშობლიური ენის სიწმინდისათვის ბრძოლა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა საკუთარი სამშობლოისა".

,,დიდოსტატის მარჯვენის" ავტორი არა ოდენ სინტაქსის კანონების ცოდნას, არამედ, ამასთანავე, მდიდარი ლექსიკური ფონდის მომარჯვებასაც მოითხოვდა.

ორივე მწერალს მიაჩნია, რომ დიალექტური ფორმები ზომიერად უნდა გამოვიყენოთ და ისიც მხოლოდ პერსონაჟთა მეტყველებაში; უცხოური ტერმინები უნდა ვთარგმნოთ, შევუსაბამოთ მათ დიალექტებში არსებული ცნებები; წინადადება ავაგოთ ეროვნულ ყაიდაზე; დავიცვათ ენათმეცნიერთა მიერ დადგენილი ორთოგრაფიული ნორმები; გავამდიდროთ სამწერლო მეტყველება დიალექტებსა და ისტორიულ ლიტერატურაში დაცული ფორმებით...

მაშასადამე, კლასიკოსებმა დასახეს სწორი გზა და პერსპექტივები.

როგორ ასრულებს მათ თანამედროვე მწერლობა?

ჯერ ენანაკლულ ცნობილ მწერალთა სამეტყველო არეალი მიმოვიხილოთ, შემდეგ კი — სანიმუშო მოქართულეთა მიღწევები.

2. 1970-იან წლებში ფრიად პოპულარული გახდა გურამ ფანჯიკიძის შემოქმედება, რამეთუ ჩვენს სინამდვილეში პირველად დაიხატა ტექნიკური ინტელიგენცია, საწარმოო პროცესი, ტექნიკური მუშაკის სულიერი სამყარო. ფანჯიკიძე გახლდათ სამეცნიერო-ტექნიკური ინტელიგენციის სულის ღრმა მკვლევარი და აქვს ბევრი ფსიქოლოგიური მიგნება. მისი ტიპები, სახეები, ტექნიკური აზროვნების ყაიდა საინტერესო გამოდგა რუსი, ბალტიისპირელი, უკრაინელი მკითხველისთვისაც. ასე გახდა ფანჯიკიძე პოპულარული მწერალი მთელ საბჭოთა სივრცეში. ავტორი მოვიდა ტექნიკური სფეროდან. მას არა ჰქონია ფილოლოგიური განათლება. ამიტომ მისი ქართული მშრალია, არ გამოირჩევა ღრმა და მდიდარი ლექსიკით. ის მშობლიურ ენას ვერაფრით შეეწია.

უფრო ,,ქართული" თემატიკა დაამუშავა ნოდარ დუმბაძემ, ოღონდ არაფილოლოგიური სამყაროდან გახლდათ მოსული და ენობრივად არაფერი შეუმატებია მშობლიური მეტყველებისათვის.

პირველი მოთხრობების გამოქვეყნებისთანავე დიდი სახელი დაიგდო გურამ დოჩანაშვილმა, თუმცა იმ პირველ ცდებშიც ენობრივი სიღრმეები არ ცნაურდებოდა. მეორე პერიოდის დოჩანაშვილი ენობრივად სრულიად გამოიცვალა: დაიწყო ყოვლად უმსგავსო ენობრივი ექსპერიმენტები. მან თითქოსდა საგანგებოდ შერყვნა ქართული. მშობლიური საუნჯისადმი მის ამდროინდელ დამოკიდებულებას ზედმიწევნით გამოხატავს გურული ანდაზა: ,,გლახა კვიცი ზურგზე დედამისს ახტებოდაო!"

დოჩანაშვილის მიუტევებელ კურიოზებს სასტიკად გამოეხმაურნენ მწერლები და კრიტიკოსები (ჯ. მეხრიშვილი, მ. თავდიშვილი, გ. გოგოლაშვილი...).

თამაზ ბიბილურს რომანისათვის ,,ჟამი კითხულისა" მიარგუნეს სახელმწიფო პრემია; მოგვიანებით თხზულება ,,ქართული პროზის საგანძურის" სერიითაც გამოიცა. ეგ იყო მკითხველი საზოგადოების დაცინვა, რამდენადაც აღნიშნული უმწიფარი ტექსტი სრულიად უიდეოა, არა აქვს არავითარი მხატვრული ღირებულება და, რაც მთავარია, ენობრივად სრულიად გაუმართავია: არ არსებობს არც ერთი სახეობის შეცდომა და წუნი, ამ ტექსტში არ მოიძებნებოდეს; ავტორმა არ იცის ელემენტარული ქართული: არც სინტაქსი, არც ორთოგრაფია, არც ფონეტიკა; აქვს მეტად მწირი სიტყვიერი მარაგი. გარდა ამისა, მოსდის სამარცხვინო სტილისტური შეცდომები...

ნორმალური სალიტერატურო გარემოს ვითარებაში ეს ,,რომანი" არც კი გამოქვეყნდებოდა, რადგან მისი გასწორებაც კი შეუძლებელია.

3. ერთობ ცოტა გვყავს ისეთი მწერლები, რომლებმაც კიდევაც დაიცვეს დედაენა, კიდევაც შეეცადნენ მის გაძლიერებას, ახალი სიტყვა-ცნებანიც კი შექმნეს და სიტყვიერი მარაგი გაამრავალფეროვნეს. ესენი არიან: ლადო მრელაშვილი, გურამ გოგიაშვილი, რევაზ მიშველაძე, შოთა ნიშნიანიძე, რევაზ ინანიშვილი, ნუგზარ შატაიძე, გერონტი ქიქოძე, გურამ ასათიანი, ლევან ბრეგაძე, სოსო სიგუა, ბაჩანა ბრეგვაძე...

4. მოხსენებაში გამოწვლილვით არის განხილული ზოგიერთი მათგანის ენობრივ-შემოქმედებითი მიღწევები.

# ნათელა მაისურაძე როგორც ხელოვანი

**დავით სოლომნიშვილი**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

1. ამოუცნობია ადამიანის სულიერი სამყარო, იმიტომ რომ მრავალფეროვანი და საინტერესოა. ასეთი გრძნობა დამეუფლა ახლა, როდესაც ვიხსენებ ქ-ნ ნათელა მაისურაძეს, ქალს ღიმილიანს, ხალისიანს, იუმორის გრძნობით აღსავსეს.

2. იუმორი ინტელექტის გამომხატველიაო - ამბობენ, ვისაც იუმორის გრძნობა აქვს, მან კულტურის ფასიც იცისო. ქ-ნი - ნათელა - იშვიათი იუმორის გრძნობით გამოირჩეოდა.

3. ქ-ნ ნათელას ძალიან აწუხებდა მუსიკის მუზა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ სულ ღიღინებდა. ღიღინებდა არა უბრალოდ, არამედ კლასიკურად, ოპერას რომ ჩვევია ხოლმე. ზოგჯერ ისეთ სოპრანოს ამოუშვებდა განცვიფრებული ვუსმენდით. ხელოვანი სწავლობდა ქ. თბილისის მელიტონ ბალანჩივაძის სამუსიკო სასწავლებელში ფორტეპიანოს განხრით. ეს ის სასწავლებელია, რომელსაც „მცირე კონსერვატორიას“ ეძახდნენ ხოლმე და რომლის დირექტორი არჩვეულებრივი ქალბატონი ქსენია ილარიონის ასული ჯიქია გახლდათ. იგი იყო ცნობილი პიანისტის ალექსანდრე ნეიჰაუსის მოწაფე, რომელმაც მის ირგვლივ შემოიკრიბა ქართველ მუსიკოსხელოვანთა ღირსეული თაობა: დიზი ხელაშვილი (პაატა ბურჭულაძის მასწავლებელი), საქართველოს სახალხო არტისტი ლეილა გოცირიძე, პროფესორი ჯემალ ანჯაფარიძე (ზურაბ ანჯაფარიძის ძმა), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ჰერტრუდა შმალცერი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ოლღა სარაჯიშვილი, საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი თინა საღარაძე (ცნობილი მთარგმნელის ლევან საღარაძის და), ცნობილი სოლფეჯისტი ელენე ბარაბაძე, პეტრე თომაძე (მაია თომაძის მამა), საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი ბერტა ივანიცკაია.

4. ამ შესანიშნავ გარემოში აღიზარდა ქ-ნი ნათელა, მან წარჩინებით დაამთავრა მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის მუსიკალური სასწავლებელი და სწავლა გააგრძელა ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში ვოკალურ ფაკულტეტზე (რექტორი სულხან ცინცაძე). იგი იყო საქართველოს სახალხო არტისტის ლამარა ჭყონიას კლასში. სტუდენტი ეუფლებოდა როგორც ვოკალური ტექნიკის, ასევე ვოკალური საშემსრულებლო ხელოვნების მდიდარ საიდუმლოებებს. საფორტეტიანი ხელოვნებას პროფესორ გულიკო ქავტარამის ხელმძღვანელობით ეუფლებოდა, ერთ-ერთი ფუძელმდებელთაგანის მას ჰქონდა კარალატურული სოპრანო. უკვე მეოთხე კურსის სტუდენტი მისმა მასწავლებელმა საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა, სანდრო ახმეტელის მოწაფემ ქ-მა თამარ ბაქრაძემ მიიწვია ჟორჟ ბიზეს „კარმენის“ მთავარი პარტიის შემსრულებლად. მიღებული საყოველთაო აზრის გათვალისწინებით, მისი კარმენი იყო რომანტიკოსიც და მებრძოლიც. გამოირჩეოდა გრაციოზულობითა და შინაგანი პათოსით და მომხიბვლელობით. თამაშისას მარაოს ისე იყენებდა, როგორც არისტოკრატ ქალებს სჩვევიათ ხოლმე - ფარშევანგისებურად. ეს უპირველესად დამსახურება იყო მსახიობის ოსტატობის პედაგოგის თამარ ბაქრაძისა და მისი ნიჭიერი ალღოსი. გასრულდა სტუდენტობის წლები, ჩვენი ხელოვანი არჩევანის წინაშე დადგა, საოპერო თეატრის სცენა თუ პედაგოგიური მოღვაწეობა. როგორც სჩანს, პედაგოგობამ გადასძალა. ასპირანტურა ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში დაამთავრა ფილოსოფიის განხრით. დაიწყო კვლევა ფილოსოფიის და მუსიკის ურთიერთშესაბამისობის მიმართულებით. საკანდიდატო და სადოქტოროც ამ დარგში დაიცვა. ხელმძღვანელი პროფესორი ალფრედ კურატაშვილი. მის მეცნიერული მოღვაწეობას განსაზღვრავდა ფილოსოფიური სიდიდეებისა და მუსიკალური აზროვნების ურთიერთშეთანხმების

საკითხები. საბოლოოდ მან ესთეტიკაში დაიცვა დისერტაცია, მისი ოპონენტი გახლდათ ესთეტიკოსი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი იგორ ურუშაძე, რომელიც კონსერვატორიის ესთეტიკის კათედრის გამგე იყო.

5. ნათელა მაისურაძის სადოქტორო დისერტაციის რეცენზენტი იყო მსოფლიოში ცნობილი ფილოსოფოსი, აკადემიკოსი მაისეი სამოელის ძე კაგანი.

6. ნათელა მაისურაძე წლების მანძილზე კითხულობდა კლასიკური ფილოსოფიის კურსს კონსერვატორიაში მუსიკისმცოდნეებისათვის, კომპოზიტორებისათვის, პიანისტებისათვის და ვოკალისტებისათვის. მისი მოწაფეები იყვნენ კომპოზიტორ ჯანო კახიძის ქალიშვილი თეონა კახიძე, მუსიკათმცოდნე ანტონ წულუკიძის ქალიშვილი თამარ წულუკიძე და სხვა ნიჭიერი მუსიკოსები.

7. ნათელა მაისურაძემ შექმნა საინტერესო მეცნიერული ნაშრომი „სიცოცხლის ფილოსოფია“, რომელშიც საგანგებოდ გამოყო „ღიმილის ფენომენი“, რომელიც სიცოცხლის ფილოსოფიის ნაკლებად შესწავლილი სფეროა.

8. რა საოცარია ცხოვრება, რა ძალა აქვს სიცოცხლეს, რომელიც ყველას და ყველაფერს ასულდგმულებს. მას მოსწონდა სიცოცხლე, უყვარდა სიცოცხლე, უნდოდა სიცოცხლე, მაგრამ არსთა გამრიგემ, ბრძენმა უფალმა მარადისობაში გადაისროლა.

# სასამართლო და პოლიტიკური მჭევრმეტყველება

**გემალ გაბელია**
სამართლის დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საორატორო მჭერმეტყველებას რამდენიმე სახე აქვს და ერთ-ერთი მათგანია სამოსამართლო მჭერმეტყველება. სამოსამართლო მჭერმეტყველება განიმარტება როგორც სააგიტაციო მჭერმეტყველების სახეობა, რომლის დანიშნულებაა ზეგავლენის მოხდენა სასამართლოს წევრებზე იმ მიზნით, რომ მიიღონ ორატორისათვის სასურველი გადაწყვეტილება პირის შესახებ. იურისტის საქმიანობა ზოგადად უკავშირდება გადაწყვეტილების მიმღები პირის/პირთა კონსულტირებას კანონის თუ ნორმის სწორედ ინტერპრეტაციისათვის აუცილებელი გადაწყვეტილების მიღებაში ან კლიენტის დახმარებას სწორი სამართლიანი პოზიციის ჩამოყალიბებაში. ამ დროს იურისტს ხშირად უწევს მიმართოს საორატორო მჭერმეტყველების სხვადასხვა სახეს, მაგალითად, სააგიტაციო, სადისკუსიო, აკადემიურ მჭერმეტყველებას, რადგან ძალიან ხშირად გადაწყვეტილების მიმღები პირი ან კლიენტი არ არის დაკავშირებული იურიდიულ პროფესიასთან და მისთვის არ არის ცნობილი ან საერთოდ ნორმა ან/და მისი ახსნა-განმარტების სხვადასხვა მეთოდები.

ორატორი თავის მსჯელობას, აზრების დალაგებას და მეტყველების ყოველგვარ სხვა საშუალებას წარმართავს იმ მიზნით, რომ გამოიწვიოს მსმენელში მისთვის სასურველი დასკვნა, გადაწყვეტილება მსჯელობის საგნის შესახებ, წარმართოს მსმენელი ისეთი მოქმედებისაკენ, რასაც თვით ორატორის აქვს გამიზნული და შექმნას მსმენელში ზემოაღნიშნულისათვის შესაფერი განწყობილება.

როგორც ვიცით, საჯარო გამოსვლები და კარგი კომუნიკაციის უნარი გადამწყვეტ როლს თამაშობს სამართლის დარგში კარიერულ წარმატების მიღწევაში. აქედან გამომდინარე, საჯარო გამოსვლის უნარების განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტისთვის. გამართული მეტყველების და ორატორული უნარი ეხმარება არა მხოლოდ უნივერსიტეტში სასწავლო წარმატებაში, არამედ სამომავლო პროფესიულ მოწყობაში.

# საქართველოში ვიკინგების კვალი და ტოპონიმ სიქთარვას ახლებური ეტიმოლოგია

**ბადრი ცხადაძე**
ფილოლოგიის მეცნეირებათა დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
**ამირან ქაშაკაშვილი**
დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ვიკინგების შესახებ საქართველოს ისტორიაში მცირეოდენი ცნობები არსებობს. ,,იუტუბზე" მოთხრობილია მათი ჩრდილოეთიდან შემოსვლა - ლაშქრობა შავი ზღვიდან ქუთაისამდე. ეს ის დროა, როცა საქართველოს მეფე ბაგრატ მეოთხეა, ხოლო თბილისს ამირა დაჰპატრონებია, აღმოსავლეთ საქართველოში კი ადგილობრივი ფეოდალი ლიპარიტ ბაღუაში ბობოქრობს.

ამრიგად, ვიკინგებმა, რომელთა უმეტესობამ მშობლიურ ენაზე წერა-კითხვაც კი არ იცოდა, გმირული ლაშქრობით შვედეთიდან (ახლა ძნელი წარმოსადგენია დღევანდელი მშვიდობისმოყვარე შვედების შედარება ვიკინგებთან) დნეპრისა და რუსეთის სტეპების გავლით, შავ ზღვამდე მოაღწიეს, რომლებიც ბაგრატ მეოთხის მეუღლემ დიდი პატივით მიიღო და მოასვენა. მათი 3000-კაციანი ლაშქარი ფრიად საჭიროებდა ამას. ამავე ხანებში მე-11 საუკუნის პირველ ნახევარში ბაგრატ მეოთხემ ლიპარიტ ბაღვაშის რამდენიმე ციხე აიღო, რის გამოც მათ შორის საჭირო ბრძოლა გაიმართა. ეს კი ახლანდელ სოფელ სასირეთში (კასპის რაიონი) მოხდა. მოულოდნელად 700-კაციანი ვიკინგები ბრძოლაში ისე ჩაერთვნენ, რომ არც კი მოუცადეს, მათდამი დასახმარებლად წამოსულ მესხთა მხედრობას, რის გამოც ბაგრატ მეფეც იძულებული გამხდარა ბრძოლაში ჩართულიყო. გამარჯვებამიჩვეული ვიკინგები ამ ბრძოლაში სასტიკად დამარცხებულან მეფის მხედრობითურთ. გამარჯვებულ ლიპარიტ ბაღვაშს ბრძოლას გადარჩენილი ვიკინგები სულ სხვა გარემოებით დაუსჯია. მათ ხელში დიდი ზომის საცრები დააჭერინა და მდინარე ყვრილასა და ძირულას ხეობებამდე ათრევინა. დაისმის კითხვა: რაღა მაინცდამაინც საცრები დააჭერინა? (ამაზე ცოტა ქვემოთ) გზაში თურმე ვიკინგების ერთ ნაწილს რაღაც დაავადება შეჰყრიათ და იქვე მდინარე ყვირილას ნაპირებზე დაუმარხავთ.

რა ბედი ეწია დანარჩენთ, არაფერი ვიცით. საფიქრებელია, გადარჩენილ ვიკინგები თერჯოლის რაიონის მდინარე ყვირილას სანაპიროებთან დასახლდნენ. ამრიგად, უნდა მომხდარიყო მათი ასიმილაციის-გაქართველებს პროცესი. უკან, შვედეთში, საბერძნეთის გავლით, 14 ნავის ნაცვლად მხოლოდ 2 ნავიღა დაბრუნებულა.

დაისმის კითხვა: რა კავშირშია თერჯოლის რაიონის ამჟამინდელი სოფელ სიქთარვის სახელწოდება ვიკინგებთან?

დღემდე საენათმეცნიერო ლიტერატურაში სიქთარვის მხოლოდ ორი ეტიმოლოგია არსებობს. პირველი ახსნა ხალხური ეტიმოლოგიის ნაყოფია: თითქოს ეს ტოპონიმი არაქართული წარმოშობის, კერძოდ, თურქული სიტყვა იყოს. ასე ხსნიან ადგილობრივი მაცხოვრებელი იმერლები. მაგრამ ირკვევა, რომ ამ სიტყვას თურქულ წარმომავლობასთან საერთო არაფერი აქვს.

მეორე ახსნა ცნობილ ენათმეცნიერ-დიალექტოლოგს, პროფ. ივ. ქავთარაძეს ეკუთვნის: სიქთარვა მიღებული უნდა იყოს ,,სირთა რუადან": სიქთარვა = სირთა ანუ ჩიტების რუ. ცხადია, არც ამ ეტიმოლოგიურ ახსნას აქვს რაიმე კავშირი სინამდვილესთან. სიქთარვის ახლებურ ეტიმოლოგიას, ჩვენი აზრით, სწორედ ვიკინგებთან მივყავართ: ნორვეგიულად სიქ ნიშნავს საცერს, ,, რვა" კი ,,ცრას".აი, რატომ დააჭერინა ხელში ვიკინგებს ლიპარიტ ბაღვაშმა საცერი! ამრიგად, სიქთარვა ვარიაგების ანუ ვიკინგების პირველყოფილი ტოპონიმი, მათ მიერ დანატოვარი ისტორიული ტოპონიმია. თერჯოლის რაიონის სოფელ ალისუბნის მკვიდრის,

ცნობილი და ყოფილი პარლამენტარის ამირან ქაშაკაშვილის ახსნით, ადვილი შესაძლებელია სოფელ სიქთარვის მარჯვენა მხარეს აღმართული ორი ბორცვი ანუ გორაკი ვიკინგების სასაფლაო იყოს, რასაც გადამოწმება და არქეოლოგიური გათხრები სჭირდება. თუ ეს ასეა, მაშინ უნდა გავიხსენოთ ცნობილ ქართველი ისტორიკოსის ნიკო ბერძენიშვილის ვარაუდი, რომ ძველად წარმართულ საქართველოში აღმართული ბორცვები და გორაკები შეიძლება პირველყოფილი ადამიანების ნასახლარები იყოსო, ჭეშმარიტებას მოკლებული არ ყოფილა.

ვფიქრობთ, საქართველოში არქეოლოგიური არტეფაქტები და აღმოსაჩენები კვლავ დასადგენია, ხოლო საქართველოს ისტორია და ლინგვისტურ-გეოგრაფიული ატლასი ხელახლა დასაწერი.

# ეროვნული იდენტობა და განათლება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921)

**ნატო სონღულაშვილი**
ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

1918 წელს 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ სხვა მრავალი პრობლემის მოგვარებასთან ერთად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა განათლების რეფორმას. 117 წლის მანძილზე რუსული განათლების სისტემამ უარყოფითი კვალი დააჩნია ქართულ ეროვნულ ცნობიერებას და ამიტომ აღნიშნული მოვლენის ქართულ რეალობაზე მორგება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენდა.

განათლების როლი და ფაქტორი საქართველოში ყოველთვის განსაკუთრებულ ადგილს იკავებდა და ამათუიმ საუკუნეში, ეპოქის გამოწვევებიდან გამომდინარე, საზოგადოების ცნობიერების ფორმირება-განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენდა. იმ პერიოდში, როდესაც საგანმანათლებლო სივრცეს ყურადღება მიექცა და სკოლას, უმაღლეს სასწავლებელს არა მხოლოდ განათლების მიცემის, არამედ ეროვნული და სახელმწიფოებრივი ფუნქცია მიენიჭა, საქართველო ამ ყოველივეს განსხვავებულ რეალობაში ხვდება. რუსული მმართველობის სისტემამ განათლება მაქსიმალურად გამოიყენა ქართველი ხალხის გარუსების და გარდაქმნისათვის. სწორედ ამიტომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ხელისუფლებაში მოსულ პოლიტიკურ თუ კულტურულ ელიტას ორმაგი საპასუხისმგებლო მისია დაეკისრა. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების მოგვარებასთან ერთად, საგარეო თუ საშინაო პრობლემების გადაჭრის ფონზე, განათლების რეფორმა ქვეყნის ამოსავალი პრინციპი გახდა.

ბუნებრივია, განათლების პრობლემით დაინტერესება მხოლოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობისთვის არ ყოფილა დამახასიათებელი და ამ ყოველივეს გარკვეული წინაპირობები გააჩნდა. დავიწყოთ იმით, რომ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოში იწყება სრულიად ახალი ეტაპი, რაც გულისხმობდა განათლების მასშტაბის განსაკუთრებულ გაზრდას და რაც მთავარია მის ხელმისაწვდომობას ყველა სოციალური ფენისათვის. განათლების გავრცელების საშუალებებს და მეთოდებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მისი მასობრიობის საკითხი იყო. სწორედ აღნიშნულ პერიოდს უკავშირდება საგანმანათლებლო ცენტრების რაოდენობის გაზრდა, განათლების ფაქტორის წინა პლანზე წამოწევა, მისი დაკავშირება ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ წინსვლასთან, ეროვნული ცნობიერების ამაღლებასთან.

# ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების ვიზიტი აშშ-ის სენატსა და კონგრესში (ისტორიული დისკურსი)

**დომენტი ჩუბინიძე**
საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერისტეტი

1991 წლის თებერვალში, ვიდრე 31 მარტის ისტორიული რეფერენდუმი ჩატარდებოდა და 9 აპრილს საქართველოს თავისუფლება გამოცხადდებოდა, საქართველოს ეროვნული ხელისუფლების დელეგაცია, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის აკაკი ასათიანის ხელმძღვანელობით, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩავიდა. დელეგაციაში შედიოდნენ: უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო პაატაშვილი, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე და მერაბ ურიდია. დელეგაციამ შეხვედრები გამართა სენატსა და კონგრესში. ვიზიტის მთავარი მიზანი იყო ამერიკის პოლიტიკური ხელმძღვანელობის პოზიციაზე ზემოქმედების მოხდენა და იმის დაზუსტება თუ როგორ შეხვდებოდა შეერთებული შტატების მაშინდელი ადმინისტრაცია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

ერთმნიშვნელოვნად უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტი იმთავითვე ძალიან საინტერესო და საყურადღებო გამოდგა, მაგრამ ვაშინგტონში აშკარად გამოიკვეთა ის წინააღმდეგობა და სკეპტიციზმი, რომელსაც ამერიკული სამხედრო-პოლიტიკური ელიტის მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს დამოუკიდებლობის მიმართ ამჟღავნებდა. კერძოდ, ერთ-ერთმა გავლენიანმა პოლიტიკოსმა ქართველ სტუმრებთან შეხვედრაზე პირდაპირ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისთვის მეტად უხერხული იყო ერთიანი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე თხუთმეტი ახალი საელჩოს გახსნა, რადგან ეს დიდ ეკონომიკურ ხარჯებთან გახლდათ დაკავშირებული. მოკლედ, წინააღმდეგობები და ურთიერთგამომრიცხავი პოზიციები, როგორც სენატში, ისე კონგრესში აშკარად თვალშისაცემი იყო.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენს კვლევის შედეგებში შევეცდებით გამოვყოთ ჩვენთვის საინტერესო ასპექტები და დღის სინათლე შევიტანოთ შემდეგ საკითხებში:

1. რისი იმედი ჰქონდა თავდაპირველად ზვიად გამსახურდიას და სინამდვილეში რა ჩამოიტანა დელეგაციამ შეერთებული შტატებიდან?

2. რატომ მოჰყვა ამ ვიზიტს ურთიერთობის დაძაბვა და გაციება ზვიად გამსახურდიასა და საგარეო საქმეთა მინისტრ გოგი ხოშტარიას შორის, რომელიც ბოლოს შეიარაღებული ოპოზიციის რიგებში გადავიდა და ეროვნული ხელისუფლების დამხობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო?

3. რას პირდებოდა გოგი ხოშტარია ზვიად გამსახურდიას და ვინ ან რამ ჩაშალა ზვიად გამსახურდიას გამოსვლა ამერიკის სენატში, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობის ამერიკელი გულშემატკივრები გეგმავდნენ?

4. რა ფორმით უპირისპირდებოდა ამერიკის ადმინისტრაციის ოფიციალურ პოლიტიკურ კურსს სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარე და აწ უკვე ამერიკის დღევანდელი პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი?

5. რა იყო იმის მთავარი მიზეზი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების საკითხში ერთგვარ სიფრთხილეს იჩენდა და ხშირ შემთხვევაში ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების თავისუფლებას სკეპტიციზმით უყურებდა?

6. როგორ განსაზღვრა 1991 წლის თებერვლის ვიზიტმა საქართველო-ამერიკის ურთიერთობა?

# ახლო აღმოსავლეთის როლი ცივი ომოს ეპოქაში

**ვიქტორ ჯაფარიძე**
მკვლევარი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ანტი-ნაცისტური კოალიცია მალევე დაიშალა და ერთდროს მოკავშირეებს შორის წარმოიშვა უთანხმოება მსოფლიოს პოლიტიკურ-ეკონომიკური გავლენების გადანაწილების თაობაზე. საბჭოთა კავშირი თვლიდა, რომ იგი იყო ფაშიზმზე გამარჯვების მთავარი აქტორი და რომ მას ყველაზე მეტი უფლებები ჰქონდა მსოფლიოს ახალი წესრიგის არქიტექტურის ჩამოყალიბების პროცესში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მალევე დაიწყო იდეოლოგიურ-პოლიტიკური დაპირისპირება ორ პოლუსს შორის - აშშ და მისი მოკავშირეები ერთ მხარეს; საბჭოთა კავშირი და მისი მოკავშირეები მეორე.

ევროპის „გადანაწილების“ პროცესი 50-იან წლებშივე დასრულდა. საუკუნის მეორე ნახევარის დაწყებისთანავე ევროპაში მკვეთრად იყო გავლებული საზღვრები, სადაც ორივე მხარეს ლეგიტიმური სახელმწიფო მმართველობის სისტემა გააჩნდა, თავისი პოლიტიკური ელიტებითა და სახელმწიფოებრივი იდეოლოგიით. აქედან გამომდინარე, ორივე პოლუსმა დაიწყო პოსტ-კოლონიალური რეგიონებისკენ ყურება.

ასეთი ერთ-ერთი რეგიონი იყო ახლო აღმოსავლეთი და კონკრეტულად სპარსეთის ყურე, რომელშიც ჯერ კიდევ 1947 წელს ორი ბანაკის ინტერესები დაეჯახა ერთმანეთს.

პოსტ-კოლონიალური ქვეყნების ერთ-ერთი სპეციფიური მახასიათებელი იყო დამოუკიდებლობის მოპოვების პირველი პერიოდი მკვეთრი ანტაგონისტური დამოკიდებულება დასავლური სახელმწიფოებისადმი (მათთვის კოლონიალური იმპერიებისადმი). აღნიშნული ძალიან ეხმარებოდა საბჭოთა კავშირს, რადგან მისი იდეოლოგიის ერთ-ერთი ქვაკუთხედი იყო „ჩაგრული პროლეტარიატის გათავისუფლება“. და იქიდან გამომდინარე, რომ პოსტ-კოლონიალური სახელმწიფოების მოსახლეობის კრიტიკული უმრავლესობა ღარიბი იყო, მათთვის სოციალისტური ლოზუნგები ძალიან მიმზიდველად ჟღერდა. ჩვენი აზრით, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ პირველი ათწლეულში საბჭოთა კავშირს ძალიან დიდი იდეოლოგიური „ფორა“ გააჩნდა, განსაკუთრებით ღარიბ რეგიონებში, რასაც იგი ცვალებადი წარმატებით იყენებდა.

ზუსტად ასეთი მიზნები ამოძრავებდა სტალინს, როდესაც საკითხი დადგა ებრაელებისთვის სახელმწიფოებრიობის შექმნაზე. მოსკოვის უპირველესი ინტერესი იყო, რა თქმა უნდა, ბრიტანელების და მათი მოკავშირეები გადევნა ახლო აღმოსავლეთიდან, რათა მეტი კონტროლის ბერკეტები ჰქონოდა ნავთობისა და სხვა სასარგებლო წიაღისეულების მომპოვებლ ქვეყნებზე.

დასკვნით ნაწილში ჩვენ შეიძლება ვთქვათ, რომ 20-ე საუკუნის 50-იან წლებში ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის დაპირისპირებამ მსოფლიოში გავლენების მოპოვებისთვის ახალი სახე მიიღო, რომელიც ისტორიაში ცნობილია ცივი ომის სახელით. ცივი ომის დროს არ ყოფილა კლასიკური, კონვენციური დაპირისპირება უშუალოდ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის, აღნიშნული სახელმწიფოები ერთმანეთს ებრძოდნენ მოკავშირე ქვეყნების ე.წ. დომინიონების ხელით, მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორი ბლოკის დაპირისპირებას ჰქონდა ღრმად იდეოლოგიურ პოლიტიკური სახე, რაც მანამდე არც ერთ კონფლიქტში არ ყოფილა.